


საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
“ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები”

**International Scientific Conference
“MODERN PROBLEMS OF ECOLOGY”**

**Международная научная конференция
“СОВРЕМЕННЫЕ ПРОБЛЕМЫ ЭКОЛОГИИ”**



შრომები - ტომი VI
Proceedings – Vol. VI
Труды - Том VI

ISSN 1512-1976

ქუთაისი-Kutaisi-Кутаиси
2018

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თსუ მიხეილ ნოდია სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
საქართველოს სამოციქულო მართმადიდებლური
ეკლესიის ქუთაის-გაენათის ეპარქია
საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები
შრომები - ტომი VI

**Akaki Tsereteli State University
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Mikheil Nodia Institute of Geophysics TSU
Georgian National Academy of Sciences
Kutaisi-Gaenati Eparchy of
Georgian Apostolic Autocephalous Orthodox Church
Academy of Ecological Sciences of Georgia**
International Scientific Conference

MODERN PROBLEMS OF ECOLOGY

Proceedings - Vol. VI

Государственный университет им. Акакия Церетели
Тбилисский государственный университет им. Иванэ Джавахишвили
Институт геофизики им. Михаила Нодиа ТГУ
Национальная академия наук Грузии
Кутаисско-Гаэнатская Епархия
Грузинской Апостольской Православной Церкви
Академия экологических наук Грузии

Международная научная конференция
СОВРЕМЕННЫЕ ПРОБЛЕМЫ ЭКОЛОГИИ

Труды - Том VI

ქუთაისი-Kutaisi-Кутаиси

2018

კონფერენცია ეძღვნება ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 85 წლისთავს და ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის 85 წლისთავს.

The conference is dedicated to the 100th anniversary of the foundation of I. Javakhishvili Tbilisi State University, the 85th anniversary of the foundation of A. Tsereteli State University and the 85th anniversary of the foundation of M. Nodia Institute of Geophysics of I. Javakhishvili Tbilisi State University.

Конференция посвящается 100-летию основания Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили, 85-летию основания государственного университета им. А. Церетели и 85-летию основания института геофизики им. М. Нодиа Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили.

კონფერენციის ჩატარების დრო - 2018 წელი, 21-22 სექტემბერი
კონფერენციის ჩატარების ადგილი - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გელათის სამონასტრო კომპლექსი.

Period of conducting conference - 21-22 September 2018

Venue of the conference - A. Tsereteli State University, Gelati Monastery Complex.

Срок проведения конференции - 21-22 сентября 2018 года

Место проведения конференции – государственный университет им. А. Церетели, Гелатский монастырский комплекс.

კონფერენცია ჩატარდა და შრომათა კრებული დაიბეჭდა ქუთაის-გაენათის ეპარქიის მიტროპოლიტის მეუფე კალისტრატეს ლოცვა-კურთხევით

Conference is carried out and the Proceedings is published from the blessings of the Kutaisi-Gaenati Eparchy, bishop Kalistrat.

Конференция проведена и сборник трудов издан с благословения митрополита Кутаисско-Гаэнатской Епархии, Владыки Калистрата

კონფერენციის საპატიო თავმჯდომარეები: საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ქუთაის-გაენათის ეპარქიის მიტროპოლიტი მეუფე კალისტრატე; საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი მარატ ციციშვილი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აპარატის უფროსი, პროფესორი როლანდ კოპალიანი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსი პროფესორი მზექალა აჭაიძე.

კონფერენციის თავმჯდომარე: საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემეტიტუს პროფესორი - თეიმურაზ ადეიშვილი.

კონფერენციის თანათავმჯდომარეები: პროფესორი ავთანდილ ამირანაშვილი, ასოცირებული პროფესორი მაგდანა ჯიქია

კონფერენციის სწავლული მდივანი:

აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტის აკადემიური დოქტორი, ხათუნა კიკალიშვილი.

საორგანიზაციო კომიტეტის და სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს წევრები:

აკადემიკოსი თამაზ ჭელიძე, პროფესორი მარატ ციციშვილი (რედაქტორი), პროფესორი ალექსანდრე ალექსანდროვი, პროფესორი ალექსანე არზუმანიანი, ემერიტუს პროფესორი თეიმურაზ ადეიშვილი (რედაქტორი), პროფესორი ავთანდილ ამირანაშვილი, პროფესორი ამირან აფციაური, პროფესორი აკაკი გირგვლიანი, პროფესორი რამაზ კილაძე, პროფესორი ჯემალ ქირია, პროფესორი ნინა პოვოლოცკაია, პროფესორი ირინა სენიკი, ასოცირებული პროფესორი ნუგზარ ღლონტი, ასოცირებული პროფესორი ემზარ კილასონია, ასოცირებული პროფესორი სოსო თავბერიძე, ასოცირებული პროფესორი თენგიზ ჟვიტიაშვილი, ასოცირებული პროფესორი სერგო ცაგარეიშვილი, ასოცირებული პროფესორი ნატია კამკამიძე, ასოცირებული პროფესორი მამუკა წიქორიძე, ასოცირებული პროფესორი მაგდანა ჯიქია, ასოცირებული პროფესორი მალხაზ მიქაბერიძე, ასოცირებული პროფესორი დარეჯან ჩხიროძე, აკადემიური დოქტორი ხათუნა კიკალიშვილი, აკადემიური დოქტორი მურად ბეროძე, აკადემიური დოქტორი ხათუნა დავარაშვილი, აკადემიური დოქტორი ლეონარდო ხვედელიძე.

Honorable chairmen of the conference: Metropolitan of the Kutaisi-Gaenati Eparchy of the Georgian Apostolic Orthodox Church, bishop Kalistrat; president of Academy of Ecological Sciences of Georgia, academician Marat Tsitskishvili; head of the administration of rector of the Akaki Tsereteli State University, professor Roland Kopaliani; head office of rector and the academic council of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, professor Mzekala Achaidze.

Chairman of the Conference: Vice-president of the Academy of Ecological Sciences of Georgia, emeritus-professor of the Akaki Tsereteli State University - Teimuraz Adeishvili.

Vice - Chairmans of the Conference: professor Avtandil Amiranashvili, associate professor Magdana Jikia.

Scientific secretary of the conference:

Doctor of the academic degree of the Department of Physics of Akaki Tsereteli State University, Khatuna Kikalishvili.

Members of the organizing committee and editorial - publishing board:

Academician Tamaz Chelidze, Professor Marat Tsitskishvili (editor), professor Alexander Alexandrov, professor Alexan Arzumanian, emeritus-professor Teimuraz Adeishvili (editor), professor Avtandil Amiranashvili, professor Amiran Aptsiauri, professor Akaki Girgvliani, professor Ramaz Kiladze, professor Jemal Kiria, professor Nina Povolotskaia, professor Irina Senik, associate professor Nugzar Glonti, associate professor Emzar Kilasonia, associate professor Soso Tavberidze, associate professor Tengiz Zhvitiashvili, associate professor Sergo Tsagareishvili, associate professor Natia Kamkamidze, associate professor Mamuka Tsikoridze, associate professor Magdana Jikia, associate professor Malkhaz Mikaberidze, associate professor Daredzhan Chkhirodze, academic doctor Khatuna Kikalishvili, academic doctor Murad Berodze, academic doctor Khatuna Davarahvili, academic doctor Leonardo Khvedelidze.

Почетные председатели конференции: митрополит Кутаисско-Гаэнатской епархии Грузинской апостольской православной церкви, епископ Калистрат; президент академии экологических наук Грузии, академик Марат Цицкишвили; руководитель администрации ректора государственного университета им. Акакия Церетели, профессор Роланд Копалиани; руководитель аппарата ректора и секретариата академического совета Тбилисского государственного университета им. Иванэ Джавахишвили, профессор Мзекала Ачаидзе.

Председатель конференции: Вице-президент академии экологических наук Грузии, эмеритус-профессор государственного университета им. Акакия Церетели – Теймураз Адеишвили.

Со-председатели конференции: профессор Автандил Амиранашвили, ассоциированный профессор Магдана Джикия.

Ученый секретарь конференции:

Доктор академической степени департамента физики государственного университета им. Акакия Церетели, Хатуна Кикалишвили.

Члены организационного комитета и редакционно-издательского совета:

Академик Тамаз Челидзе, Профессор Марат Цицкишвили (редактор), профессор Александр Александров, профессор Алексан Арзуманян, эмеритус - профессор Теймураз Адеишвили (редактор), профессор Автандил Амиранашвили, профессор Амиран Апциаури, профессор Акакий Гиргвлиани, профессор Рамаз Киладзе, профессор Джемал Кириа, профессор Нина Поволоцкая, профессор Ирина Сеник, ассоциированный профессор Нугзар Глonti, ассоциированный профессор Эмзар Киласония, профессор Иосиф Тавберидзе, ассоциированный профессор Тегиз Жвितिашвили, ассоциированный профессор Серго Цагареишвили, ассоциированный профессор Натия Камкаmidze, ассоциированный профессор Мамука Цикоридзе, ассоциированный профессор Магдана Джикия, ассоциированный профессор Малхаз Микаберидзе, ассоциированный профессор Дареджан Чхиродзе, академический доктор Хатуна Кикалишвили, академический доктор Мурад Беродзе, академический доктор Хатуна Даварашвили, академический доктор Леонардо Хведелидзе.



რედაქტორების წინაწიტყვაობა

ქვეყანაში მიმდინარე მწვავე სოციალურ - ეკონომიკური პროცესების ფონზე სასიხარულოა ჯერ კიდევ შემორჩენილ თუ გადარჩენილ მეცნიერთა აქტიურობა და ამ კონფერენციისადმი გამოჩენილი ინტერესი. რამდენადაა ასახული წარმოდგენილ მოხსენებებში ეკოლოგიური საკითხები, ან ეკოლოგიის - როგორც მეცნიერების კვლევის საგანი და პრობლემები, ამ კუთხით უმრავლეს შემთხვევაში პასუხი არაცალსახაა. ჩვენ ყველა სახის ნაშრომი მივიღეთ და ამით გარკვეულწილად დავუპირისპირდით ოფიციალური ნიჰილისტურ დამოკიდებულებას მეცნიერებისადმი. კონფერენციაში მონაწილეთა აქტიურობა სამართლიანად ჩაითვალა პროტესტის ერთგვარ გამოხატულებად მეცნიერების კლასიკური გაგების წინააღმდეგ და მხარი დაუჭირეთ ნებისმიერ მიმართულების გამოკვლევას. ამიტომ წინამდებარე შრომების კრებულის მკითხველს ვთხოვთ ნაკლად არ ჩაგვითვალოს მისი მრავალდარგოვნობა. ეკოლოგია სრულიადაც არ არის ყოვლის მომცველი მეცნიერება. იგი მრავალდარგოვანია, მაგრამ მკაცრად ემორჩილება ე.წ. „ტრიადულ“ სტრუქტურას - ეკოლოგიური გამოკვლევის ძირითად ნიშან - თვისებას წარმოადგენს კორელაციურ - მიზეზობრივი კავშირების დადგენა ობიექტსა და საარსებო გარემოს შორის ანთროპოგენური ფაქტორის გათვალისწინებით.

აქედან გამომდინარე, მიზანშეუწონლად ჩავთვალეთ არა მარტო კონფერენციის მოხსენებების თემატური შეზღუდვა, არამედ არც მათი შინაარსის თუ მეთოდის კომენტირება და რედაქტირება. ერთი სიტყვით ვიხელმძღვანელებთ ოლიმპიური პრინციპით - მთავარია მონაწილეობა, რაც გამართლებულია ჩვენს შეჭირვებულ ეპოქაში.

პროფესორი - მარატ ციციშვილი

ემერიტუს პროფესორი - თეიმურაზ ადეიშვილი



შესავალი

რაგინდ უცნაურიც არ უნდა გეჩვენოთ, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში სახალხო მეურნეობის განვითარება და მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესი საერთოდ არა თუ ასუსტებს, ზოგჯერ ამწვანებს და აძლიერებს კიდევ კაცობრიობისათვის საშიშ მოვლენებს. უფრო მეტიც, ზოგის აზრით, სწორედ მეცნიერების, ტექნიკური პროგრესის ბრალია ბუნებრივი გარემოს დეგრადაციაც და ადამიანთა მასობრივი მოსპობის ახალი საშუალებების გაჩენაც.

მეცნიერულ - ტექნიკური პროგრესის და საზოგადოების შემდგომი განვითარების შესაძლო გზების პროგნოზი ამ ბოლო წლებში არამარტო ფანტასტიკური ნაწარმოებებისა და ფილოსოფიური მსჯელობების, არამედ ელექტრონულ - გამომთვლელი მანქანებზე სისტემატური ანალიზის და გაანგარიშების, გულმოდგინე კვლევის ხშირი თემა გახდა.

მაშ, რა მოგველის? ყველას ჩიხში მოგვიძწყვდევს მეცნიერება და ტექნიკური პროგრესი, თუ უზრუნველყოფს მზარდ აყვავებას. ასე დგება საკითხი.

ცნობილია, რომ საზოგადოებას სჭირდება გარკვეული რესურსები და პირობები: არსებობის სივრცე, სურსათი მასალები, ენერჯია და ა.შ. მათი მიღებისა და გამოყენების შესაძლებლობას საფუძვლად უდევს ჩვენი პლანეტის ბუნებრივი სიმდიდრე და თვისებები, წარმოების ხერხები და საშუალებები, ამა თუ იმ საზოგადოებაში გაბატონებული სოციალური წყობილება.

რაც მთავარია, ჩვენ ანგარიში უნდა გავუსწოროთ იმას, რომ დედამიწის მოსახლეობა ჯერჯერობით განუწყვეტლივ იზრდება, ასევე იზრდება ერთ სულ მოსახლეზე ყოველგვარი რესურსების ხარჯვა. ცხადია დედამიწა ყოველივე საჭიროთი ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის ნებისმიერ რაოდენობას. ადამიანმა უნდა აწონ-დაწონოს პრობლემა, განსაზღვროს მისი გადაწყვეტის გზები და განახორციელოს იგი ცხოვრებაში. თუმცა ხალხთა ისტორიის მოცემულ კრიტიკულ პერიოდში - შენიშნავს ამერიკელი მეცნიერი - ეკოლოგი **ოლივერ ოუენი**, - პრობლემის გადასაწყვეტად ადამიანი თავის უნარს და შესაძლებლობას არაეფექტურად იყენებს, თუ ეს არ იქნება გადაწყვეტილი, - დასძენს ოუენი, - მოსახლეობის ზრდა შეიძლება ადამიანისათვის, როგორც სახეობისათვის უბედურებით დამთავრდეს.

დედამიწას ადარებენ ყულაბას, საიდანაც კაცობრიობა იღებს უამრავ სიმდიდრეს, ხოლო თავის მხრივ ერთ გრამსაც არაფერს უმატებს მას და არც დრო გადის „გასავალი“ საშინელი სისწრაფით იზრდება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური კომისიის მონაცემებით 1800 წელს კაცობრიობას ჰყოფნიდა ასიათასი ტონა ნავთობი, ამჟამად იგი ხმარობს წელიწადში 4 მილიონ ტონას. სპეციალისტების გაანგარიშებით თუ ასე გაგრძელდა ნავთობის მოხმარება XXI საუკუნის ბოლოს მსოფლიო ნავთობის 87% ამოწურული იქნება.

ნავთობის უკმარისობა თავის მხრივ მკვეთრად გაზრდის ქვეყნების მოხმარებას, რაც საბოლოო ჯამში, გამოიწვევს მისი რესურსების შემცირებასაც, და რაც მთავარია, ქვეყნების წვის შედეგად გამონაყოფი მავნე აირები გოგირდოვანი ნაერთები ატმოსფეროს

სინესტესთან

წარმოქმნიან გოგირდმჟავებს, რომლებიც შლიან ფოლადის კონსტრუქციებს, მარმარილოს და, რაც მთავარია, ატმოსფეროში მოხვედრილი ეს ნაერთები ღრღნიან ადამიანის ფილტვებს.

განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულებში ატმოსფეროს ჰაერის გაჭუჭყიანებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ მსოფლიოს ხალხთა სამართლიან აღშფოთებას და წუხილს იწვევს; გაისმის მოწოდება - დავიცვათ ატმოსფეროს ჰაერი გაჭუჭყიანებისაგან. ისმის კითხვა, რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი გახლავთ ადამიანის ყოველდღიური მზარდი საწარმოო მოქმედება, რის გამოც ატმოსფეროში სისტემატურად მზარდი რაოდენობით იფრქვევა მრეწველობისა და ტრანსპორტის მოქმედების შედეგად წარმოქმნილი მავნე აირები და მტვერი.

ამბობენ, დღეს რომ წარსული საუკუნის ადამიანი გააცოცხლო, მისი ფილტვები, მისი პრგანიზმი პლანეტის დღევანდელი ინდუსტრიით გაჭუჭყიანებულ ატმოსფეროს ჰაერს ერთ კვირასაც ვერ გაუძლებს. გაჭუჭყიანებული ატმოსფეროს ჰაერის კიდევ ერთი მავნე შედეგი: მტვერითა და კვამლით, ავტოტრანსპორტის გამონაბოლქვი აირებით და სხვათა მეოხებით გაჭუჭყიანებული ატმოსფეროს ჰაერი 16-20 %-ით ამცირებს მზის სინათლის ინტენსივობას, რაც იწვევს მრავალ ქალაქში მცხოვრებთა მიერ ელექტროენერჯის ხარჯვის მნიშვნელოვან გადიდებას. ატმოსფეროს ჰაერის გაჭუჭყიანების შედეგია აგრეთვე შენობა--ნაგებობების, სამრეწველო დანადგარებისა და აპარატების კოროზიით გამოწვეული ზარალი.

გამაჭუჭყიანებლების ჰაერის მასებით გადატანა გარემოს გაჭუჭყიანებაში სხვადასხვა მასალების კოროზიას და მათ მალე ცვეთას განაპირობებს, რაც ერთობ საზიანოა სახალხო მეურნეობისათვის. ელექტროსადგურები და სატრანსპორტო საშუალებები უამრავ ნარჩენ აირს, ჭვარტლსა და მტვერს გამოყოფს ჰაერში. დაბინძურებული ჰაერი ადამიანს და სხვა ცოცხალ არსებას უზიანებს ფილტვებსა და სხვა ორგანოებს. ჰაერის ზოგიერთი სახის დაბინძურებამ შეიძლება გონებასაც კი ავნოს. ნარჩენი აირების ჰაერში დაგროვება იწვევს ე.წ. მჟავურ წვიმებს, რომლებიც აზიანებს ხეებს, ტბებს, მდინარეებსა და შენობებსაც კი. საწვავის წვით წარმოქმნილი აირები და ფრეონი არღვევს ოზონის ფენას, რაც იწვევს კანის კიბოთი დაავადების შემთხვევებს.

მჟავური წვიმები აბინძურებს ტბებსა და მდინარეებს, თუმცა მათი დაბინძურების მიზეზები მარტო ესენი როდია. არსებობს ქალაქები, სადაც ზღვებში, ტბებსა და მდინარეებში დღესაც ჩაედინებიან დაბინძურებული წყლები, ხოლო ქარხანა - ფაბრიკებიდან - მომწამლავი ნივთიერებები და ნარჩენები, რის შედეგადაც იხოცებიან წყალში მობინადრე თევზები, ცხოველები და ილუპებიან წყალმცენარეები. სოფლის მეურნეობაში ხშირად იყენებენ ქიმიურ სასუქებსა და პესტიციდებს, რომლებიც ძლიერი წვიმების შედეგად შეიძლება მდინარეში ჩაირეცხონ. ზღვას ძლიერ ამბინძურებს ტანკერებიდან და ნავთობის კომპურებიდან ჩაღვრილი ნავთობპროდუქტები.

გარდა ამისა დაუფიქრებლად გადაყრილი ნაგავი იწვევს ნიადაგის დაბინძურებას. ზოგიერთი სახის ნაგავი ხშირად ღვება, პლასტმასების უმეტესობა კი არასოდეს.

უაღრესად სერიოზულ დაბინძურებას იწვევს ატომური ელექტროსადგურების რადიოაქტიური ნარჩენები. ამგვარ ნარჩენებს ძირითადად ათავსებენ კონტეინერებში და ჰერმეტიკულად ხუფავენ, თუმცა მათი მცირე რაოდენობა მაინც ხვდება წყალში და ჰაერში. მეცნიერებს ამფოთებთ ამგვარი დაბინძურების სანგრძლივი ზემოქმედება, რამდენადაც რადიოაქტიური ნარჩენები ათასობით წლის განმავლობაში ინარჩუნებენ მავნე გამოსხივების უნარს.

ყველა ეს ფაქტორი მნიშვნელოვნად აზიანებს როგორც ცოცხალ, ისე არაცოცხალ გარემოს, რაც თავისთავად მოითხოვს მათ დაცვას.

გარემოს დაცვა გულისხმობს ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანისა და ბუნების სასიცოცხლო საფუძვლების მთლიანობაში შენარჩუნებასა და გარემოს

არსებული დაზიანებების აღმოფხვრას. აქ წინა პლანზე უნდა დავაყენოთ ადამიანის მიერ გამოწვეული ზიანის შეზღუდვა და გარემოზე ზემოქმედება.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს ქვეყანაში დღემდე არ არის ჩამოყალიბებული ეროვნული პოლიტიკა და მიზნები ნარჩენების მართვის სფეროში. მათთან დაკავშირებული კანონმდებლობა არასრულია და ფრაგმენტული, ხოლო რიგ შემთხვევაში, მოძველებულია. ამასთან საქართველოს კანონმდებლობისათვის უცხოა ნარჩენების პრევენციის დაკავშირება რესურსების დაზოგვასთან და ნარჩენების რესურსად განხილვასთან. ასევე არ არსებობს მწარმოებლის პასუხისმგებლობა ნარჩენების მიმართ ან რაიმე წამახალისებელი მექანიზმები რესურსების დაზოგვისა და ნაკლები ნარჩენების წარმოქმნის მიმართ. საქართველოში ეკონომიკის განვითარებასთან ერთად მოსალოდნელია ნარჩენების მოცულობის ზრდა, რაც გამოიწვევს როგორც ნარჩენების მინიმალური ხელშეწყობი ღონისძიებების გატარების, ისე უკვე წარმოქმნილი ნარჩენების სეპარაციისა და რეციკლირების საჭიროებას.

საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, რელიეფით, ჰიდროგრაფიული ქსელითა და გარემო პირობებით, მოწყვლადია როგორც ბუნებრივი (მიწისძვრა, მეწყერები, ღვარცოფები, გვალვები, ზვავები და წყალდიდობები), ისე ანთროპოგენული კატასტროფებისადმი სატრანსპორტო და საწარმოო ავარიებით ამას ემატება ბუნებრივ რესურსებზე მაღალი ანთროპოგენული ზეწოლა. რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ბუნებრივი კატასტროფების პროვოცირებისათვის. ბოლო წლებში გახშირებული სტიქიური მოვლენების მიზეზები აგრეთვე უნდა ვეძიოთ კლიმატის გლობალურ ცვლილებებში. კვლევებით დასტურდება, რომ კლიმატის ცვლილებას უკვე ადგილი აქვს სამხრეთ კავკასიაში (მათ შორის იმერეთშიც) და ის გარკვეულ ნაგატიურ როლს ითამაშებს ეკოლოგიური თვალსაზრისით. პროგნოზების თანახმად, კლიმატის ცვლილების შედეგად 2050 წლისათვის საქართველოში ტემპერატურის საშუალო მატება ნავარაუდევია 1-2C⁰ - ით, ხოლო 2100 წლისთვის 5 C⁰ - ით. რეგიონში ნალექების მნიშვნელოვანი შემცირება, უახლოეს პერიოდში გაზრდის ადგილობრივი კლიმატის არიდულობას და აქაურ ნახევრადარიდულ ლანდშაფტებს ნახევარუდაბნოდ და უდაბნოდ გადააქცევს. შესაბამისად, 2100 წლისთვის, დედოფლისწყაროს რაიონში ირიგაციაზე მოთხოვნა გაიზრდება ზამთრის ხორბალზე - 114% - ით, სამოვრეზე - 82% - ით და მზესუმზირაზე - 50% - ით.

ამჟამად, გაეროს დახმარებით, მიმდინარეობს ეროვნული საადაპტაციო მოქმედებათა გეგმის მოსამზადებელი სამუშაოები, თუმცა, საქართველოს არ გააჩნია კლიმატის ცვლილების პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული კანონმდებლობა. ეს კი ხელს უშლის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან საადაპტაციო ღონისძიებების განხორციელებისათვის მეტი ფინანსური რესურსების მოზიდვას.

დღეს, ეკოლოგიური თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევა, რომლის წინაშეც დგას საქართველო, არის არასწორი, არაეფექტიანი და ბიზნესინტერესებზე მორგებული ენერგოპოლიტიკა. ეს უკანასკნელი ფოკუსირებულია არ მთლიანად ენერგო სექტორის გაუმჯობესებაზე, არამედ მხოლოდ ჰიდრო რესურსის სწრაფ ათვისებაზე ჰესების მშენებლობით. არსებობს მცდარი შეხედულება, რომ საქართველო და საერთო კავკასია მდიდარია წყლის რესურსით, რომელიც მაქსიმალურად უნდა იქნას ათვისებული, ელექტროენერგიად გარდაქმნილი და ექსპორტზე გატანილი. სინამდვილეში კი არაა დათვლილი საქართველოს მდინარეების ეკოლოგიური და სოციალური საფასური და დასკვნების გამოტანა კი მხოლოდ მათ ტექნიკურ და ეკონომიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ხდება. დღეს ჰიდროენერგეტიკული კუთხით ეკოლოგიურ - სოციალური ერა დგას. შესაბამისად თანამედროვე სამყაროში ენერგოპოტენციალის მხოლოდ კომერციული და მომენტალური კრიტერიუმებით შეფასება მცდარად და მოძველებურად ითვლება. ეს ფაქტორი კიდევ ერთხელ მიუთითებს ქართულ ენერგო და გარემოს დაცვით სექტორებში ძველი მენტალობის გავლენაზე, როცა მდინარეებს უმეტესად სანიტარული თუ ენერგო ფუნქციების მიხედვით ახარისხებენ. ამგვარი მოძველებული პოლიტიკის მაგალითია 1988 წელს სვანეთში დაწყებული „ხუდონჰესის“ პროექტი, რომელიც 30 წლის შემდეგაც აქტუალურია და კი-

დევ ათობით დაგეგმილი სხვა ჰესის მშენებლობა ქვეყნის მასშტაბით. ისეთი მცირემიწიანი ქვეყნისათვის კი, როგორც საქართველოა, ასეთ პროექტებს აუცილებლად ექნება გამოუსწორებელი ეკოლოგიური, დემოგრაფიული, სოციალური და კულტურული დანაკარგები.

აღნიშნულ ფაქტორთან ერთად ყურადღებას იქცევს უკვე ექსპლუატაციაში შესული ჰიდროელექტროსადგურების მდგომარეობაც. მათ უმეტეს ნაწილს ესაჭიროება გაწმენდა და რეაბილიტაცია. ასევე რამდენიმე ახლადამენებულ ჰესს სერიოზული პრობლემები აქვს დენის გამომუშავებასთან დაკავშირებით, რაც მცდარი დაგეგმვისა და გარემოზე ზემოქმედების არასწორი შეფასებითაა გამოწვეული.

ჩამოთვლილ არასრულ პრობლემებს არსებითად აერთიანებს ერთი ფაქტორი - ესაა საზოგადოების ჩართულობისა და გარემოს დაცვითი პრობლემებით დაინტერესების დაბალი დონე. ეს მეტწილად ორი მიზეზითაა გამოწვეული: მექანიზმების არ არსებობითა და ქვეყანაში მონაწილეობითი დემოკრატიის სუსტი განვითარებით. პირველი მათგანი გამოიხატება მოსახლეობისათვის საჯარო ინფორმაციის ხელმიუწვდომლობაში, რაც საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. ასევე საქართველო წარმოადგენს არაერთი შეთანხმებისა თუ ხელშეკრულების მხარეს, რომელიც მას აკისრებს ვალდებულებას უზრუნველყოს საზოგადოების ჩართულობა გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რეალურად კი ეს ვალდებულება მხოლოდ გარემოსდაცვითი ნებართვის აღების საფეხურზე სრულდება, სხვა შემთხვევაში კი ის უბრალოდ უგულვებობოლყოფილია. რაც შეეხება თავად მოსახლეობის გარემოს დაცვისაგან და საერთოდ ეკოლოგიური მდგომარეობისაგან გაუცხოვებას, ამის ფესვები ბევრად ღრმაა. უპირველესყოფლისა მიზეზი განათლების დაბალ ხარისხსა და სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პოლიტიკის უქონლობაშია საძებნი. მომდევნო მიზეზად შეიძლება დასახელდეს ქვეყანაში არსებული შერჩევითი სამართალი, რის გამოც ადექვატურად არ ისჯებიან გარემოსთვის ზიანის მომყენებლები. ეს კი ნიჰილისტურ განწყობებს ამკვიდრებს მოსახლეობაში. და ბოლოს ასევე აღსანიშნავია მედიის ფაქტორი, რომელიც, სათანადოდ არ აშუქებს მსგავს პრობლემებს და მეტწილად არა საჯარო, არამედ კომერციულ ინტერესებზეა კონცენტრირებული.

ამ პრობლემების დროულად და კვალიფიციურად აღმოსაფხვრელად აუცილებელია საქართველოს პარლამენტმა რაც შეიძლება სწრაფად სრულყოს გარემოზე ზემოქმედებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებების, ლიცენზირების გაცემის, ტყის, ბიომრავალფეროვნების დაცვის, ნარჩენების მართვის, წყლის, სივრცითი დაგეგმვის კანონმდებლობები.

ლონდონის ეკონომიკური სკოლის „გრენტამის“ კვლევითი ინსტიტუტის (Grantham Research Institute) პროფესორი **მაიკლ ჯეკობსი** თავის ერთ - ერთ წერილში წერს, რომ საჭიროა „ბუნებრივი გარემოს კრიზისი ამჯერად და, უკვე საბოლოოდ, შეფასდეს არა როგორც მხოლოდ ეკოსისტემების კრიზისად, არამედ ზოგადად კაპიტალიზმის კრიზისად. ამგვარად კი კაპიტალიზმის ზრდის დინამიკა თავად ასუსტებს საკუთარ თავს. ვინაიდან ენერჯის, საკვების, მიწის, წყლის, თევზის სარეწებისა და საქონლის, ჰაერისა და წიაღისეულის დეფიციტი ერწყმის კლიმატის ცვლილების, ოკეანის მოწამვლისა და საცხოვრებელი არელების შემცირების შედეგებს.

აქედან გამომდინარე, დანარჩენი მსოფლიოს ტემპის ასაყოლად, აუცილებელია საქართველოშიც გაჩნდეს პოლიტიკური ნება, რომ დაიწყოს „მწვანე ეკონომიკის ისეთი პრინციპების ადაპტირება, როგორცაა მდგრადი განვითარება, სიღარიბის აღმოფხვრა, დოვლათის სამართლიანი გადანაწილება და სხვ.

საჭიროა საფუძვლიანად გადაიხედოს და შესწორდეს საქართველოს სოციალურ - ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“. რა თქმა უნდა „მწვანე ეკონომიკას“ თავის მხრივ გააჩნია შეზღუდვები, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში იგი მომგებიანია, რამეთუ კომპანიები გრძნობენ სოციალურ პასუხისმგებლობას, ბიზნესი გათვლილია ხანგრძლივ პერიოდზე და გარემოსთან ერთად ექცევა ყურადღება შრომით ურ-

თიერთობებს.

საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია დაიწყოს კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა ენერჯის დამზოგველი პოლიტიკისაკენ. უმოკლეს ვადებში უნდა შემუშავდეს ელექტროენერჯეტიკის განვითარების სტრატეგია. აუცილებელია გადაიხედოს ყველა დაგეგმილი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და გაკეთდეს პროექტების ხაარჯთსარგებლიანობის ანალიზი. ენერჯეტიკის სამინისტრომ უარი უნდა თქვას გიგანტური ჰესების მშენებლობაზე და პირველ რიგში დაიწყოს არსებული ჰესების რეაბილიტაციისა და ნატანი მასალისაგან გაწმენდის პროგრამა, რაც რამდენიმე ასეული მეგავატით გაზრდის გამომუშავებას.

მოთხოვნისამებრ უნდა დაიგეგმოს მცირე და საშუალო სიდიდის ჰესების მშენებლობა, თუმცა კონკრეტული რეგიონის ბუნებრივი გარემოსა და იქ მაცხოვრებელი ადამიანების ინტერესების დაცვით. ამასთანავე სახელმწიფომ მოსახლეობაში უნდა დაიწყოს ენერჯის თვითგამომუშავების სტიმულირება, რისი პოტენციალიც საქართველოში საკმაოდ მაღალია. პარალელურად ქვეყანაში აუცილებელია დაიწყოს ისეთი ალტერნატიული, განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისებაზე ფიქრი როგორცაა ქარის, მზის, ბიომასის, გეოთერმული, ზღვისა და ვაკუუმის ენერჯეტიკა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით სუფთა ეკოლოგიურად და უზარმაზარი რაოდენობის ენერჯიას იძლევა.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბაზარზე ამ კუთხით შეინიშნება ფასების კლება, რაც დიდად ასტიმულირებს აღნიშნულ სექტორებში ინვესტიციების ჩადებას. განახლებადი ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს 2018 წლის მონაცემებით, ამ სფეროში 7,7 მილიონი ადამიანია უკვე დასაქმებული, რაც წინა წელთან შედარებით 18 პროცენტითაა გაზრდილი.

საზოგადოებაში გარემო პრობლემებისადმი ნიჰილისტური განწყობების აღმოფხვრა პირდაპირ კავშირშია განათლების ხარისხის ამაღლებასთან. აუცილებელია სახელმწიფომ გაზარდოს განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, ხელი შეუწყოს კვლევით მეცნიერებასა და ტექნოლოგიურ პროგრესს, რაც შექმნის მყარ ფუნდამენტს ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობისა და სამოქალაქო საზოგადოების გასაძლიერებლად. ვინაიდან ამის სისრულეში მოყვანას გარკვეული დრო ჭირდება, პარალელურად. აუცილებელია მასმედიისა და კომინიკაციის სხვადასხვა მეთოდების (კონგრესები, კონფერენციები, სემინარები და სხვ.) გამოყენება გარემოს დაცვის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად და მოახლოებული ეკოკრიზისების გადასაჭრელად.

სწორედ ამ პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი მცდელობაა ეს კონფერენციც, რომელიც ეძღვნება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 100 წლისთავს, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 85 წლისთავს და თბილისის სახუნვერსიტეტის მ. ნოადიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის 85 წლის იუბილეს. ეს ის ორგანიზაციებია, რომლებმაც პრაქტიკულად უნდა იკისრონ ქვეყანაში არსებული ჭარბი ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის ხელმძღვანელობის მისია და აუცილებლობის შემთხვევაში მასში ამ რთულ პროცესში უნდა გაერთიანონ სხვა უმაღლესი სასწავლებლები, აკადემიები, სამინისტროები და ქვეყნის სხვა სასწავლო - სამეცნიერო დაწესებულებები.

პროფესორი მარატ ციციშვილი
ემერიტუს პროფესორი თეიმურაზ ადეიშვილი



საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები“
შრომები, ISSN 1512-1976, ტ. 6, ქუთაისი, საქართველო, 21-22 სექტემბერი, 2018
International Scientific Conference „Modern Problems of Ecology“
Proceedings, ISSN 1512-1976, v. 6, Kutaisi, Georgia, 21-22 September, 2018
Международная научная конференция „Современные проблемы экологии“
Труды, ISSN 1512-1976, т. 6, Кутаиси, Грузия, 21-22 сентября, 2018



სექცია 1

ფიზიკურ-ქიმიური და კოსმოსური ეკოლოგია

Section 1

PHYSICAL-CHEMICAL AND SPACE ECOLOGY

Секция 1

ФИЗИКО-ХИМИЧЕСКАЯ И КОСМИЧЕСКАЯ ЭКОЛОГИЯ



ფიზიკური ვაკუუმი - ეკოლოგიურად სუფთა ენერჯის უზარმაზარი წყაროა

ადეიშვილი თ., ბეროძე მ., სანიკიძე თ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია

ანოტაცია: განხილულია ფიზიკური ვაკუუმის ბუნების პრობლემური საკითხები. ჩამოყალიბებულია მოთხოვნები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში ფიზიკური ვაკუუმი შეიძლება მივაკუთვნოთ ფიზიკური რეალობის ყველაზე ფუნდამენტურ სახეს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ფუნდამენტურ სტატუსზე პრეტენზიის მქონე ობიექტს უნდა გააჩნდეს უწყვეტობის თვისება. ამ შემთხვევაში ის ყველაზე ზოგადია და არ აქვს მეორადი სტატუსის მქონე მრავალი მოვლენისა და ობიექტისადმი დამახასიათებელი შეზღუდვები. უწყვეტობის თვისების მქონე ფიზიკური ვაკუუმი აფართოებს ცნობილი ფიზიკური ობიექტების კლასს. ნივთიერება და ვაკუუმი ერთმანეთთან მიმართებაში არიან როგორც ურთიერთდამატებითი წინააღმდეგობები. ისინი იმყოფებიან დამოკიდებულებებში **ნ.ბორის** დამატებითობის პრინციპის შესაბამისად. დამატებითობის ენტროპიის შემცირების კანონი იძლევა უწყვეტობისა და დისკრეტულობის ფუნდამენტური კოლიზიის გადაწყვეტის გასაღებს. წარმოდგენილია მისგან ეკოლოგიურად სუფთა ენერჯის მიღების გზები.

საკვანძო სიტყვები: ფიზიკური ვაკუუმი, ეკოლოგია

1. ფიზიკური ვაკუუმის ბუნების გამოცანა

ფიზიკური ვაკუუმისადმი მდგრადი ინტერესის სტიმულს წარმოადგენს მეცნიერთა და განსაკუთრებით ეკოლოგთა იმედი მასზე, რომ მისი მეშვეობით შეიქმნება უზარმაზარი ენერჯია. ეს იმედები ცხადია არაა საფუძველსმოკლებული. კვანტური ელექტროდინამიკის ჩარჩოებში თეორია უჩვენებს ფიზიკურ ვაკუუმში უზარმაზარი ენერჯიის არსებობას. აკადემიკოს **იაკობ ზელდოვიჩის** ფუნდამენტური გამოკვლევის მიხედვით ვაკუუმის ენერჯიის სიმკვრივე ε გამოსახება დამოკიდებულებით [1]:

$$\varepsilon = \alpha \int_0^{\mu_m} \frac{1}{2} h v \cdot v^2 dv = (\alpha h / 8) v_m^4, \quad (1)$$

სადაც μ_m – მაქსიმალური სიხშირეა; ε – ენერჯიის სიმკვრივე; $\alpha = KC^{-3}$ – მუდმივი სიდიდეა; C – სინათლის სიჩქარე, K – ერთის რიგის რიცხვი; v – სიხშირე.

ამ ფორმულიდან ჩანს, რომ ვაკუუმის ენერჯია შეიძლება იყოს უზარმაზარი, მაგრამ ვაკუუმის მაღალი სიმეტრიის გამო ამ ენერჯიის უშუალოდ მიწვდომა ძალზე ძნელია. ამის გამო, ენერჯიის უზარმაზარ მორევში მყოფი, ადამიანი იძულებულია ისარგებლოს მხოლოდ მისი მიღების ტრადიციული ხერხებით, რომლებიც დაფუძნებულია ბუნებრივი

ელექტრომატარებლების წვაზე . მიუხედავად ამისა, ვაკუუმის სიმეტრიის რღვევისას უზარმაზარი ენერგიის მიღებაა შესაძლებელი. ამიტომ მკვლევართა ყურადღება მიქცეულია ახალი ფიზიკური ეფექტებისა და მოვლენებისადმი იმის მიუხედავად, რომ მათი მეშვეობით შესაძლებელი გახდება ფიზიკური ვაკუუმის „ამუშავება“ .

აღზნების კრიტიკული დონის მიღწევისას ფიზიკური ვაკუუმი ბადებს ელემენტარულ ნაწილაკებს - ელექტრონებსა და პოზიტრონებს , ამიტომ მრავალ მკვლევარს აინტერესებს ვაკუუმის მიერ ელექტროენერგიის გენერაციის უნარი . ამ ენერგიის პრაქტიკული გამოყენების კუთხით რეალური შედეგების მიღწევას ხელს უშლის ვაკუუმის სტრუქტურის გაგების არარსებობა. ფიზიკური ვაკუუმის ბუნების გამოცანა რჩება ფუნდამენტური ფიზიკის ერთ-ერთ სერიოზულ გადაუწყვეტელ პრობლემად.

თანამედროვე წარმოდგენებით ყველა ფიზიკურ მოვლენას საფუძვლად უდევს დაკვანტული ველები. ვაკუუმური მდგომარეობა წარმოადგენს ნებისმიერი დაკვანტული ველის ძირითად მდგომარეობას. აქედან გამომდინარე ფიზიკური ვაკუუმი არის ფიზიკური რეალობის ყველაზე ფუნდამენტური სახე [2] . დღეისათვის დომინირებს კონცეპცია , რომლის ჩარჩოებში ითვლება, რომ ნივთიერება წარმოიქმნა ფიზიკური ვაკუუმიდან და მისი თვისებები გამომდინარეობენ ფიზიკური ვაკუუმის თვისებებიდან. **ი. ზელდოვიჩი** იკვლევდა უფრო ამბიციურ პრობლემას ვაკუუმიდან მთელი სამყაროს წარმოშობის შესახებ [3,4] . მან უჩვენა , რომ ამ დროს ბუნების მკაცრად დადგენილი კანონები არ ირღვევა. მკაცრად სრულდება ელექტრული მუხტისა და ენერგიის შენახვის კანონები. ერთადერთი კანონი, რომელიც არ სრულდება ვაკუუმიდან სამყაროს წარმოშობისას - ესაა ბარიონული მუხტის შენახვის კანონი. გაურკვეველია , სად გაქრა ანტინივთიერების უზარმაზარი რაოდენობა, რომელიც უნდა გაჩენილიყო ფიზიკური ვაკუუმიდან. ამიტომ ფიზიკური ვაკუუმის პრობლემის გადაწყვეტა საინტერესოა როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი მეცნიერებისათვის. მიუხედავად მისადმი არსებული დიდი ინტერესისა ფიზიკური ვაკუუმი უწინდებურად რჩება გამოუცნობ ობიექტად , რომელსაც მეცნიერება აკუთვნებს ყველაზე ფუნდამენტურ სტატუსს.

2. ვაკუუმის ფილოსოფიური პრობლემები

მეცნიერები ფიზიკურ ვაკუუმს თვლიან მატერიის ისეთ განსაკუთრებულ მდგომარეობად, რომელიც სამყაროს პირველსაწყისზე აცხადებს პრეტენზიას. რიგ ფილოსოფიურ კონცეპციაში სამყაროს საფუძვლად უდევს „არარობა“ ანუ „გაშინაარსებული სიცარიელე“ . ამ დროს იგულისხმება, რომ სახელდობრ კონკრეტულ თვისებებს მოკლებულ და ფიზიკური ობიექტებისადმი დამახასიათებელ „არარობას“ უნდა გააჩნდეს განსაკუთრებული საყოველთაობა და ფუნდამენტურობა და ამრიგად უნდა მოიცავდეს ფიზიკურ ობიექტთა და მოვლენათა მთელ ნაირსახეობას . ძველი აღმოსავლეთის ფილოსოფოსები ამტკიცებდნენ , რომ სამყაროს ყველაზე ფუნდამენტურ რეალობას არ უნდა გააჩნდეს არანაირი კონკრეტული მახასიათებელი და ამით უნდა ემსგავსებოდეს არაყოფიერს. ძალიან მსგავს თვისებებს მეცნიერები მიაწერენ ვაკუუმს [3] . ამ დროს არაყოფიერი და გაშინაარსებული სიცარიელე წარმოადგენს ფიზიკური რეალობის ყველაზე „მდიდარ“ სახეობას . ითვლება, რომ ფიზიკური ვაკუუმი წარმოადგენს პოტენციურ ყოფიერს, რომელსაც შეუძლია ხილული სამყაროს ყველა ობიექტისა და მოვლენის წარმოშობა.

მიუხედავად იმისა , რომ ფიზიკური ვაკუუმი აქტიურად არაფერს შეიცავს , ის პოტენციურად ყველაფრის მომცველია . ამიტომ , თავისი უზოგადესი შინაარსიდან გამომდინარე, ის შეიძლება გამოდიოდეს სამყაროს ყველა მრავალსახოვანი ობიექტისა და მოვ-

ლენის ონტოლოგიურ საფუძვლად . ამ თვალსაზრისით სიცარიელე - ყველაზე შემცველობითი და ფუნდამენტური არსია. ფიზიკური ვაკუუმის ასეთნაირი გაგება გვაიძულებს ვაღიაროთ „ არაფრისა „ და „რაღაცის“ არამართო თეორიაში , არამედ ბუნებაში არსებობა . „რაღაც“ არსებობს როგორც გამოვლენილი ყოფიერება - ხილული ნივთიერება - ველის სახით , ხოლო „არაფერი“ არსებობს , როგორც გამოუვლენი ყოფიერება - ფიზიკური ვაკუუმის სახით . ამიტომ , გამოუვლენი ყოფიერების ცნების ფიზიკურ ვაკუუმზე გავრცელებისას ის უნდა განვიხილოთ , როგორც დამოუკიდებელი ფიზიკური არსი , რომლის შესწავლაც აუცილებელია.

ფიზიკური ვაკუუმი უშუალოდ არ დაიკვირვება , მაგრამ მისი თვისებების გამოვლინება რეგისტრირდება შესაბამის ექსპერიმენტებში . ვაკუუმურ ექსპერიმენტებს მიეკუთვნება : ელექტრონულ-პოზიტრონული წყვილის დაბადება, **ლემბ-რეზერფორდის** ეფექტი და **კაზიმირის** ეფექტი. დამუხტული ნაწილაკის ელექტრული პოლარიზაციის შედეგად დამუხტული ნაწილაკის ელექტრული ველი განსხვავდება კულონურისგან. ეს იწვევს ენერგეტიკული დონეების ლემბურ წანაცვლებას და ნაწილაკების ანომალური მაგნიტური მომენტის გაჩენას . ფიზიკურ ვაკუუმზე მაღალ-ენერგეტიკული ფოტონის ზემოქმედებისას ბირთვულ ველში წარმოიშობა ნივთიერი ნაწილაკები - ელექტრონი და პოზიტრონი . **კაზიმირის** ეფექტი უჩვენებს ვაკუუმში მოთავსებული ორი ფირფიტის მიმზიდველი ძალის წარმოშობას. ეს ეფექტები მიუთითებს მასზე , რომ ვაკუუმი წარმოადგენს რეალურ ფიზიკურ ობიექტს.

3. ფიზიკური ვაკუუმის მოდელური წარმოდგენები

თანამედროვე ფიზიკაში განხორციელებულია მცდელობები ფიზიკური ვაკუუმის სხვადასხვა მოდელების მეშვეობით წარმოდგენის მიზნით. **პ.დირაკიდან** დაწყებული ფიზიკოსები ცდილობდნენ ფიზიკური ვაკუუმის ადეკვატური მოდელური წარმოდგენების პოვნას. ცნობილია: **დირაკის** ვაკუუმი , **უილერის** ვაკუუმი , **დე სიტერის** ვაკუუმი , **ველის კვანტური თეორიის** ვაკუუმი , **ტერნერ-ვილჩეკის** ვაკუუმი და სხვა. **დირაკის** ვაკუუმი წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ მოდელს. მასში ფიზიკური ვაკუუმი წარმოდგენილია „ზღვა“ დამუხტული ნაწილაკების სახით, რომლებითაც ავსებულია **პლანკის** ზომების მქონე ყველა გეომეტრიული უჯრედი. **უილერის** თანახმად რეალური სამყაროს ყველა თვისება და თვით არსებული სამყარო წარმოადგენს გეომეტრიული სივრცის გამოვლინებას. **დე სიტერის** ვაკუუმი წარმოდგენილია ყველაზე დაბალ ენერგეტიკულ მდგომარეობაში არსებული მთელრიცხვა სპინის მქონე ნაწილაკთა ერთობლიობით. ველის კვანტური თეორიის ვაკუუმი შეიცავს ყველა შესაძლო ნაწილაკს ვირტუალური მდგომარეობაში. **ტერნერ-ვილჩეკის** ვაკუუმი წარმოდგენილია ორი გამოვლინებით - „ჭეშმარიტი“ და „მცდარი“ ვაკუუმებით . ამ დროს „მცდარი“ ვაკუუმი შეიძლება გადავიდეს „ჭეშმარიტი“ ვაკუუმის მდგომარეობაში.

ფიზიკური ვაკუუმის არსებული მოდელები ერთობ წინააღმდეგობრივია . მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ფიზიკური რეალობის ყველა სახეებთან შედარებით ფიზიკურ ვაკუუმს გააჩნია რიგი პარადოქსური თვისებები , რის გამოც მისი მოდელირება ძალზე ძნელია. მაგალითად, **დე სიტერის** მოდელში ფიზიკურ ვაკუუმს გააჩნია ისეთი თვისება, რომელიც სრულებითაც არ ახასიათებს ნივთიერების ნებისმიერ მდგომარეობას. ასეთი ვაკუუმის მდგომარეობის განტოლებას , რომელიც აკავშირებს P წნევასა და W ენერჯის სიმკვრივეს, გააჩნია უჩვეულო სახე [4,5] :

$$P = \frac{1}{3}W \quad (2)$$

ასეთი ეგზოტიკური მდგომარეობის განტოლების შექმნა დაკავშირებულია ვაკუუმის მრავალკომპონენტიან გარემოდ წარმოდგენასთან , რომელშიც მოძრავი ნაწილაკებისათვის გარემოს წინააღმდეგობის საკომპენსაციოდ შემოღებულია უარყოფითი წნევის ცნება . ვაკუუმის სხვადასხვა მოდელური წარმოდგენების სიუხვე მიუთითებს მხოლოდ იმაზე , რომ ჯერ-ჯერობით არ არსებობს რეალური ფიზიკური ვაკუუმის ადექვატური მოდელი.

4. ფიზიკური ვაკუუმის თეორიის შექმნის პრობლემები

ფიზიკა იმყოფება ფიზიკური ვაკუუმის კონცეპტუალური წარმოდგენებიდან მის თეორიაზე გადასვლის ზღურბლზე . ფიზიკური ვაკუუმის თანამედროვე კონცეპციები რამდენადმე გადატვირთულია მიდგომებით [6,7] . პრობლემა მდგომარეობს მასში , რომ ფიზიკური არსის სტატუსში ფიზიკური ვაკუუმის დარჩენისას მის შესწავლას არ მივუდგეთ მექანიკური პოზიციებიდან .ფიზიკური ვაკუუმის არაწინააღმდეგობრივი თეორიის შექმნა მოითხოვს ფუნდამენტურ რევოლუციურ იდეებს , რომლებიც გამოდიან ტრადიციული მიდგომების ჩარჩოებიდან. რეალობა ისეთია , რომ ფიზიკური ვაკუუმის თეორია არ შედგა კვანტური ფიზიკის ჩარჩოებში და სულ უფრო ნათელი ხდება , რომ მისი არსებობის არე უნდა იმყოფებოდეს კვანტურ თეორიის ფარგლებს გარეთ და პირველ ყოვლისა წინ უნდა უსწრებდეს მას . უაღბათესად კვანტური მექანიკა უნდა იყოს ფიზიკური ვაკუუმის თეორიის გაგრძელება და შედეგი, რამდენადაც ვაკუუმს განეკუთვნება ყველაზე ფუნდამენტური ფიზიკური არსის , სამყაროს ფუნდამენტის , როლი [8]. ფიზიკური ვაკუუმის მომავალმა თეორიამ უნდა დააკმაყოფილოს შესაბამისობის პრინციპი და ამრიგად, ბუნებრივად გადადიოდეს კვანტურ თეორიაში .

წინანდებურად გაუცემელია პასუხი კითხვაზე : რა მუდმივები მიეკუთვნება ფიზიკურ ვაკუუმს ? ამ პრობლემის გადაჭრისა და უშუალოდ ვაკუუმის ,როგორც ფიზიკური ობიექტის აღმწერი განტოლების მიღების შემდეგ, შეიძლება ვილაპარაკოთ ფიზიკური ვაკუუმის ,როგორც ფიზიკური არსის , თეორიის ჩამოყალიბების შესახებ. ყველა საფუძველი არსებობს იმისა ჩავთვალოთ , რომ ფიზიკური ვაკუუმის თეორიის შექმნა არა მარტო სამყაროს მოწყობის შესახებ ცოდნის გაფართოების საშუალებას მოგვცემს , არამედ მის წარმოშობაზეც ფარდას ახდის ამჟამად არსებულ საიდუმლოებებს [1] .

5. დისკრეტული ვაკუუმის თეორიის სიმცდარე

მოსაზრებები იმის შესახებ , რომ რაიმე დისკრეტულ ნაწილაკებს შეუძლია შეადგინოს ფიზიკური ვაკუუმის საფუძველი,მცდარი აღმოჩნდა როგორც თეორიული,ისე პრაქტიკული თვალსაზრისით [6]. მსგავსი იდეები ეწინააღმდეგებიან ფიზიკის ფუნდამენტურ პრინციპებს , მაგალითად **პაულის** პრინციპს . თუ ჩავთვლით , რომ ფიზიკური ვაკუუმი შედგება მთელსპინიანი ნაწილაკებისაგან , მაშინ ისევ წარმოიშვება მდგომარეობის ეგზოტიკური განტოლების მსგავსი ტიპის პრობლემები , ისე როგორც ეს ხდება სამყაროს **დე სიტერის** მოდელში [9] .

როგორც **დირაკი** თვლიდა , ფიზიკურ ვაკუუმს არ შეუძლია წარმოშვას დისკრეტული ნივთიერება . ეს ნიშნავს , რომ ფიზიკური ვაკუუმი გენეტიკურად წინ უნდა უსწრებდეს ნივთიერებას . ფიზიკური ვაკუუმის არსის გასაგებად უნდა უკუვადგოთ სტერეოტიპური გაგება „შედგება რაღაცისაგან“ . შევეჩვიეთ, რომ ჩვენი ატმოსფერო-ესაა აირი , რომელიც შედგება სხვადასხვა მოლეკულებისაგან . დიდი ხნის განმავლობაში მეცნიერებაში ბა-

ტონობდა ცნება „ეთერი“ . ახლაც გვხვდებიან სინათლის გადამტანი „ეთერის“ კონცეპციის ,ან ელემენტარული ნაწილაკებისაგან შედგენილი აირის ფიზიკურ ვაკუუმში არსებობის მომხრეები. თუ მოხერხდება „ეთერის“ ან სხვა დისკრეტული ობიექტების თეორიაში , ან მოდელებში , ადგილების პოვნა,მაშინ ასეთი სახის ფიზიკური რელობის ადგილი ყოველთვის იქნება მეორადი. ისევ და ისევ დაისმება ამოცანა მათი წარმოშობის გარკვევის შესახებ. ასეთია ყველა კონცეპციის ხვედრი , რომლებიც დისკრეტულ ობიექტებს აკუთვნებენ სამყაროს პირველსაწისის როლს .

შეიძლება დავაკსვანათ , რომ კონცეპცია დისკრეტული ვაკუუმის არსებობის შესახებ პრინციპულად არ შედგა. ფიზიკის განვითარების მთელმა გზამ უჩვენა , რომ არც ერთ ნაწილაკს არ შეუძლია პრეტენზირება ფუნდამენტალობაზე და სამყაროს აგებულების საფუძვლის როლში გამოსვლა . დისკრეტულობა დამახასიათებელია ნივთიერებისათვის . ნივთიერება მეორადია . ის წარმოდგება უწყვეტი ვაკუუმისაგან. ამიტომ მას პრინციპულად არ შეუძლია გამოვიდეს სამყაროს ფუნდამენტური საფუძვლის როლში [10] .

ფიზიკური ვაკუუმის პრობლემების მაგალითზე ფიზიკა შეეჯახა უწყვეტობისა და დისკრეტულობის იგივე კოლიზიას, რასაც მათემატიკა - სიმრავლეთა თეორიაში . მათემატიკაში უწყვეტობისა და დისკრეტულობის წინააღმდეგობის გადაწყვეტის მცდელობა განახორციელა **კანტორმა** (კანტორის კონტინუუმ - ჰიპოთეზა) . ამ ჰიპოთეზის დამტკიცება ვერ შეძლეს ვერც მისმა ავტორმა და ვერც სხვა გამოჩენილმა მათემატიკოსმა . დღეისათვის წარუმატებლობის მიზეზი ცნობილია. **კოენის** დასკვნების შესაბამისად : კონტინუუმის სიმრავლის ან დისკრეტულობის სტრუქტურის თვით იდეა წარუმატებელია [11] . თუ ამ შედეგს განვავრცობთ კონტინუალურ ვაკუუმზე შეიძლება ვამტკიცოთ , რომ ფიზიკური ვაკუუმის დისკრეტულობის ან მრავლობითობის სტრუქტურის იდეა შეუძლებელია. ფიზიკის ნამდვილ გარღვევას წარმოადგენს მიდგომა , დამყარებული მასზე , რომ ფიზიკური ვაკუუმი რეალურად არსებობს უწყვეტი გარემოს სახით . მისთვის მიუღებელია რაიმე ზომა . ფიზიკური ვაკუუმისადმი ასეთი მდგომარეობისას იხსნება მისი უხილველობა[10] . ფიზიკური ვაკუუმის დაუკვირვებლობა არ უნდა დავუკავშიროთ არასრულყოფილ ხელსაწყოებსა და კვლევის მეთოდებს . ფიზიკური ვაკუუმი პრინციპულად დაუკვირვებადი უხილავი გარემოა . ეს მისი უწყვეტობის პირდაპირი შედეგია . უწყვეტობის თვისების მქონე ფიზიკური რეალობისათვის არ შეიძლება ვუჩვენოთ არანაირი სხვა ნიშან-თვისება. ასეთი ფიზიკური არსისადმი მიუღებელია რაიმე ზომა. ეს ყველა დისკრეტულის ანტიპოდი.

6.ფიზიკური ვაკუუმის არსის ახალი წარმოდგენა

თანამედროვე ფიზიკურ თეორიებში წარმოდგენლია ტენდენცია სამგანზომილებიანი ობიექტებიდან - ნაწილაკებიდან - ნაკლები განზომილების მქონე ახალი ტიპის ობიექტებზე გადასვლის შესახებ. მაგალითად , გრავიტაციულ კოსმოლოგიაში სუპერსიმების განზომილება ნაკლებია სივრცე-დროის განზომილებაზე [4] . ითვლება ,რომ ნაკლები განზომილების ფიზიკურ ობიექტებს უფრო მეტი საფუძველი გააჩნიათ პრეტენზია გააჩნდეთ ფუნდამენტურ სტატუსზე.

ამ თვალსაზრისით ნამდვილ გადატრიალებად შეიძლება ჩაითვალოს **ვ.ჟვირბლისის** თეორია [12] . ის ამტკიცებს , რომ ფიზიკური ვაკუუმი უწყვეტი მატერიალური გარემოა . ე.წ „პენოს ძაფის“ ანალოგიურად ,რომელიც წარმოადგენს პირობითად კვადრატებად დაყოფილ უსასრულოდ მკვრივად ავსებულ ორგანზომილებიან სივრცეს , ავტორი გვთავაზობს ფიზიკური ვაკუუმის თავისებურ მოდელს - „**ჟვირბლისის ძაფი**“ ,რომელიც უსასრუ-

ლოდ მჭიდროდ ავსებს პირობითად ტეტრაედრებად დაყოფილ სამგანზომილებიან სივრცეს . ეს ალბათ უდიდესი გარღვევაა ფიზიკური ვაკუუმის არსის გარკვევაში . ჟვირბლისი ფიზიკური ვაკუუმის მოდელის სახით განიხილავს ერთგანზომილებიან მათემატიკურ ობიექტს . სხვა მოდელებისაგან განსხვავებით ამ მოდელში დისკრეტულობას ყველაზე მინიმალური ადგილი აქვს მიკუთვნებული. ხოლო ზღვარში ვგულისხმობთ , რომ სივრცის ზემკვრივი ავსების დროს გარემო ხდება უწყვეტი .

მასთან დაკავშირებით , რომ ფიზიკური ვაკუუმი პრეტენზიას აცხადებს ფუნდამენტურ სტატუსზე და თვით მატერიის ონტოლოგიურ ბაზისზე , მას უნდა გააჩნდეს მაქსიმალური განზოგადოება და არ უნდა ჰქონდეს მრავალი ობიექტისა და მოვლენისათვის დამახასიათებელი კერძო ნიშნები. ცნობილია, რომ ობიექტისათვის რაიმე დამატებითი ნიშან-თვისების მინიჭება აქვეითებს ამ ობიექტის უნივერსალობას. მაგალითად , საწერი კალამი - უნივერსალური ცნებაა. მისთვის რაიმე ნიშნის დამატება ავიწროებს ამ ცნებით მოცული ობიექტების წრეს (რკინისა და ხის კალამი , პასტის კალამი , ავტოკალამი და სხვა) . ამრიგად , მივდივართ იმ დასკვნამდე , რომ პრეტენზია ონტოლოგიურ სტატუსზე შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ისეთ არსს , რომელიც მოკლებულია რაიმე ნიშან-თვისებას, ზომებს , სტრუქტურასა და სხვა, რომლის მოდელირებაც შეუძლებელია, რამდენადაც ნებისმიერი მოდელირება ითვალისწინებს დისკრეტული ობიექტების გამოყენებასა და ნიშან-თვისებებითა და ზომებით აღწერას. ფუნდამენტურ სტატუსზე პრეტენზიის მქონე ფიზიკური არსი არ უნდა იყოს რაიმესაგან შედგენილი , რამდენადაც შედგენილ არსს გააჩნია მეორადი სტატუსი მისი შემდგენლის მიმართ.

ამრიგად ,რაღაც არსისათვის ფუნდამენტურობისა და პირველადობის მოთხოვნასთან უნდა ახლდეს შემდეგი პირობების შესრულება [7] :

1. არ უნდა იყოს შედგენილი;
2. უნდა ჰქონდეს ნიშან-თვისებებისა და მახასიათებლების უმცირესი რაოდენობა;
3. უნდა გააჩნდეს უდიდესი განზოგადოება ობიექტებისა და მოვლენების ყველა ნაირგვარობისათვის;
4. უნდა იყოს პოტენციურად ყველაფერი და აქტიურად არაფერი;
5. არ უნდა ჰქონდეს არავითარი ზომები.

არ იყოს შედგენილი ნიშნავს , რომ თავის თავში არაფერს შეიცავს , გარდა თვით თავისთავისა . ნიშან-თვისებებისა და მახასიათებლების უმცირეს რაოდენობასთან დაკავშირებით იდეალურია მოთხოვნა- სავსებით არ ჰქონდეს ისინი . ობიექტებისა და მოვლენების მთელი ნაირგვარობისათვის გააჩნდეს მაქსიმალური ზოგადობა ნიშნავს არ ჰქონდეს კერძო ობიექტების ნიშნები , რამდენადაც ნებისმიერი დაკონკრეტება ავიწროებს ზოგადს . იყოს პოტენციურად ყველაფერი და აქტიურად არაფერი ნიშნავს იყოს უხილავი , მაგრამ ამასთანავე შეინარჩუნოს ფიზიკური ობიექტის სტატუსი. არ გააჩნდეს არავითარი ზომები - ეს ნიშნავს იყოს ნულოვანგანზომილებიანი.

ეს ზუსტი პირობა ზედმიწევნით ეთანადება ანტიკური ფილოსოფოსების კერძოდ, პლატონის სკოლის წარმომადგენელთა მსოფლმხედველებას . ისინი თვლიდნენ , რომ სამყარო შეიქმნა ფუნდამენტური არსიდან, თავდაპირველად ქაოსიდან - ენტელეხიიდან. მათი შეხედულებით ქაოსმა წარმოშვა კოსმოსის ყველა არსებული სტრუქტურა . ამ დროს ისინი თვლიდნენ (ქაოსად) სისტემის ისეთ მდგომარეობას, რომელიც რჩება საბოლოო ეტაპზე მისი ნიშან-თვისების გამოვლენის ყველა შესაძლებლობის გამორიცხვის შემთხვევაში.

ზემოთჩამოთვლილ ხუთ მოვლენას არ აკმაყოფილებს ნივთური სამყაროს არც ერთი დისკრეტული და ველის არც ერთი კვანტური ობიექტი. აქედან გამომდინარე, ამ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, მხოლოდ უწყვეტი არსი. ამიტომ, ფიზიკური ვაკუუმი, თუ მას ჩავთვლით მატერიის ყველაზე ფუნდამენტურ მდგომარეობად, უნდა იყოს უწყვეტი (კონტინუალური). გარდა ამისა, მათემატიკის მიღწევების და კერძოდ, კანტორის კონტინუუმ - ჰიპოთეზის ფიზიკურ არსში გადატანით, მივდივართ ფიზიკური ვაკუუმის მრავლობითი სტრუქტურის წარუმატებლობამდე. ეს ნიშნავს, რომ ფიზიკური ვაკუუმი შეუძლებელია გავაიგივოთ ეთერთან, დაკვანტულ ობიექტთან, ან ის ჩავთვალოთ რაიმე დისკრეტული ნაწილაკებისაგან შედგენილად, მაშინაც კი თუ ეს ნაწილაკები ვირტუალურია. ფიზიკური ვაკუუმი უნდა განვიხილოთ როგორც ნივთიერების ანტიპოდი. ამრიგად, ნივთიერებასა და ფიზიკურ ვაკუუმს ჩვენ ვიხილავთ როგორც დიალექტიკურ წინააღმდეგობრიობას. ერთიანი სამყარო წარმოდგენილია ნივთიერებასა და ფიზიკურ ვაკუუმთან ერთად. ამ არსებისადმი ასეთი მდგომარეობა შეესაბამება **ნ. ბორის** დამატებითობის პრინციპს. სწორედ დამატებითობის ასეთ დამოკიდებულებაში უნდა განვიხილოთ ნივთიერება და ფიზიკური ვაკუუმი.

ასეთი სახის უხილავ ფიზიკურ ობიექტს, რომელსაც არ გააჩნია ზომები, ფიზიკა ჯერ არ შეხვედრია. ფიზიკოსებს მოუხდება ამ ბარიერის გადალახვა და უწყვეტობის თვისების მქონე ახალი ტიპის ფიზიკური რეალობის - ფიზიკური ვაკუუმის არსებობის აღიარება. უწყვეტობის თვისებით შემოსილი ფიზიკური ვაკუუმი აფართოებს ცნობილ ფიზიკურ ობიექტთა კლასს. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური ვაკუუმი წარმოადგენს ასეთ პარადოქსალურ ობიექტს, ის სულ უფრო მეტად ხდება ფიზიკის შესწავლის საგანი. ამავდროულად, მისი უწყვეტობის გამო, მოდელურ წარმოდგენებზე დაფუძნებული ტრადიციული მიდგომა ფიზიკური ვაკუუმისადმი არ გამოდგება. ამიტომ მეცნიერებას მოუწევს მისი შესწავლის პრინციპულად ახალი მეთოდების შემუშავება. ფიზიკური ვაკუუმის ბუნების შესწავლა საშუალებას მოგვცემს ახლებურად შევხედოთ ასტროფიზიკისა და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის მრავალ მოვლენას. მთელი ხილული სამყარო და ფარული მატერია იმყოფება უხილავ უწყვეტ ფიზიკურ ვაკუუმში. ის გენეტიკურად წინ უსწრებს ფიზიკურ ველებსა და ნივთიერებას, ის წარმოშობს მათ. ამიტომ მთელი სამყარო არსებობს ფიზიკური ვაკუუმის კანონებით, რომლების მეცნიერებისათვის ჯერ-ჯერობით უცნობია.

ფიზიკური ვაკუუმის ბუნების შეცნობასთან დაკავშირებული პრობლემის ჯაჭვში არსებობს გასაღები რგოლი, რომელიც ეკუთვნის მისი ენტროპიის შეფასებას. ფიზიკურ ვაკუუმს უნდა გააჩნდეს ყველაზე დიდი ენტროპია ყველა ცნობილ ფიზიკურ ობიექტსა და სისტემას შორის. ამიტომ მისთვის **ბოლცმანის** თეორემა მიუღებელია. ზემოთ წარმოდგენილი პირველადობისა და ფუნდამენტურობის ხუთი კრიტერიუმი მასზე მიუთითებს, რომ ასეთ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მაქსიმალური ენტროპიის ობიექტი. ჩვენი აზრით, ფიზიკური გადასვლა - ვაკუუმი - ნივთიერება მიეკუთვნება თვითორგანიზაციის პროცესებს. ზუსტად ისე, როგორც **ბოლცმანისა** და **ჰიბსის** თეორემები გახდნენ თერმოდინამიკის ძირითადი ინსტრუმენტები, ფიზიკური ვაკუუმისათვის უნდა ვეძებოთ თავისი ინსტრუმენტი თვითორგანიზაციის პროცესზე **ბოლცმანის** თეორემის განზოგადოების საფუძველზე. ასეთი გარღვევითი მიდგომა უკვე იკვეთება. ფიზიკური ვაკუუმის შესწავლისთვის მისაღებ ასეთ პრინციპულად ახალ მიდგომას აყალიბებს ი. კლიმონტოვიჩის მიერ დადგენილი ენტროპიის შემცირების კანონი [13].

7.ენტროპიის კლების კანონი.კლიმონტოვიჩის S-თეორემა

გამომდინარე იქედან,რომ ფიზიკური გადასვლა - ვაკუუმი - ნივთიერება უნდა მიეკუთვნოს თვითორგანიზაციის პროცესს, ისმება ამოცანა ბოლცმანის თეორემის განზოგადების საფუძველზე ფიზიკური ვაკუუმის კვლევის ახალი ინსტრუმენტის მოძებნის შესახებ.რამდენადაც ფიზიკურ ვაკუუმს გააჩნია მაქსიმალური ენტროპია ყველა ცნობილ ფიზიკურ ობიექტსა და სისტემას შორის,ამიტომ ამ ამოცანის კონტექსტში აუცილებელია ენტროპიის კლების დამადასტურებელი კანონის მოძებნა.

თერმოდინამიკაში ძირითად კანონს წარმოადგენს ენტროპიის ზრდის კანონი.ეს კანონი ჩამოყალიბებული იყო იდეალური აირის მაგალითზე **ბოლცმანის** მიერ და მას **ბოლცმანის H** - თეორემასაც უწოდებენ.**ი.კლიმონტოვიჩმა** დაამტკიცა,რომ თვითორგანიზაციის პროცესებისათვის მოქმედებს სხვანაირი კანონი-ენტროპიის შემცირების კანონი.**ბოლცმანის H** თეორემის ანალოგს ღია სისტემებისათვის წარმოადგენს კლიმონტოვიჩის S თეორემა [13] . ახალი კანონის არსი შემდეგში მდგომარეობს: თუ ქაოსურობის ხარისხის საწყისად მივიღებთ „წონასწორულ მდგომარეობას“ რომელიც პასუხობს მართვადი პარამეტრების ნულოვან მნიშვნელობებს,მაშინ ამ მდგომარეობიდან დაშორებისას შესაბამისი პარამეტრების ცვლილების შედეგად საშუალო ენერგიის მოცემული მნიშვნელობის შესაბამისი ენტროპია მცირდება [14] .

ამ საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა შეტყობინება ენტროპიის კლების კანონის ექსპერიმენტული დადასტურების შესახებ. ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტის მეცნიერებმა ექსპერიმენტულად აღმოაჩინეს ,რომ მიკრონული ზომების ნაწილაკების ტრაექტორიის მცირე დროებში ცხადად დაიკვირვებოდა ენტროპიის კლება [15] . ეს ექსპერიმენტი და ამ საუკუნის დასაწყისში ჩატარებული სხვა ცდები [16] ადასტურებენ **ი.კლიმონტოვიჩის** მიერ ღია სისტემებისთვის დადგენილ ენტროპიის კლების კანონს. ამ კანონის ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს დასკვნა იმის შესახებ,რომ დისკრეტულობის ფესვები უწყვეტობაშია სამეზნი.სწორედ ეს კანონი იძლევა გასაღებს უწყვეტობისა და დისკრეტულობის ფუნდამენტური კოლიზიის გადასაწყვეტად,რომელიც ჯერაც გადაუჭრელია.

8.ვაკუუმის ენერგეტიკული ფენომენი

ნობელის პრემიის ლაურეატის **რ.ფეინმანისა** და **ჯ.უილერის** გამოთვლების მიხედვით ფიზიკური ვაკუუმის ენერგეტიკული პოტენციალი იმდენად დიდია,რომ ჩვეულებრივი ელექტრული ნათურის მოცულობაში მოთავსებულ ვაკუუმის ენერგია იკმარებდა მსოფლიო ოკეანის ასადუღებლად. მაგრამ ჯერ-ჯერობით ენერგიის ნივთიერებიდან მიღების ტრადიციული სქემა არამარტო დომინირებადი,არამედ ითვლება ერთადერთად.გარემოში ძველებურად იგულისხმება ნივთიერება,რომელიც ძალზე ცოტაა და გვავიწყდება ფიზიკური ვაკუუმი , რომელიც ასე ბევრია. სახელდობრ ასეთმა მოძველებულმა მიდგომამ მიგვიყვანა იქამდე,რომ კაცობრიობა ,რომელიც უნდა „ბანაობდეს“ უხვ ენერგიაში,განიცდის ენერგეტიკულ „მიმშილს“.

ახალი - „ვაკუუმურ მიდგომაში“ გამოდიან იქედან,რომ გარსმომცველი გარემო სივრცე -ფიზიკური ვაკუუმი,წარმოადგენს ენერგოგარდაქმნის სისტემის განუყოფელ ნაწილს.ამ შემთხვევაში ვაკუუმური ენერგიის მიღების შესაძლებლობა ექვემდებარება ფიზიკურ ახსნას ყოველგვარი ბუნებრივი კანონებიდან გადახრის გარეშე.იკვეთება ენერგეტიკული დანადგარების შექმნის გზები,რომელთაც გააჩნია ჭარბი ენერგობალანსი და მათ მიერ გამოუმუშავებული ენერგია აღემატება კვების პირველადი წყაროს მიერ დახარჯულს. ასეთი ენერგობალანსის მქონე დანადგარებს შეუძლია გვიჩვენონ გზები ბუნებაში დაგროვილი

ვაკუუმური უზარმაზარი ენერჯისაკენ.

Уровень озона в приземной атмосфере НПК умеренный и не достигает опасных (слишком больших) и неблагоприятных (слишком маленьких) значений благодаря низкому содержанию в воздухе антропогенных предшественников озона (окислов азота и угарного газа) и наличию растительности. Такое соотношение обеспечивает хорошие окислительные возможности воздуха и, следовательно, его высокие лечебные свойства и способность к самоочищению. Это подтверждается и результатами маршрутных измерений природной аэроионизации в НПК (табл.3).

Наблюдения показали, что величина $\sum(N+)+(N-)$ под пологом растений была выше, чем на открытых площадках рядом (в 10-30 м). Наибольшие значения $\sum(N+)+(N-)$ оказались под пологом насаждений туи у МТ2Б ст. № 75 -1878 ион/см³, при КУИ 0,40 (идеально чистое место); на открытой луговой поляне в 50 м $\sum(N+)+(N-)$ была равной 1275 ион/см³, при КУИ 0,75. Аналогичные тенденции сохранялись и в других парковых насаждениях. Указанная тенденция свидетельствует о высоких реабилитационных свойствах фиторесурсов древесных насаждений, их высокой роли в очищении приземной атмосферы, а также высоких перспективах для развития в НПК различных видов климатоландшафтотерапии.

Литература

1. Слепых В.В. Ионизационный фон насаждений Кисловодского курортного парка / В.В. Слепых, Н.П.Поволоцкая, З.В.Кортунова, Н.И.Терре, В.А.Федоров // Ж-л «Вопросы курортологии, физиотерапии и лечебной физической культуры», 2006, № 3, – С.37-39.
2. Дифференцированное применение природных физических факторов Кисловодского курорта для профилактики дизадаптов у больных с профессионально обусловленной кардио-церебральной сосудистой патологией: Методическое пособие / Авторы: Жерлицина Л.И., Ефименко Н.В., Поволоцкая Н.П., Великанов И.И., Бостанова К.М., Кириленко А.А., Слепых В.В. – Пятигорск, 2015. – 27 с.
3. Методика курортологической оценки лесопарковых ландшафтов горных территорий для целей климатоландшафтотерапии при курортном лечении контингента, подлежащего обслуживанию ФМБА России: Пособие для врачей / Утв. зам. руководителя Федерального медико-биологического агентства В.Б.Хавкиной 17.12.2015 г. Регистрационный номер 82-15. – Пятигорск: МЗРФ: ФМБА России: ФГБУ ПГНИИ ФМБА России, 2015. – 26 с.
4. Поволоцкая Н.П. Ландшафтно-климатический потенциал и его использование в лечебной практике на федеральных курортах Кавказских Минеральных Вод в условиях глобального изменения климата / Н.П. Поволоцкая, Н.В. Ефименко, Л.И.Жерлицина А.А. Кириленко, З.В.Кортунова, А.В.Просольченко, Т.М.Симонова, В.В.Слепых, О.В.Слепых, И.А.Сеник, М.А.Трубина, Е.Е.Урвачева // Вопросы курортологии, физиотерапии и лечебной физической культуры. – 2018. – №2, Т.95. – С. 98

NATURAL RESOURCES OF CLIMATE-LANDSCAPE THERAPY IN THE NATIONAL PARK “KISLOVODSKY”

**Povolotskaya N.P., Efimenko N.V., Zherlitsina L.I., Kirilenko A.A, Kortunova Z.V.,
Trubina M.A., Urvacheva E.E., Senik I.A., Slepykh V.V., Slepykh O.V.**

Summary: The natural resources of climatotherapy and landscape therapy in the National Park “Kislovodsky” (NPK), located at an altitude of 842-1400 m above sea level, are studied. The results of stationary (since 1938) and route studies of the rehabilitation properties of plants and the bioclimate of the park were used. In the era of global urbanization, the NPK performs highly effective environmental protection functions, cleaning the surface atmosphere from pollutants, creating favorable bioclimatic conditions for resort treatment and health recreation.



ქარბუქიან დღეთა რიცხვის განაწილების მნიშვნელობა საქართველოს მთიანი ლანდშაფტის პირობებში

ფიფია მ., ზეგლარაშვილი ნ., ჯინჭარაძე გ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი

ანოტაცია: გამოკვლეულია ქარბუქიან დღეთა როგორც საშუალო, ისე უდიდეს დღეთა რიცხვის წლიური მაჩვენებელი საქართველოში. ფაქტიურ მასალად გამოყენებულია 85 მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემები ქარბუქიანობის შესახებ საქართველოს ტერიტორიაზე. არსებული მონაცემების საფუძველზე შედგენილია ქარბუქიან დღეთა რიცხვის საშუალო წლიური განაწილების გეოინფორმაციული რუკა საქართველოსთვის.

საკვანძო სიტყვები: ქარბუქი, კლიმატი, საშიში მეტეოროლოგიური მოვლენები.

საქართველოს ტერიტორიის 65% მთიან ლანდშაფტს უკავია და მთების განვითარებას ჩვენი ქვეყნისთვის მრავალმხრივი დატვირთვა აქვს. საქართველოს მთის კურორტების და ზოგადად ტურიზმის განვითარების ფონზე, რაც მიზნად ისახავს საქართველოს, როგორც წელიწადის ყველა სეზონის ტურისტულ ქვეყნად ჩამოყალიბებას, მნიშვნელოვანია სხვადასხვა საშიში მეტეოროლოგიური მოვლენების პროგნოზი და ამასთანავე ქარბუქის შედეგად მიყენებული ზიანის დროულად აღმოფხვრა, შეაძლებლობის ფარგლებში წინასწარი ზომების გატარება ზიანის მინიმუმამდე დაყვანისათვის.

საქართველოს ტერიტორიაზე ქარბუქები დაკავშირებულია ცივი ჰაერის მასების შემოჭრასთან, როგორც დასავლეთიდან, ასევე აღმოსავლეთიდან. ფრონტების გავლა განაპირობებს ქარბუქების გაძლიერებას [1]. ქარბუქი, რომელიც დაკავშირებულია დასავლეთის პროცესებთან, მოიცავს საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიას. დასავლეთ საქართველოში მას თან ახლავს თოვლი, დანარჩენ რაიონებში შეიძლება ქონდეს მიწისპირა ქარბუქის ხასიათი [2]. აღმოსავლეთის პროცესებისას ქარბუქი მოიცავს მთელ აღმოსავლეთ საქართველოს და სამხრეთ საქართველოს მთიანეთის მნიშვნელოვან ნაწილს, ასევე, გამონაკლის შემთხვევებში ვრცელდება დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან რაიონებში [3].

ქარბუქის კლიმატური კვლევა მიზნად ისახავს მიაწოდოს სახელმწიფოს სხვადასხვა სექტორის დაინტერესებულ დარგებს მონაცემები ქარბუქის ტერიტორიალური განაწილების, მისი ინტენსივობის, განმეორადობის, ხანგრძლივობისა და თოვლის გადაადგილების მიმართულების შესახებ.

წინამდებარე ნაშრომში გამოკვლეულია ქარბუქის ერთ-ერთი კლიმატური მახასიათებლის - დღეთა რიცხვის წლიური განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე 1966-2017 წლების მონაცემების მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-20 საკუნის 90-იან წლებამდე საქართველოში 200-ზე მეტი

მეტეოროლოგიური სადგური და საგუშაგო ფუნქციონირებდა, სადაც ხდებოდა სხვადასხვა მეტეოროლოგიურ მოვლენებზე დაკვირვება, მათ შორის ქარბუქზე, ამიტომ ამ პერიოდის მონაცემები მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ამა თუ იმ მოვლენის შესახებ. სამწუხაროდ 90-იანი წლებიდან მეტეოსადგურებისა და საგუშაგოების კატასტროფულად შემცირების შედეგად შემცირდა მონაცემები ქარბუქიანობის შესახებ, ამიტომ ქარბუქიან დღეთა რიცხვის მაჩვენებლები ძირითადად ეყრდნობა 1966-1992 წლების მონაცემებს.

ფაქტობრივ მასალად გამოყენებული იქნა: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის საარქივო მასალა; კლიმატური ცნობარები; გარემოს ეროვნული სააგენტოს დაკვირვებათა მონაცემები.

ცხრილ 1-ში მოყვანილია ქარბუქიან დღეთა საშუალო და უდიდეს დღეთა რიცხვის წლიური მაჩვენებელი საქართველოს რეგიონებში. აგრეთვე, მოყვანილია შესაბამისი მეტეოროლოგიური სადგურები, მათი ადგილის სიმაღლე ზღვის დონიდან და ამ სადგურებზე აღებული მონაცემების პერიოდი.


ცხრილი 1. ქარბუქიან დღეთა რიცხვი (წლიური) საქართველოს რეგიონების მიხედვით

საქართველოს რეგიონები	სადგურები	საშუალო დღეთა რიცხვი	უდიდეს დღეთა რიცხვი	სიმაღლე მ/ზ.დ.	გამოყენებული მონაცემები წ.წ.
აფხაზეთი	გაგრის უღ.	29	73	1644	1966-1992
	გვანდრა	1.65	10	800	1966-1992
სამეგრელო-ზემო სვანეთი	მესტია	2.1	16	1500	1966-1992
	ლებარდე	1.6	18	1600	1966-1992
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ზესხო	12.3	27	1800	1966-1992
	მამისონის უღ.	146.3	235	2854	1966-1992
იმერეთი	კორბოული	13.7	33	790	1966-1992
	ზეკარის უღ.	17.8	100	2182	1966-1992
	რიკოთის უღ.	1.2	13	996	1966-1992
	მთა-საბუეთი	29.5	105	1248	1966-2017
გურია	ბახმარო	27.5	135	1926	1966-2011
აჭარა	გოდერძის უღ.	78.8	162	2025	1966-2005
სამცხე-ჯავახეთი	ფოკა	31.3	63	2080	1976-1991
	ბაკურიანი	8.4	35	1700	1966-2017
	ცხრაწყარო	90.4	163	2462	1966-1992
	ფარავანი	42.9	117	2073	1966-1992
	ეფრემოვკა	24.9	90	2110	1966-1992
შიდა ქართლი	ერმანი	28.9	64	2220	1966-1992
ქვემო ქართლი	მანგლისი	7.2	36	1900	1966-1992
მცხეთა-მთიანეთი	ყაზბეგი მ/მ	129	346	3665	1966-1992
	გუდაური	10.5	41	2196	1966-1992
	ჯვრის უღ.	39	70	2380	1966-1992
	თიანეთი	2.5	16	1100	1966-2017
კახეთი	გომბორი	1.7	14	1550	1966-2004
	დედოფლისწყარო	1.5	6	800	1966-2017
	ცივი-ტურა	8.3	68	1990	1966-1992

როგორც ცხრილი 1-დან დაიკვირვება, ქარბუქიანობით განსაკუთრებულად გამოირჩევა იმერეთის, სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონები. ასევე გამოხატულია ზღვის დონიდან ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად ქარბუქიან დღეთა როგორც წლიური საშუალო რიცხვის, ასევე უდიდეს დღეთა რიცხვის მატება. თუმცა ქარბუქის გავრცე-

ლებს არა მარტო ზღვის დონიდან ადგილის სიმაღლის ზრდაზეა დამოკიდებული, არამედ როგორც უკვე ზემოთ ავლინებთ სხვადასხვა ფაქტორებზე, მათ შორის კონკრეტულ რაიონზე, მის ლადმაფტზე, ოროგრაფიაზე, კლიმატურ თავისებურებზე, და ა.შ.

ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა 1966-2017 წლების 85 მეტეოროლოგიური სადგურებზე არსებულ მასალებს, შეიქმნა ქარბუქიან დღეთა რიცხვის საშუალო წლიური მაჩვენებლების გეონიფორმაციული რუკა (ნახ.1).



ნახ. 1. ქარბუქიან დღეთა საშუალო წლიური რიცხვი

როგორც ნახ.1-დან ჩანს ქარბუქიან დღეთა საშუალო რიცხვი განსაკუთრებით მაღალია კავკასიონის მთების სამხრეთ კალთებზე, აჭარის მაღალ მთიანეთში და თრიალეთის ქედის ფერდობებზე, სადაც საშუალო წლიური მაჩვენებელი 50-150 დღეა წლის განმავლობაში.

დასკვნა. ქარბუქიან დღეთა საშუალო წლიური რიცხვის გამოკვლევამ ცხადყო, რომ ქარბუქიანობა განსაკუთრებით მაღალია საუღელტეხილო გადასასვლელებზე, სადაც როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზები მდებარეობს. კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს არსებული ინტენსიური სატრანსპორტო მიმოსვლის ქარბუქისგან დაცვის ღონისძიებების გატარებას.

ლიტერატურა

1. სამუკაშვილი რ. ამინდის საშიში მოვლენები, ქარბუქი//საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, საქართველოს ჰავა 4. გურია, თბილისი, 2011, ტ.118, გვ.72-74;
2. პაპინაშვილი ლ. ამინდის საშიში მოვლენები, ქარბუქი//საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, საქართველოს ჰავა 1. აჭარა, თბილისი, 2003, ტ.110, გვ. 114-119;
3. სამუკაშვილი რ. ამინდის საშიში მოვლენები, ქარბუქი//ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის შრომები, საქართველოს ჰავა 5. შიდა ქართლი, თბილისი, 2015, ტ.122, გვ.82-87.

THE IMPORTANCE OF DISTRIBUTION OF BLIZZARD DAYS IN THE MOUNTAIN LANDSCAPE OF GEORGIA

Pipia M.G., Beglarashvili N.G., Jincharadze G.A.

Summary: Investigated the annual average and the largest number of day blizzard in Georgia. Factual materials was used data of 85 meteorological stations about blizzard in the territory of Georgia. Based on the existing data was created GIS map of the distribution of the annual average number of days of blizzard in Georgia.



ოკრიბის ლანდშაფტების რაციონალური ბუნებათსარგებლობის საკითხისათვის

ჩხეიძე ო., ჯინჯიხაძე ფ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია: ოკრიბის ტერიტორიაზე გამოვყავით და გავაანალიზეთ ანთროპოგენურად ტრანსფორმირებული ლანდშაფტის 5 ტიპი (ჯგუფი):

1. პრაქტიკულად უცვლელი ლანდშაფტები (5%-ზე ნაკლები), რომელსაც მიეკუთვნება ნაქერალა-ხვამლის სამხრული ქარაფი და ოკრიბის ის მღვიმეები, სადაც ადამიანის გავლენა არ შეიმჩნევა.

2. უმნიშვნელოდ შეცვლილი ლანდშაფტები (5-20%) მოიცავს ოკრიბა-არგვეთის სერის ცრდილო ქარაფს და საექსკურსიოდ მოწყობილ სათაფლიის, ნავენახევისა და ყუმისთავის მღვიმეებს.

3. საშუალოდ შეცვლილი ლანდშაფტები (20-50%), ვრცელდება საშუალო მთების თხემებზე და მოიცავს 128 კმ²;

4. ძლიერ შეცვლილი ლანდშაფტები (50-85%) მოიცავს ოკრიბის ტერიტორიის უმეტეს ნაწილს-შიგა ოკრიბის ქვაბულს, დაბალ მთებსა და გორაკ-ბორცვებს, სადაც დომინირებულია ანთროპოგენური ლანდშაფტების მთელი სპექტრი.

5. პრაქტიკულად მთლიანად შეცვლილი ლანდშაფტის ტიპი (85-100%), რომელსაც მიეკუთვნება ოკრიბის ქლაქები, გზები, წიაღისეულის მოპოვების საბადოები და მეწყერულ-ღვარცოფული უბნები (ფართობი 98 კმ²). რაციონალური ბუნებათსარგებლობის მიზნით საჭიროა ტყის საფარის აღდგენა და ეროზიულ-მეწყერული პროცესების შემაკავებელი კომპლექსური ეკოლოგიური ღონისძიებების გატარება.

საკვანძო სიტყვები: რაციონალური ბუნებათსარგებლობა

ბუნება ჩვენი მშობელი და მასაზრდოებელია, რამეთუ მასში არსებული ყველა რესურსი მეტ-ნაკლები მასშტაბით ათვისებული და გამოყენებულია ადამიანის მიერ. აქედან გამომდინარე ნებისმიერი რეგიონის ბუნებათსარგებლობის, მასი არსებული ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით საჭიროა ბუნების შემადგენელი ყველა ლანდშაფტური კომპონენტის და ელემენტის სრული გამოვლენა და დეტალური შესწავლა, ე.ი. ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების საფუძვლიანი ანალიზი. ჩვენც ამ მიმართულებით ვაწარმოეთ ოკრიბის ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტების კვლევა--ძიება წლების მანძილზე. თანაც ლანდშაფტების კვლევა ვაწარმოეთ მისი ტრადიციული გაგებით, შემადგენელი კომპონენტების: გეოლოგიური აგებულება, რელიეფი, კლიმატი, ჰიდროგრაფიული ქსელი, ნიადაგური საფარი, მცენარეულობა, ცხოველთა სამყარო. ამ

კომპონენტებზე დაკვირვებას ვაწარმოებდით პირველყოვლისა მათში სიახლეების გამოვლენის მიზნით, მთელი აქცენტი გადატანილი იყო ბუნებრივი ლანდშაფტების ანთროპოგენური ტრანსფორმაციის მასშტაბების ასპექტებზე (დონეებზე და ხარისხზე, დღევანდელ მდგომარეობაზე და პროგნოზზე). პირველყოვლისა, მოვახდინეთ გაფართოებული ოკრიბის ცნების საზღვრების ახლებური (მოტივიზირებული) განსაზღვრა და მის ფარგლებში (ფართობი 2000 კმ²) მოქცეული ოკრიბის ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება, სადაც ტაქსონომიურ ერთეულებად მივიჩნიეთ-მხარე, ოლქი, ქვეოლქი, რაიონი, ქვერაიონი, ლანდშაფტის ტიპი და ლანდშაფტის ქვეტიპი (დარაიონების ცხრილი ერთვის ტექსტს და გამოქვეყნებულია, 2011). ველზე მიკვლეული მასალების ანალიზის საფუძველზე პირველად შევისწავლეთ და გამოვაქვეყნეთ ოკრიბის ტიპოლოგიურ ლანდშაფტებზე მონოგრაფია (2012, გვ 235), რომელსაც თან ერთვის ოკრიბის მსხვილმასშტაბიანი ლანდშაფტური რუკა (ოკრიბაში დადგენილია და გაანალიზებულია 17 ლანდშაფტური ტიპი და მათში შემავალი ლანდშაფტის სახე და ქვესახე). ასევე პირველად გამოვყავით, დავახასიათეთ და გამოვაქვეყნეთ ოკრიბის რეგიონული ლანდშაფტები შესაბამისი რუკებით (შიგა ოკრიბის რეგიონული ლანდშაფტები, თბილისი 2013); წყალტუბოს ტალღოვანი ვაკის რეგიონული ლანდშაფტები, თბილისი 2014); სიმონეთ-ჩხარის ტერასულ-ტალღოვანი ვაკის ლანდშაფტები, თბილისი 2015). პირველად მოვახდინეთ ოკრიბის კარსტის გეომორფოლოგიური დარაიონების ცდა, გამოყოფილია კარსტის გავრცელების ზონები (სულ ორი), კარსტის რაიონები (სულ 6) ქვერაიონები (სულ 19) მათი მდებარეობით, ზღვის დონიდან სიმაღლისა და ფართობების მიხედვით. ტექსტში ჩართულია დარაიონების ცხრილი და გეომორფოლოგიური დარაიონების სქემატური რუკა (2018). მონოგრაფიის სახით პირველად დავეწერეთ და გამოვაქვეყნეთ ოკრიბის ლანდშაფტების ჩამოყალიბების ისტორია (ქუთაისი, 2012, გვ. 95). ცალკეა გამოქვეყნებული სტატია-ოკრიბის კარსტის საკითხისათვის (2018), სადაც მოკლედ არის გაანალიზებული ოკრიბაში შემავალი კარსტული მასივები-ხვამლის, რაჭის, წყალტუბოსა და ოკრიბა-არგვეთის.

ზემოაღნიშნული საკითხების გადაწყვეტა-განხილვის შემდეგ ლოგიკურად დგება საკითხი ოკრიბის ლანდშაფტებზე ანთროპოგენური ზემოქმედების პირობებში ბუნებრივი გარემოს რაციონალურ ბუნებათსარგებლობაზე, რაც მსოფლიო მასშტაბის გლობალური პრობლემის შემადგენელი ნაწილია. ამის ნათელი დადასტურებაა ის, რომ დღეისათვის მსოფლიოში შექმნილია და მთელი შემართებით ფუნქციონირებს 300-ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაცია ბუნების ცალკეული ელემენტებისა და რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების მიზნით. რაციონალური ბუნებათსარგებლობა არის სისტემა, რომლის დროსაც მოპოვებული ბუნებრივი რესურსები სრულად არის გამოყენებული, თანაც უზრუნველყოფილია აღდგენადი ბუნებრივი რესურსების განახლება, ნარჩენების სრული და მრავალჯერადი გამოყენება, რაც ამცირებს დაჭუჭყიანებას. ნ. ელიზბარაშვილის (2010) მონაცემების მიხედვით რაციონალური ბუნებათსარგებლობა გულისხმობს ადამიანის მიერ მისი იერსახის შეცვლას, როცა ადგილი აქვს ბუნების გაუმჯობესებას, კერძოდ, პროდუქტიულობის ამაღლებას, ბუნებრივი პირობებისა და რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენებას, მავნე ბუნებრივი პროცესების მინიმუმადე დაყვანას და საზოგადოებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნას. რაციონალურის საპირისპიროდ, არარაციონალური ბუნებათსარგებლობით გამოწვეული დეგრადაცია შეეხო ბუნების ყველა ელემენტს. მისი შე-

დეგია სასოფლო-სამეურნეო მიწების გადარეცხვა-ნაყოფიერების დაკარგვა (დეგრადაცია), ტყის საფარის თითქმის განახევრება, ატმოსფეროსა და წყლის ძლიერი დაბინძურება. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ლანდშაფტთა მდგრადობას და მის შესწავლას. იმავე ავტორის აზრით ლანდშაფტის მდგრადობა ესაა მისი თვითრეგულირებისა და აღდგენის უნარი, ანუ თვისება შეინარჩუნოს სტრუქტურულ-ეთოლოგიური მახასიათებლები მასზე სხვადასხვაგვარი (ბუნებრივი თუ ანთროპოგენური) ზემოქმედებისას. მდგრადობა ლანდშაფტთა უმთავრესი თვისებაა, მისი ბუნებრიობის მაჩვენებელია, რომლის საფუძველზეც უზრუნველყოფილია ლანდშაფტის დინამიკური წონასწორობა, შემადგენელი კომპონენტების ბალანსური განვითარება. კლასიკური განმარტების თანახმად ლანდშაფტის მდგრადობა არის მისი უნარი შეინარჩუნოს სტრუქტურა და ფუნქციონირების ხასიათი სივრცესა და დროში გარემო ფაქტორების ცვალებადობისას, უნარი აღიქვას ზემოქმედება სისტემის რღვევის გარეშე, შეინარჩუნოს სოციალურ-ეკონომიკური ფუნქცია, თვისება, სტრუქტურა, ფუნქციონირება სხვადასხვაგვარი ზემოქმედებისას (გვ. 75, 2010). ანთროპოგენური ზემოქმედებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ისიც, რომ ლანდშაფტს შეუნარჩუნდეს თვითაღდგენის უნარი, რომ დროულად აღდგეს საწყისი მდგომარეობა. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ ლანდშაფტებს, რომლებიც რესურსთწარმოებითი და გარემოსაღმდგენელი ფუნქციით გამოირჩევა. ჩვენი ღრმა რწმენით ანთროპოგენური ზემოქმედების სტრესის ქვეშ მოქცეული ლანდშაფტი შეიძლება შევადაროთ ავადმყოფს, რომელსაც რაგინდ კარგი წამალი არ უნდა დავალევიოთ მოკვდება, თუ ამოსუნთქვის საშუალება არ მივცით, და ასეა ბუნებაც, ე.ი. ბუნებრივი რესურსების მოხმარებისას, ბუნებათსარგებლობის პროცესში, რაციონალური ბუნებათსარგებლობა გულისხმობს იმას, რომ ბუნებას მივცეთ თვითამოსუნთქვის (თვითაღდგენის) საშუალება, რაც იქნება გარანტია თვით ჩვენი გადარჩენისა. დღეისათვის ანთროპოგენურად დეგრადირებული ლანდშაფტების მატების ტენდენცია ყველგან (გლობალურად) შეიმჩნევა, და მათ შორის ოკრიბაშიც. ლანდშაფტების მდგრადი განვითარების თეორია განსაკუთრებით პოპულარული გახდა XX საუკუნის 90-იან წლებიდან. შედარებით მდგრადი ანთროპოგენური ლანდშაფტი შესაძლებელია შეიქმნას მაშინ, როცა იგი ან ექვივალენტურია ბუნებრივი ლანდშაფტისა, ანდა ანთროპოგენურ ზემოქმედებათა ხასიათი ემთხვევა ბუნებრივ პროცესთა მიმდინარეობის ხასიათს (ნ. ელიზბარაშვილი, 2010, გვ. 76). ადამიანისა და ბუნების ურთიერთობაში სრული ჰარმონიის დამყარება გულისხმობს ბუნებათსარგებლობის შერწყმას ბუნების დაცვასთან, რაც თანამედროვე ცივილიზაციის გადარჩენის ძირითად პირობადაა მიჩნეული.

მკლევართა (ნ. ბერუჩაშვილი, 1995; ნ. ელიზბარაშვილი 2010) მონაცემების გათვალისწინებით ოკრიბის გარემოზე ანთროპოგენური ზემოქმედების მასშტაბების დეტალური ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ ლანდშაფტის 5 ტრანსფორმული ჯგუფი (ტიპი); 1. პრაქტიკულად უცვლელი (სუსტად სახეშეცვლილი 5%-ზე ნაკლები) ლანდშაფტები; 2. უმნიშვნელოდ შეცვლილი (5-20%-მდე) ლანდშაფტები; 3. საშუალოდ სახეშეცვლილი (20-50%) ლანდშაფტები; 4. ძლიერ სახეშეცვლილი (60-95%) ლანდშაფტები; 5. პრაქტიკულად მთლიანად გარდაქმნილი ლანდშაფტები (95-100%). ლანდშაფტთა ეს კატეგორიები ოკრიბის რეგიონში ჩვენ მიერ პირველად იქნა გამოყოფილი და განხილულ-განალიზებული მათი ანალიზისათვის საჭირო შეიქმნა ოკრიბაში შემავალი ცალკეული მუნიციპალიტეტების მიხედვით გაგვერკვია ანთროპოგენურად გამოყენებული ყველა სახის

წიაღისეულის მოპოვების ადგილებში (საბადოებში) ლანდშაფტის გარდაქმნის დიაპაზონი, სპექტრი, ე.ი. დაგვედგინა სამრეწველო-ტექნოგენური ლანდშაფტები ე.წ. „ინდუსტრიული უდაბნოები“. მუნიციპალიტეტების მიხედვით გავარკვეით ოკრიბაში არსებული მიწის ფონდის სრული სურათი, ე.ი. რამდენი ჰექტარი არის დღეს გამოყენებული სოფლის მეურნეობაში და რამდენი ჰექტარია გამოყენების სფეროდან გამოთიშული (ე.ი. ანთროპო-ზემოქმედებით ტყეების გაჩეხვა და ეროზიულ-მეწყრული პროცესებით ვარგისი მიწების მწყობრიდან გამოსვლა). ოკრიბის ნაყოფიერ ყვითელმიწა ნიადაგებზე არსებული ჩაის პლანტაციებიდან გარდა მცირე კერძომესაკუთრული მეურნეობებისა გავრანებულია და აგრობედლენდებს წარმოადგენს. ასევე გავარკვეით ოკრიბის ტყის ფონდის სადღეისო მდგომარეობა და მათი სამომავლო პოტენციალი. მთელ ოკრიბაში შემავალ მუნიციპალიტეტებში სასოფლო-სამეურნეოდ გამოსაყენებელი მიწის ფონდის სადღეისო მდგომარეობა ასეთია: სულ სასოფლო-სამეურნეო მიწების ფართობი შეადგენს 55000 ჰექტარს (ანუ 550 კმ²), აქედან საბჭოთა წლებში (1980წ) დამუშავებული მიწების ფართობი იყო 21927 ჰექტარი, დღეისათვის კი 10110 ჰექტარი მუშავდება. მარცვლოვანი კულტურებიდან სიმინდის ნათესებს უკავია 4249 ჰექტარი, ჩაის პლანტაციებს 1061 ჰექტარი (ქართული ჩაის პროგრამით აღდგენილ იქნა (2015-2017 წლებში) 61 ჰექტარი (აღუდგენელია 1238 ჰექტარი). ვენახის ფართობი არის 5861 ჰექტარი, ბოსტნეულის ფართობი 1980 წლის მონაცემებით 2527 ჰექტარი იყო, დღეს ეს მონაცემი 10-ჯერ შემცირებულია. ოკრიბაში სათიბ-სამოვრებს უჭირავს 33074 ჰექტარი, ოკრიბაში წიაღისეული საბადოების საერთო ფართობია 1244,2 ჰექტარი. ტყის ფართობი კი 82109 ჰექტარი. ამჯერად ვაანილიზებთ ოკრიბაში გამოყოფილ ზემოაღნიშნულ ანთროპოგენურად ტრანსფორმირებულ ლანდშაფტის 5 ტიპს (ჯგუფს) ცალ-ცალკე.

1. პრაქტიკულად შეუცვლელ ლანდშაფტებს ოკრიბაში უკავია ყველაზე მცირე ფართობი (19,8კმ²). მას მივაკუთნებთ ნაქერალა-ცხრაჯვარი-ორხვისა და ხვამლის მასივის სამხრულ ქარაფებს, რომლის სიგრძეა 38 კმ, ქარაფის საშუალო სიმაღლეა 300 მეტრი, მაქსიმალური 600 მ (ხვამლის და ცხრაჯვარის ფარგლებში), ახასიათებს კლდოვან-ნაპრალოვან-ღარტაფოვანი რელიეფი. ნიადაგები მხოლოდ ღარტაფოვან-ნაპრალოვან მონაკვეთებზეა განვითარებული, სადაც გვხვდება ბუჩქნარი ან ხებუჩქნარები, ქარაფის უმეტესი ნაწილი ნიადაგ-მცენარეულ საფარს მთლიანად მოკლებულია. ეგზოტექტონიკური ძალებით ადგილი აქვს კირქვის ბლოკების მოწყვეტას და ქარაფის ძირში მცვივან კონუსებისა და კლდეზვავების წარმოქმნას. ორხვის, ცხრაჯვარისა და ხვამლის ქარაფებზე წარმოქმნილია მღვიმეებიც, რომელთა რაოდენობა ოცამდეა. ლანდშაფტის ამ ტიპში ვათავსებთ ჭოგნარის კირქვულ პლატოზე ელდარ ბასილამის მღვიმეს და წყალტუბოს კირქვულ ვაკეზე საწურბლია, სოლკოტას, საქაჯიას, საბეროა და სარყუმალის მღვიმეებს. ცხადია ამავე ტიპში გაერთიანდება ოკრიბაში შემავალ კარსტულ მასივებზე ყველა პოტენციური (აღმოსაჩენი) მღვიმე.

2. უმნიშვნელოდ შეცვლილი ლანდშაფტები (5-20%). ამ ტიპს ვაკუთნებთ სათაფლიის აღკვეთილს და ფართობი 500 ჰა, სადაც ცხადია, ბუნების შემადგენელი კომპონენტები სრულად უნდა იყოს დაცული, მაგრამ აღკვეთილის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთზე (ე.ი. ადმინისტრაციული შენობიდან მოშორებით ტყეები საკმაოდ გაკაფულია). ამავე ლანდშაფტის ტიპში ვაერთიანებთ ოკრიბა-არგვეთის სერის მთელ ჩრდი-

ლო, ოკრიბის ქვაბულისაკენ მიქცეულ ქარაფს, რომლის სიგრძეა 30-35 კმ, საშუალო სიმაღლე 100 მ (ფართობი 4,6 კმ²), ასევე ქარაფზე არებულ მადარას 13 სართულიან მღვიმოვანს და ოკრიბაში იმ მღვიმეებს, რომლებიც მოწყობილია ტურისტულ-საექსკურსიოდ (სათაფლიის, ნავენახევის და ყუმისთავის) მათი ფართობები საქართველოს კარსტული კადასტრის მიხედვით 7,8 შეადგენს.

3. საშუალოდ შეცვლილ ლანდშაფტებში ვათავსებთ ხვამლი-ორხვი-ცხრაჯვარი-ნაქერალასა და ოკრიბა-არგვეთის ქედების თხემებს, რომელთა ჰიფსომეტრიული მაჩვენებლები ძირითადად საშუალო სიმაღლეს ინარჩუნებენ. ისინი ძირითადად დაფარულია ფოთლოვანი ტყით, ალაგ-ალაგ გვხვდება წიწვიანებიც და სუბალპური მდელოებიც (ხვამლის ჩრდილო-დასავლეთი თხემი წმინდა გიორგის ეკლესიის უბანში). ხვამლ-ნაქერალას თხემზე დომინირებულია კარსტული ფორმები წკვარამები, უვალეები, პოლიები (ნაქერალას თხემზე). კარსტული ფორმები და უვალეები კლასიკურადაა ხვამლზე, აქვეა წითელ წიგნში შეტანილი ბოგას მღვიმე და თევზთერის ჭა. ამავე ლანდშაფტების კატეგორიაში ვაერთიანებთ მდინარეებსაც. ჩვენი გამოთვლით ლანდშაფტის ამ ტიპს უჭირავს 128 კმ².

4. ძლიერ შეცვლილი (50-80%) ლანდშაფტები მოიცავს ოკრიბის ტერიტორიის უმეტეს ნაწილს, რაც განპირობებულია მჭიდრო დასახლებით და ბუნებრივი გარემოს შემადგენელი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით. რელიეფურად იგი მოიცავს ოკრიბის ქვაბულს, გორაკ-ბორცვებს, დაბალ მთებს, წყალტუბოს ტალღოვან ვაკეს, სიმონეთის ტერასულ ვაკეს და ოკრიბაში შემავალ იმერეთის დაბლობს. აქაა წარმოდგენილი მთელი ოკრიბის სასოფლო-სამეურნეო მიწის ფონდი და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ყველა სახე. დომინირებულია ანთროპოგენური ლანდშაფტებიდან აგროლანდშაფტების მთელი სპექტრი. ამ ტიპის ლანდშაფტის ფართობი შეადგენს 913 კმ².

5. პრაქტიკულად მთლიანად შეცვლილ ლანდშაფტის ტიპში ვაერთიანებთ ოკრიბაში არსებულ საავტომობილო და სარკინიგზო გზებს, წყალსაცავებს და ქალაქებს-ქუთაისს, ტყიბულს, წყალტუბოსა და თერჯოლას, ასევე ყველა სახის წიაღისეულ-საბადოს მათი კარიერებით და ტექნოგენური ფორმებით (ტერასეტები, ყორღანები, ტერიკონები, ფლატეები, ღარტაფები და სხვა.), მეწყერებითა და ზვავებით დაკავებულ უბნებს (ოკრიბის ქვაბულის აღმოსავლური, ჩრდილო და ცენტრალური ნაწილები). ტყიბულის ქვანახშირის საბადოზე, სადაც დომინირებს სულფიდების შემცველი ნაყარ-კლასტური მასალა, ადგილი აქვს ღვარცოფებისა და მეწყერების გააქტიურებას. აქ მდებარე საბილასურის მეწყერზე (სიგრძე 1,5 კმ, სიგანე 500მ) თავის მხრივ განვითარებულია 14 მიკრომეწყერი, მათგან ორი კარიერზეა.

მთლიანად შეცვლილი ლანდშაფტების ფართობი 114 კმ² ეთანასწორება. აქედან სამრეწველო-ტექნოგენურ ლანდშაფტებს უკავია 1231,557 ჰექტარი, რომელიც ფაქტიურად გამოუყენებელ სივრცეებად ანუ ტიპიურ ბედლენდებად იქცა. აქედან გამომდინარე რაციონალურ კონტროლისძიებას წარმოადგენს ეკოლოგიის ისეთი ღონისძიებები, როგორცაა სამთო ტექნიკური, საინჟინრო, სამელიორაციო, სასოფლო-სამეურნეო და გამწვანების სამუშაოების ერთიანი კომპლექსი (ფ. ჯინჯიხაძე 2018). ოკრიბის ლანდშაფტების ანთროპოგენური დეგრადაცია გლობალური პრობლემის ნაწილია და მის გადაჭრაში არსებითი როლი მაინც მკაცრმა სამთავრობო მოთხოვნებმა უნდა შეასრულოს, რამეთუ ე.წ. შელოცვებით საქმე არ გადაწყდება. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ის, რომ ოკრიბაში არსე-

ბულ ნაკრძალებში და დაცულ უბნებშიც (სათაფლია, ცუცხვათი, კობისგორა და სხვა) ჩვენს თვალწინ გრძელდება ტყის ფონდის განადგურება, დაცვის ობიექტად გამოცხადებულ ცხოველებზე ბრაკონიერების თარეში. ისიც გამჟღავნდა რომ ოქონას სერზე მანგანუმის მოპოვებითი სამუშაოები ახლებური ასპექტით დაიწყო, ნაგარევის კარსტული მღვიმე, რომელიც საუკეთესო ბუნების ძეგლს წარმოადგენს კერძო პირზე იყიდება ღვინის მარნის მოსაწყობად. ასეთ სიტუაციაში რაოდენ კონტრასტულად (სატირულად) გამოიყურება ის, რომ მდ. წყალწითელას ტერასებზე არსებული ნაყოფიერი ალუვიური მიწები, რომელზედაც გოდოგნის კოლმეურნეობას სიმინდის ყველაზე მეტი მოსავალი მოყავდა საბჭოურ ხანაში, დღეისათვის პრივატიზებულია კერძო პიროვნებებზე, მაგრამ არ მუშავდება და მხოლოდ საძოვრად არის გამოყენებული. ამ ფონზე ცოტა არ იყოსდა ოკრიბის გარემოს რაციონალურ ბუნებათსარგებლობაზე „ტვინის ჭყლეტა“, რბილად, რომ ვთქვათ ტრაგედიად წარმოგვიდგება!

ლიტერატურა

1. ელიზბარაშვილი ნ. გეოგრაფიის საფუძვლები, თბილისი 2010.
2. სეფერთელაძე ზ., დავითაია ე., მარგველანი გ. ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია, თსუ 2011.
3. ჩხეიძე ო., ჯინჯიხაძე ფ., ჩხეიძე ს. იმერეთის კარსტის გეომორფოლოგიური დარაიონების საკითხათვის; კავკასიის გეოგრაფიული ჟურნალი, №7-8, 2007, გვ.128-133.
4. ჩხეიძე ო., ჯინჯიხაძე ფ., ჩხეიძე ს. ოკრიბის ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონების ცდა, გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები., კრებული №(82), თბ, 2011, გვ. 335-341.
5. ჩხეიძე ო., ჯინჯიხაძე ფ., ჩხეიძე ს. ოკრიბის ლანდშაფტები, ქუთაისი, 2012.
6. Беручашвили Н. Л. Кавказ, Ландшфты, Модели, Эксперименты, Тб, 1995.

FOR THE ISSUE OF OKRIBA LANDSCAPE RATIONAL NATURE MANAGEMENT

Chkheidze O., Jinjikhadze P.

Summary: *On the territory of Okriba, we identified and analyzed 5 types (groups) of anthropogenically transformed landscapes:*

1. Practically unchanged landscapes (less than 5%), which includes Nakrela-Khvamil southern cliff and those caves of Okriba (Sabero, Solkota, Satsurbliia, Eldar Basiladze) where no human influence has been observed.

2. The slightly altered landscapes (5-20%) including the North cliff of Okriba-Argveti hillrock northern cliff and arranged places for excursions including: Sataplia, Navenakhevi and Kumistavi caves.

3. The average altered landscapes (20-50%) extend on average mountain ridges (Nakerala, Khvamli, Tskalmekhkhara) and covers 120 km²;

4. The strongly altered landscapes (50-85%) comprise most part of Okriba area - the inner Okriba structural basin, low mountains and hills, where the whole range of anthropogenic landscapes dominate.

5. Practically completely altered landscape type (85-100%), which includes Okriba towns, roads, minerals extraction mines and landslide mudflow areas (area 98 km²).



საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის სოფელ საირმის ეკოლოგიურ-გეოგრაფიული მონაცემები

ხუციძე ლ. ო.

ქ. ქუთაისის მე-13 საჯარო სკოლა

ანოტაცია: საქართველოში ეკო, აგრო, და ფერმერული ტურიზმის განვითარებისათვის ჩვენს მიერ შესწავლილია რაჭა-ლეჩხუმის, ცაგერის რეგიონის სოფელ საირმის ეკოლოგიურ-გეოგრაფიული მონაცემები. სოფლის ბიო-გეოგრაფიული მონაცემების გამოკვლევა, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას აღნიშნულ მიმართულებაში, ეკონომიური დონის ამაღლებასა და მიგრაციის შემცირებას.

საკვანძო სიტყვები: ტურიზმი, ეკოლოგია

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა და წარმოგვედგინა რაჭა-ლეჩხუმის სოფლების ეკოლოგიურად სუფთა, ბიომრავალფეროვანი ველური ფლორა და ფაუნა, ღვინის გზა, რომელიც დასაბამს მისცემს რეგიონში აგრო, ეკოლოგიური და ფერმერული ტურიზმის განვითარებას. აღნიშნულ მიმართულებაში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას, ეკონომიური დონის ამაღლებას.

ლიტერატურული მონაცემებით ვიცით, რომ ამ მხარეში უამრავი საინტერესო, უნიკალური ისტორიულ-ეთნოგრაფიული, არქეოლოგიურ- არქიტექტურული ძეგლია. მათ შორის აღსანიშნავია: ნიკორწმინდის ეკლესია (XI ს.); წინდას ციხე; ონის ციხე (შუა საუკუნეები); პატარა ონი – დარბაზული ეკლესია (XI ს.); შქმერის კარსტული მღვიმე (1720 მ.); მთისკალთის (მრავალძალის) დარბაზული ეკლესია (X-XI სს., XIX ს.); უწერა - დარბაზული ეკლესია; ნანგრევები (X ს.), ღები; ბარაკონის ეკლესია (XVIII ს.); ხვანჭკარის ციხე და ეკლესია (შუა საუკუნეები); ხოტევის ციხე (შუა საუკუნეები); ბუგეულის დარბაზული ეკლესია (XIV-XV სს.); კვირიკეწმინდა; ლაილაში, ჩაჟაშის კომპლექსი; ციხეთა კომპლექსი - “დახვდი”, “დაჰკარი” და “არ გაუშვა”. [1]



სურ.N1.რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის სოფელ საირმის კლდოვანი ხედი.
 სურ.N2.სოფელ საირმის რამოდენიმე მეტრის ლამაზი ჩანქერი.

ეს ძეგლები ერთობ საინტერესო სანახაობას წარმოადგეს ტურისტებისათვის. საქართველოს სამი ულამაზესი კუთხე – რაჭა, ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი ჩვენი ქვეყნის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ კიდეზე მდებარეობს. რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მხარეში შედის ამბროლაურის, ონის, ცაგერის და ლენტეხის მუნიციპალიტეტები

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის უნიკალურობას არა მხოლოდ მისი გეოგრაფიული მდებარეობა, არამედ მდიდარი, მრავალფეროვანი ფლორა, ფაუნა და სუფთა აგრო-ეკოლოგია განსაზღვრავს. თვითმხილველთა უზომო აღტაცებას იწვევს მხარის მთიანეთი, კავკასიონის ჭაღარა მწვერვალები და მთაგრეხილები, მდინარეები და ჩანჩქერები, მრავალრიცხოვანი ტყის მასივები და მათში გავრცელებული ცხოველები და ფრინველები, ბუნებრივი გამოქვაბულები და მღვიმეები, უღელტეხილები, ალპური სათიბ-სამოვრები, ულამაზესი გზა-ბილიკები, შაორისა და ლაჯანის წყალსაცავი.[2]

რაჭა - ლეჩხუმის რეგიონში ტურიზმის განვითარებისათვის ყურადღება შევაჩერეთ ცაგერის რეგიონის სოფელ საირმეზე, რომელც მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმის საზღვარზე. ალპანასა და ჭრებალოს შორის, მდინარე რიონის მარჯვენა მხარეს. ტერიტორიულად ექვსი კილომეტრი მანძილი უჭირავს. სოფელს ჩრდილოეთით თავზე დაჰყურებს ლაბეჭინის ეკლესია. სოფელი დაყოფილია ზედა და ქვედა საირმედ. აქ დაახლოებით ცხოვრობს 200-მდე კომლი.[3] მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მიგრირებულია თბილისსა და ქუთაისში. აქაური მცხოვრები ძირითადად მევენახეობით, მეხილეობით, მებოსტნეობით, მეფუტკრეობითა და მეცხოველეობით არის დასაქმებული. ხეხილოვანი მცენარეებიდან ფართოდ არის წარმოდგენილი: ვაშლი, მსხალი, ბალი, ტყემალი, ქლიავი, ნიგოზი; ვაზის ჯიშებიდან აღსანიშნავია: ცოლიკაური და საირმულა. საირმის სამხრეთ ნაწილში, რაჭის მიმდებარე ტერიტორიასთან, მდინარე რიონის მარჯვენა მხარეზე მოსახლეობას გაშენებული აქვს ვაზის უნიკალური ჯიშები: ალექსანდროული და უჯურეთული. სოფელში აღინიშნება ფლორის ბიომრავალფეროვნება. ტყეში ფართოფოთლოვანი მცენარეებიდან ჭარბობს ნაყოფმომცემი მცენარეები: წაბლი, მუხა, თხილი, ზღმარტლი, პანტა ვაშლი, შინდი. გვხვდება წიფელი, ცაცხვი, ფიჭვი, მცირე რაოდენობით ნაძვი და სხვა. ფაუნა მრავალფეროვანია, ფრინველებიდან გვხვდება: შაშვი, კოდალა, ბელურების სხვადასხვა სახეობა, მტაცებლებიდან - ქორი, კაკაბი. ტყეში ბინადრობს ციყვი, კურდღელი, ტურა, ბოლო წლებში აქტიურ გამრავლებას იწყებენ მტაცებელი ცხოველები: მელა, მგელი, დათვი და სხვა, რაც გარკვეულ ზიანს აყენებს მეცხოველეობის განვითარებას. სოფელში ნიადაგი მრავალფეროვნებით არის წარმოდგენილი, გვხვდება: რუხი, წითელი, თეთრი, აყალო, წვრილ თეთრქვიშიანი. საირმის სამხრეთ ფერდობზე თეთრი ქვაც არის, რომელსაც წარსულში სამშენებლო მასალად იყენებდნენ. აქაური მოსახლეობის სახლების უმრავლესობა სოფელში მოპოვებული და დამუშავებული თლილი თეთრი ქვითა და თეთრი მიწით არის აგებული. საირმეში მცხოვრებთა მონაცემებით, მოსახლეობა წარსულში ადგილობრივი ნიადაგის გამოყენებით, თიხის სხვადასხვა დანიშნულების საყოფაცხოვრებო ნივთების დამზადებითაც იყო დაკავებული. სოფელში ლაბორატორიულად შემოწმებული ათი წყაროსა და ერთი რკინის მაღალი შემცველობის წყალია. სოფლის ქვემო მიმდებარე ტერიტორიაზე, ქვაბრანაში რამოდენიმე მეტრის სიმაღლის ულამაზესი ჩანჩქერია, რომელიც ტურიზმის განვითარებისათვის თვალწარმტაც ხეობას ქმნის.

რაჭაში მიმავალი მგზავრი ისე არ გაივლის, რომ საირმის ულამაზეს კლდეებს თვალი არ მიაპყროს, ეს ადგილი ცნობილია უდაბნოს სახელწოდებით. ულამაზესი ადგილი ადამიანის გულს წარუშლელი შთაბეჭდილებით ავსებს. საირმის უდაბნოს უღელტეხილიდან, სადაც გზატკეცილი ძნელ აღმართსა და დაღმართში საოცრად დაკეცილია, აღმოსავ-

ლეთითაც მომხიბვლელი სურათი - წარმტაცი ქვემო რაჭის ხეობის ხედი მოსჩანს. უდაბნოს ჩრდილოეთით, მთებს შორის გაშენებულია სოფელი საირმე. წინათ აქ ყოფილა ქალაქი, რომელიც უხსოვარ დროს ჩაქცეულა ორასი მეტრის სიღრმეზე. ამჟამად, ორი კილომეტრის მანძილზე, მთად აღმართულია დანგრეული ნაქალაქარი. მისი სამხრეთ ფერდობიდან ბილიკით ასვლაც შესაძლებელია. ნაქალაქარის მდელოზე, დასავლეთ ტაძრის ნაგრევები შემორჩენილა. ქალაქი ჩაწყვეტილია და ირგვლივ ლამაზად ჩანს თვალუწვდენელი რამოდენიმე რქისებური ფორმის კლდოვანი სვეტი, რომელზედაც მცენარეები მცირე რაოდენობითაა განსახლებული და ადამიანს ხიბლავს თავისი ბუნებრივი სილამაზით. ლიტერატურული მონაცემებით, მეცნიერთა აზრით სოფლის აღნიშნული ტერიტორიის ჩაწყვეტა რამოდენიმე მეტრის სიღრმეზე, სამხრეთისაკენ ჩამოცურებული ეოცენური კირქვის ბლოკის გრავიტაციული და გამოფიტვის პროცესების შედეგად არის გამოწვეული და ქმნის კლდეთა ჯგუფს. მერგელოვანი კირქვებით აგებული ეს მიდამო ხალხში ცნობილია „უდაბნოს სახელწოდებით.“ [4] კლდეების მიმდებარე ტერიტორიაზე სახნავი მიწებია, რომლებსაც „კლდეშუასა“ და „ლებენას“ უწოდებენ, სადაც ეკოლოგიურად სუფთა მარცვლოვანი მცენარეები – სიმინდი და ლობიო მოჰყავდათ. აქაური მოსახლეობის მონაცემებით 30-40-იან წლებში საირმის მიდამოებში ითესებოდა და მოჰყავდათ საუკეთესო ჯიშის ხორბალი. ჩრდილოეთით უდაბნოს არმოდის ქედი დაჰყურებს. ამ ქედის კალთაზე ნობიდან წყალი გადმოდის. მას „ქალაქის კოდი“ ჰქვია. წყალი ცივი და სასმელად საუკეთესოა. წყალთან ახლოს, დაახლოებით ათ მეტრში, კლდე ჩაწყვეტილია და სიმაღლიდან ბიომრავალფეროვნების, მთა-ტყის, მთა-მდელოს ლანდშაფტები, ალპური და სუბალპური მდელოები, მდინარე რიონის ხეობა, ხვამლის მთის ფერდობები, უდაბნოს კლდეებისა და ველური ბუნების საუკეთესო, ულამაზესი ხედი იხსნება, რომელიც ჩვენი აზრით, დასაბამს მისცემს ეკო, ფერმერული და აგრო ტურიზმის განვითარებას. ეს კი ხელს შეუწყობს მოსახლეობის ეკონომიკური დონის ამაღლებასა და მიგრაციის შემცირებას.

ლიტერატურა

1. geocodna.wordpress.com/2017/04/03/;
2. topnews.com.ge/news/11265/;
3. turizmitei.blogspot.com/2009/06/mgvimeebi.htm
4. საქართველოს წითელი წიგნი. ცხოველთა და მცენარეთა იშვითი და გადაშენების პირას მისული სახეობები. საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია. თბილისის სახ. უნივერსიტეტი „საბჭოთა საქართველო.“ 1982.წ. გვ.214.

ECOLOGICAL GEOGRAPHICAL DATA OF VILLAGE SAIRME OF RACHA-LECHKHUMI REGION FOR TOURISM DEVELOPMENT IN GEORGIA

Khutsidze L. O.

Summary: For Georgia tourism development in different directions and for regions population employment and the growth of economic level of the region, the research was implemented in RACHA_LECHKHUMI region, and the Desert Rocks of the Sairme village and its the geographical description. The development of this region will directionally contribute to the eco-farming and agro-tourism development of the country, as well as the population employment, increasing of economic level and reducing migration.



სამრეწველო-ტექნოგენური ლანდშაფტები ოკრიბაში

ჯინჯიხაძე ფ., ჩხეიძე ო.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია: ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის გამოვლენა, შესწავლა და რაციონალური ბუნებათ-სარგებლობის პრობლემებზე ზრუნვა მისი შენარჩუნების და მდგრადი განვითარების წინაპირობაა. ამ უკანასკნელ პერიოდში ფართოდ გამოიყენება საბადოს თუ რიგი სამშენებლო მასალების მოპოვება ღია კარიერული წესით. შესაბამისად მთლიანად მოისპო საუკუნეთა მანძილზე შექმნილი ბუნებრივად გაწონასწორებული ლანდშაფტები და მათ ადგილზე ყალიბდება ე.წ. „ინდუსტრიული უდაბნოები“.

ოკრიბის ტერიტორიის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ანალიზი და რაციონალური ბუნებათსარგებლობის საკითხების დამუშავება რეგიონულ დონეზე, კერძო მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს.

საკვლევ ტერიტორიაზე სამრეწველო-ტექნოგენურ ლანდშაფტებს 1231,557 ჰა უჭირავს, რომელიც ფაქტიურად გამოიყენებელ სივრცეებად იქცა. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვან კონტროლისძიებას წარმოადგენს ეკოლოგიის ისეთი კონსტრუქციული ღონისძიება, როგორცაა სამთო ტექნიკური, საინჟინრო, სამელიორაციო, სასოფლო-სამეურნეო და გამწვანების სამუშაოების ერთიანი კომპლექსი.

საკვანძო სიტყვები: ლანდშაფტები, ეკოლოგია

ბუნებრივი გარემოს მდგომარეობის გამოვლენა, შესწავლა და რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრობლემებზე ზრუნვა მისი შენარჩუნების და მდგრადი განვითარების წინაპირობაა.

სამეცნიერო-ტექნიკური რეკლამაციის ეპოქაში და მკვეთრად დინამიური საბაზრო ეკონომიკის განვითარების პირობებში ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ფორმამ და საშუალებებმა, გარდა იმისა, რომ განაპირობა მათი მოხმარების გადიდება, ჩვენი ქვეყნის წინაშე დააყენა ორი მეტად სერიოზული პრობლემა: ბაზრის უზრუნველყოფა ბუნებრივი რესურსებით და მათი გადამუშავების პროცესში მიღებული ნარჩენებით გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა.

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა უფრო რთული და ფართო პრობლემის- ქვეყნის ეკონომიკის და ადამიანის ცხოვრების ბუნებრივი პირობების შემადგენელ ნაწილად იქცა.

ამ უკანასკნელ პერიოდში ფართოდ გამოიყენება საბადოს თუ რიგი სამშენებლო მასალების მოპოვება ღია კარიერული წესით. შესაბამისად მთლიანად მოისპო საუკუნეთა

მანძილზე შექმნილი ბუნებრივად გაწონასწორებული ლანდშაფტები და მათ ადგილზე ყალიბდება ე.წ. „ინდუსტრიული უდაბნოები“ - ქვადორღისა და ორმოების უსწორმასწორო ნაყარები, სადაც ინტენსიურად ვითარდება ეროზიული და მეწყრული პროცესები.

სწორედ ამითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ ჩვენს ქვეყანაში რაციონალური ბუნებათსარგებლობის აუცილებლობა საფუძველდებულია, როგორც კონსტიტუციით, ისე მთელი საკანონმდებლო აქტებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ანალიზი და რაციონალური ბუნებათსარგებლობის საკითხების კვლევის აქტუალობა ექვს არ უნდა იწვევდეს. შესაბამისად ფიზიკურ-გეოგრაფიული კვლევის კერძო მეცნიერული მეთოდოლოგიის დამუშავება აქტუალური ხდება, რამდენადაც მისი მეშვეობით მნიშვნელოვანწილად შეიძლება განისაზღვროს ბუნების კომპონენტთა სისტემის ბუნებათსარგებლობის პრობლემის გაგება.

ოკრიბის ტერიტორიის, როგორც კვლევის ობიექტის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ანალიზი და რაციონალური ბუნებათსარგებლობის საკითხების დამუშავება რეგიონულ დონეზე, კერძო მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს.

ანთროპოგენურ ლანდშაფტებს შორის ტექნოგენური ლანდშაფტები საოცრად დიდ როლს ასრულებს საზოგადოების ყოფა-ცხოვრებაში. მათ უჭირავთ ჩვენი პლანეტის ასეულ ათასობით ჰექტარი მიწის ფართობი, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უვარგისია გამოსაყენებლად. აქედან გამომდინარე, ამ ლანდშაფტების კვლევა და მათი ოპტიმიზაციის საკითხების განხილვა ძალზე აქტუალურია. ამ პრობლემის სიმძაფრე განსაკუთრებით მკვეთრად იგრძნობა იქ სადაც მთაგორიანი და ძლიერ დანაწევრებული რელიეფია, მათ ფონზე ყალიბდება ანთროპოგენური ლანდშაფტების განსაკუთრებული მოდიფიკაცია - სამრეწველო-ტექნოგენური, ამასთან დროის შედარებით მცირე მონაკვეთში ძირეულად იცვლება მისი ყველა კომპონენტი, დაწყებული დედაქანიდან ნიადაგმცენარეული საფარით დამთავრებული.

ტექნოგენური ლანდშაფტთა მრავალსახეობიდან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ე.წ. სამთო-სამრეწველო ლანდშაფტებს, რომლებიც წარმოიშვებიან სამთო-მომპოვებელი და სამთო-დამამუშავებელი ტექნიკის ბუნებაზე ზემოქმედებისას. ტერმინი „სამთო-სამრეწველო ლანდშაფტი“ შემოიღო ვ. ბონდარჩუკმა (1949). გაამახვილა რა ყურადღება მის გენეტიკურ ბუნებაზე, მანვე მოგვცა მისი მეცნიერული განსაზღვრება: სამთო-სამრეწველო ლანდშაფტი იგივე ანთროპოგენური კომპლექსია, რომელიც ფორმირდება ბუნებრივი კომპლექსებისა და გეოსამთო-ტექნიკური სისტემების ურთიერთზე მოქმედების შედეგად და ხასიათდება მინერალური და ბიოგენური ნივთიერებების აქტიური მიგრაციით. ანთროპოგენური ლანდშაფტებთა მრავალსახეობებს შორის ტექნოგენური კომპლექსები ყველაზე ღრმა ცვლილებებით გამოირჩევა.

ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად ძირფესვიანად შეიცვალა ბუნებრივი ლანდშაფტები, მათი ადგილი სამთო-სამრეწველო კომპლექსებმა დაიკავა და, როგორც მართებულად აღნიშნავდა თავის დროზე ა. ფერსმანი (1934), ადამიანი თავისი სამეურნეო და სამრეწველო ზემოქმედების მასშტაბებითა და მნიშვნელობით თვით ბუნებრივ პროცესებს გაუტოლდა და მოგვეკლინა, როგორც მძლავრი გეოლოგიური ფაქტორი. ადამიანის ფაქ-

ტორის როლი განსაკუთრებით კარგად ჩანს ტექნოგენური ლანდშაფტების ფორმირების შემთხვევაში, როცა ძირეულ ცვლილებას განიცდის ყველა ლანდშაფტმემქმნელი კომპონენტი. ზემოქმედების მიმართ მათი მდგრადობის მაჩვენებელი სხვადასხვაა მორფოსტრუქტურული ფორმების მიხედვით. დაბალია პლატოებსა და წყალგამყოფებზე, ეს უკანასკნელი კი საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი საკვლევ რეგიონში და ამდენადაც, ისედაც ნაკლებ სტაბილურმა ტერიტორიამ მიიღო მაქსიმალური დატვირთვა ტექნიკური ზემოქმედების სახით.

აქ ჩამოყალიბებული ლანდშაფტები განვითარების მდგრად სტადიაში იმყოფება და ხასიათდება ტექნოგენური კომპლექსთა მაღალი თვითრეგულაციით (არარეკულტივირებულ ფართობებზე), რაც იწვევს არა მარტო სუქცესიურ სახეცვლილებას ერთი და იმავე ლანდშაფტის ფარგლებში, არამედ ერთი კომპლექსის მეორეთი შეცვლას.

ბუნებაზე ადამიანის ტექნიკური ზემოქმედება, პირველ რიგში, იწვევს ზედაპირის კონტრასტულობის გაძლიერებას და მასთან დაკავშირებული მიკროლანდშაფტების ჩამოყალიბებას, განსაკუთრებით საბადოს ღია კარიერული წესით დამუშავებისას. ამ დროს წარმოიშვა რელიეფის სხვადასხვა სახის ზედაპირული ფორმები: ანთროპოგენურ-დენუდაციური - კარიერები, ტრანშეები, ჩანაქვევები და სხვა; ასევე ანთროპოგენურ-აკუმულაციური - მიწაყრილები, ტერიკონები, დამბები და სხვა.

ოკრიბაში შემავალ მუნიციპალიტეტებში წიაღისეულის სახეობები და სამთო მონაკვეთების ფართობები შემდეგი სახითაა გადანაწილებული:

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მესამეული კირქვების ფართო გავრცელების გამო აქ კირქვის 18 საბადოზეა მოპოვების ლიცენზია გაცემული. აგრეთვე ხდება საღორღე და სამშენებლო კირქვის მოპოვება. ინერტული მასალის 22 საბადოზე მოპოვებითი სამუშაოები ძირითადად მდ. ყვირილას კალაპოტსა და ჭალებში წარმოებს.

მუნიციპალიტეტში მანგანუმის ხუთ საბადოზე გაცემულია მოპოვების ლიცენზია. სოფლებ ჩხარსა და ოქონაში მანგანუმის საბადოებზე მოპოვებითი სამუშაოების დაწყებას წინ აღუდგა სოფლის მოსახლეობა პროფესორ კობა ხარაძის მეთაურობით, მხარდაჭერა გამოუცხადა ქუთაისის უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრამ, კერძოდ პროფესორმა ოთარ ჩხეიძემ, ელდარ ბასილაძემ და სხვებმა. ჯამში თითოეული მათგანის ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და მოპოვებითი სამუშაოები შეჩერდა, რომ არა ზემოაღნიშნული პროტესტი, დიდი საფრთხე შეექმნებოდა ოქონას სერის ეკოლოგიურ სურათს, განადგურების წინაშე დადგებოდა ასწლოვანი ძელქვისა და ურთხმელის კორომი, XVI საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ოქონის სერის ძირში.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძოდ ბროლიქეთის სერის თხემურ ნაწილზე ღია კარიერული წესით მიმდინარეობს ქალცედონის მოპოვება, რის შედეგადაც თხემი დაღარულ-დაცხრილულია კარიერებით, ღარტაფებით, ნაყარით შექმნილი მცირე ყორღანებით და ტერასებით. ბროლიქეთზე ათეული წლების განმავლობაში წარმოებდა ქალცედონისა და სპონგოლითის მოპოვება, რის გამოც მის თხემზე და კალთებზე დომინირებულია ტექნოგენური რელიეფის ფორმები (ჭარბობს კარიერები, ტერასეტები).

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ხდება აგრეთვე ბაზალტის ერთ და ტუფის ორ ღია კარიერზე სამშენებლო მასალის მოპოვება. სამთო მონაკვეთების საერთო ფართობი ზემოაღნიშნულ მუნიციპალიტეტში 878,242 ჰექტარია.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ფართოდაა გავრცელებული ცარცული ასაკის კირქვები, მაგრამ თერჯოლის მუნიციპალიტეტისაგან (18 კირქვის კარიერი) განსხვავებით აქ ხუთ კარიერზე ხდება მოპოვებითი სამუშაოები, რაც სავარაუდოდ გამოწვეულია: დაცული ტერიტორიის სტატუსის არეალისა და კარსტული რელიეფის -მღვიმეების, წვევარამების, კარსტული ქვების სიმრავლით, რაც მოპოვებითი სამუშაოებისათვის სირთულეს წარმოადგენს.

აღნიშნულ მუნიციპალიტეტში მოსაპირკეთებელი ქვის რვა, ტემენიტის თორმეტ, ტუფისა და თიხის თითო-თითო კარიერზე ხდება ნედლეულის მოპოვება. ქვიშა-ხრემის მოპოვებაზე 14 ლიცენზიაა გაცემული.

სამთო მონაკვეთების საერთო ფართობი წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 266,48 ჰექტარია.

ხონის მუნიციპალიტეტის არეალში, რომელიც საკვლევ ტერიტორიაზე შემოდის ფუნქციონირებს კირქვის ორი კარიერი და ხუთ უბანზე ხდება ქვიშა-ხრემის მოპოვება. კარიერების საერთო ფართობი 12,56 ჰექტარია.

ტყიბულის მუნიციპალიტეტი - ქვანახშირის ორი, ტემენიტის სამი, ბაზალტის ერთი, მოსაპირკეთებელი ქვის ცხრა, თიხის ორი, გიშრის ერთი, ქვიშა-ქვის ერთი საბადო. მუნიციპალიტეტში სამთო მონაკვეთის ფართობი საერთო ჯამში 86,835 ჰექტარია. ამავე მუნიციპალიტეტში მტკნარი წყლის ხუთ და მინერალური წყლის ერთ საბადოზე გაცემულია მოპოვების ლიცენზია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მუნიციპალიტეტში კურსების ტემენიტის საბადოზე, რომელიც მოსაპირკეთებელი მასალის ხარისხითა და მარაგით ერთ-ერთი გამორჩეულია, მოპოვებითი სამუშაოები და აფეთქებები შეწყვეტილია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით, გელათის სამონასტრო კომპლექსის დაცვის მიზნით.

წიაღისეულის მიწისქვეშა მოპოვებისას ზედაპირზე ნაკლებესამჩნევი ცვლილებებია, მაგრამ ამ დროს წარმოიშვება მიწისქვეშა სიცარიელები, ე.წ. „სამრეწველო კარსტები“ (ჩანაქცევები, ნაწევები, ფოსურები და სხვა), რაც იწვევს ზედაპირზე გრუნტის „დაჯდომას“ და მეწყერებისა და ზვავების ფართოდ გავრცელებას, რასაც ადგილი ჰქონდა ტყიბულში ქვანახშირის საბადოზე.

ანთროპოგენური ფაქტორის როლსა და მის ინტენსივობაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა სამთო-მოპოვებელი საწარმოებიდან. ტყიბულის ქვანახშირის საბადოს მოპოვების შედეგად მინერალური მასის გადაადგილების საშუალო წლიური ინტენსივობა 1,48 მლნ მ³ შეადგენს, ხოლო ბუნებრივი ზემოქმედებით წელიწადში 131000 მ³ მინერალური მასა გადაადგილდება, რაც 11-ჯერ მცირეა ანთროპოგენურ ზემოქმედებასთან შედარებით. ყოველივე ამისა და აგრეთვე ხელსაყრელი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების (მაღალი ჰიფსომეტრიული მდებარეობა და უმეტესად თიხნარებით აგებული ციცაბო ფერდობები, ხშირი ხევ-ხრამები, კლიმატური პირობები) გამო. ტყიბულის მიდამოებში ფართოდაა გავრცელებული მეწყრული მოვლენები და ზედაპირული რღვევები. მათ შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია საბილასურის მეწყერი (სიგრძე-1,5 კმ; სიგანე 500 მ), რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ კარიერის სამხრეთ-აღმოსავლეთ გამოსასვლელთან. კარიერებზე აფეთქებითი სამუშაოების შედეგად, მეწყერზე ადგილი აქვს ნაპრალების გაჩენას და ქანე-

ბის გადაადგილებას, რაც, თავის მხრივ იწვევს ძველი მეწყერის გააქტიურებას და ახლის (ბუნებრივ-ანთროპოგენური) წარმოშობას. საბილასურის მეწყერზე 14 ასეთი მიკრომეწყერია წარმოქმნილი, მათ შორის - ორი უშუალოდ კარიერზე.

აქედან გამომდინარე სამთო რეგიონზე ლანდშაფტწარმოქმნის პროცესები მიმდინარეობს ადგილობრივი პირობებით განპირობებული, ბუნებრივი კანონების შესაბამისად, მაგრამ ანთროპოგენური ფაქტორების ზემოქმედებით, ის გააქტიურებული და საგრძნობლად დიდი ფართობების მომცველია.

ოკრიბაში ტექნოგენური ლანდშაფტების ზრდასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან კონტროლისძიებას წარმოადგენს ეკოლოგიის ისეთი კონსტრუქციული ღონისძიება, როგორცაა სამთო ტექნიკური, საინჟინრო, სამელიორაციო, სასოფლო - სამეურნეო და გამწვანების სამუშაოების ერთიანი კომპლექსი.

ლიტერატურა

1. დავითაია ე., სეფერთელაძე ზ. ანთროპოგენური ლანდშაფტები-ანალიზი და სინთეზი. თსუ 2009. 81-93
2. სეფერთელაძე ზ., დავითაია ე., მარგველანი გ. ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია, თსუ 2011.
3. დავითაია ე., სეფერთელაძე ზ. ლანდშაფტმცოდნეობა და ლანდშაფტურ-ეკოლოგიური პრობლემები. თბილისი 2014. გამომც. „მერიდიანი“. 279-292.
4. ჩხეიძე ო., ჯინჯიხაძე ფ., ჩხეიძე ს. ოკრიბის ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონების ცდა, გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები., კრებული №(82), თბ, 2011, გვ. 335-341.
5. ჩხეიძე ო., ჯინჯიხაძე ფ., ჩხეიძე ს. ოკრიბის ლანდშაფტები, ქუთაისი, 2012.
6. Берущавили Н. Л. Кавказ, Ландшфты, Модели, Эксперименты, Тб, 1995.

INDUSTRIAL-TECHNOGENIC LANDSCAPES IN OKRIBA

Jinjikhadze P., Chkheidze O.

Summary: Identification, study and care about the nature of the rational nature-utilization issues are the prerequisites for maintaining and sustainable development of the environment.

In the recent period it is widely used to extract mine or mine construction materials through an open career. Consequently the naturally balanced landscapes that have been created over the centuries have been completely overtaken and so called "Industrial deserts" are formed on their places.

The landscape-ecological analysis of the Okriba territory and the development of rational nature-utilization issues at the regional level, along with private scientific value, acquire great practical significance.

The industrial-technogenic landscapes occupy 1231,557 ha in the study area, which have become the unused spaces. Consequently, important counterculture is a constructive measure of ecology, such as a complex of mining technical, engineering, amelioration, agricultural and greenery works.



ნიადაგის დაბინძურების დროში ცვლილების დიფუზიური მოდელი

ჩხიტუნძიე მ., მათიაშვილი ს., კერესელიძე ზ.

ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი

ანოტაცია: გარემოს დაბინძურება მავნე სამრეწველო ნარჩენებით წარმოადგენს გლობალურ პრობლემას. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, ადამიანის მდგომარეობის განმსაზღვრელ ფაქტორებში 20% წვლილი უჭირავს გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობას. ეს ფაქტორი პირდაპირ ან ირიბად არის მიჩნეული სხვადასხვა დაავადებების მაპროვოცირებელ მიზეზად. განვითარებული მრეწველობის ეპოქაში განსაკუთრებით სახიფათო აღმოჩნდა გარემოს რადიოაქტიური ელემენტებითა და მძიმე მეტალებით დაბინძურება, რაც მჭიდროდ ურბანიზირებულ ადგილებში საგრძნობი სოციალური პრობლემების მიზეზი გახდა. ამას მოწმობს მაგალითად, ონკოლოგიური დაავადებების განსაკუთრებული მასშტაბი და გახშირებული გენეტიკური მუტაციები.

საკვანძო სიტყვები: ნიადაგის დაბინძურება, დიფუზიური მოდელი

ტექნოგენური წარმოშობის დამაბინძურებელი აგენტის განფენა დედამიწის ზედაპირზე შეიძლება მოხდეს როგორც ჰაერიდან, ასევე მყარი ნარჩენების უსისტემოდ დაყრის გამო. ამ თვალსაზრისით ჩერნობილის ავარიის შემდეგ, მაგალითად, რადიაციული დაბინძურების ზღვრულად დასაშვები ნორმები საკმარისად გამკაცრდა (chornobyl.in.ua/dopustimie-urovni-soderzaniya-137cs-90sr.html;/ www.zerno.org.ua/articles/quality/).

უახლოეს წარსულში რადიაციული დაბინძურება ხშირად ხდებოდა ინდუსტრიული ზონების განსაკუთრებით მჭიდროდ ურბანიზირებულ ადგილებში. საქართველოში განსაკუთრებით ინდუსტრიალიზირებული იყო ქალაქ რუსთავის ზონა. მაგალითად, ამჟამად ქალაქის ცენტრში მდებარე პარკის ტერიტორიაზე წლების განმავლობაში იყრებოდა რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში გამომუშავებული წიდა. ცნობილია, რომ ამ ნარჩენში, მძიმე მეტალებთან ერთად, ხშირად ზენორმატიული კონცენტრაციით გვხვდება რადიოაქტიური ელემენტები (www.zgia.zp.ua/gazeta/METALURG_22_26.pdf/). ამ თვალსაზრისით, ახლახანს ჩატარებული ლაბორატორიული ანალიზის თანახმად, დღეისათვის რუსთავის ტერიტორიის შემოწმებული ნაწილის რადიაციული დაბინძურების დონე Cs-137, Sr-90 და K-40 რადიოაქტიური ელემენტებით საგანგაშო არ არის. თუმცა, რადიაციული ვითარების რეტროსპექტიული სურათის საიმედოდ წარმოდგენა მოითხოვს ნიადაგის დაბინძურების დონის ცვლილების დროში და სივრცეში შეფასებას. ამისათვის კი საჭიროა ვიცოდეთ დაბინძურების წყაროს სიმძლავრე და მისი მოქმედების ხანგრძლივობა. ბუნებრივია, რომ გარემოს დაბინძურება ვითარდება როგორც სივრცეში, ასევე დროში. კერძოდ, დაბინძურება

მაქსიმალური უნდა იყოს წყაროს სიახლოვეს, ხოლო მანძილის ზრდასთან ერთად მისი ინტენსივობა უნდა იკლებდეს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, ერთჯერადი, პერიოდული თუ უწყვეტი ხასიათისაა დაბინძურების წყაროს მოქმედება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ ნიადაგში მავნე ქიმიურ-რადიაციული ელემენტების გავრცელება, მათი საწყისი კონცენტრაციის გარდა, დამოკიდებულია აგრეთვე ორ მუდმივად მომქმედ ფაქტორზე: მეტეოროლოგიურ პროცესებზე და ნიადაგის ფიზიკა-ქიმიურ მახასიათებლებზე. თითოეული მათგანი, თავის მხრივ, განისაზღვრება მრავალი პარამეტრით. ამიტომ, ნიადაგში დაბინძურების გავრცელების პროცესის ადექვატური მათემატიკური ანალიზის შექმნა წარმოადგენს განსაკუთრებული სირთულის ამოცანას. მისი ზუსტი ანალიზური ამოხსნა შეუძლებელია, თუმცა არსებობს მიახლოებითი ამონახსნები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი ხდება დაბინძურების დინამიკური სურათის კორექტული მოდელირება. სწორედ ასეთ შესაძლებლობას იძლევა კლასიკური დიფუზიის განტოლების ამონახსნი, რომლის გამოყენებით შესაძლებელია დაბინძურების დონის ცვლილების თვისობრივ-რაოდენობრივი ანალიზი. დიფუზიური პროცესი გარკვეული ლოკალური სიჩქარით ახდენს დაბინძურების ეფექტის ნიველირებას, ანუ უზრუნველყოფს დროთა განმავლობაში ნიადაგის მახასიათებელ ფონურ ქიმიურ შემადგენლობასთან მიახლოებას.

არასტაციონარული დიფუზიის განტოლება ფორმით თანხვდება სითბოგამტარობის განტოლებას [1]. როგორც ტემპერატურის, ასევე მასის, გადაცემა თერმოდინამიკის თვალსაზრისით მიეკუთვნება გადატანის პროცესს, რომლის სისწრაფეს აკონტროლებს შესაბამისი პარამეტრი: სითბოგამტარობის (ტემპერატურა გამტარებლობის) კოეფიციენტი და დიფუზიის კოეფიციენტი. დიფუზიის პროცესის სიჩქარეს განსაზღვრავს საწყისი კონცენტრაცია და ფონური სიდიდე, ანუ დიფუნდირებადი ელემენტის გრადიენტი. სითბოგადაცემის განტოლების ამონახსნის მსგავსად, რომელიც განსაზღვრავს ტემპერატურულ ველს, დიფუზიის განტოლების არასტაციონარული ამონახსნიც, კონკრეტული საწყისი და სასაზღვრო პირობებისათვის, იძლევა კონცენტრაციის არაერთგვაროვანი ცვლილების სურათს. ასეთი ამონახსნის ასიმპტოტიკური ანალიზი და მისი გრაფიკული წარმოდგენა ზოგ შემთხვევაში განსაკუთრებით ღირებული შეიძლება იყოს პრაქტიკული თვალსაზრისით. კერძოდ, ეს შეეხება ისეთ შემთხვევებს, როცა ზუსტად ცნობილი არ არის დამაბინძურებელი აგენტის გავრცელების ზუსტი საწყისი მომენტი და მისი კონცენტრაცია. სწორედ მსგავს ვითარებას აქვს ადგილი ზემოთ ნახსენებ რუსთავის ცენტრალურ პარკში. თუმცა იმისათვის, რომ ანალიზური ამონახსნის საფუძველზე გაკეთდეს პრაქტიკულად ღირებული თვისობრივ-რაოდენობრივი შეფასება, ხშირ შემთხვევაში აუცილებელია ფიზიკური თვალსაზრისით კორექტული გამამარტივებელი დაშვებების გამოყენება. მაგალითად, ზოგადად სამართლიანია, რომ ნიადაგში ქიმიური დაბინძურების მიგრაციის პროცესს მნიშვნელოვნად განაპირობებს გრუნტის წყლების ნელი მოძრაობა, ე.წ. ფილტრაცია, რომელზედაც გარკვეული გავლენა აქვს ატმოსფერულ ნალექებს. გარდა ამისა, ატმოსფეროს დაბინძურებისაგან განსხვავებით, ნიადაგში დიფუზიის პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დედამიწის ზედაპირის ოროგრაფია, ნიადაგის აგროქიმიური გვარობა და მისი მაგნიტური თვისებები. მიუხედავად ასეთი მრავალფეროვნებისა, ზოგ შემთხვევაში დასაშვებია, რომ ზოგიერთი ამ ფაქტორთაგანი ერთნაირად ქმედითი არ იყოს. მაგალითად, მარტივი ოროგრაფიისა და დაბალი ნალექიანობის პირობებში, ნიადაგის ზედაპირული

დაბინძურების დროში და სივრცეში გავრცელების მოდელირებისას დასაშვებია ზედაპირული წყლების კონვექციური დინების ეფექტის, უგულვებელყოფა. ასეთი დაშვებები აყალიბებენ არაერთგვაროვანი მასის (კონცენტრაციის) მიგრაციის პროცესის ხელოვნურად დეტერმინირებულ საწყის და სასაზღვრო პირობებს. გარდა ამისა, რელიეფის ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია აგრეთვე არასტაციონარული დიფუზიის განტოლების გამოყენება. მაგალითად, ოროგრაფიულად მარტივი ზედაპირის შემთხვევაში ფიზიკურად დასაშვებია აზიმუტალური სიმეტრიის მიახლოება

$$\frac{\partial K}{\partial t} = D \left(\frac{\partial^2 K}{\partial r^2} + \frac{2}{r} \frac{\partial K}{\partial r} \right), \quad t > 0 \quad (1)$$

სადაც k - კონცენტრაციაა, D - დიფუზიის კოეფიციენტი, t - დრო, r - რადიალური კოორდინატა.

(1) დიფუზიის განტოლების ზოგადი ამონახსნი წარმოადგენს ფურიე-კომპონენტების უსასრულო მწკრივს [1]

$$K(r,t) = \sum_{n=1}^{\infty} \left\{ \frac{2}{R} \int_0^R r \varphi(r) \sin \frac{n\pi r}{R} dr \right\} \frac{1}{r} \sin \frac{n\pi r}{R} e^{-\left(\frac{n\pi}{R}\right)^2 D t}, \quad (2)$$

კონკრეტული ამონახსნის სახე, სასაზღვრო პირობის გარდა, დამოკიდებული იქნება $\varphi(r)$ - ფუნქციაზე, რომელიც განსაზღვრავს საწყის პირობას, ანუ ქიმიური ელემენტის კონცენტრაციას დროის საწყის მომენტში: $K|_{t=0} = \varphi(r)$, $0 \leq r \leq R$. სადაც R - დაბინძურებული ფართის მახასიათებელი ზომაა. აშკარაა, რომ ანალიზური ამონახსნის სახე დამოკიდებულია $\varphi(r)$ პარამეტრზე. კერძოდ, შეგვიძლია განვიხილოთ ორი მოდელი

www.ru.solverbook.com/spravochnik/uravneniya-po-fizike/uravneniya-matematicheskoi-fiziki/

1) $\varphi(r) = K_0 = const$; 2) $\varphi(r) = K_0 \delta(r)$, $\delta(r)|_{r=0} = 0$, $\delta(r)|_{r=R} = \infty$, (3)

სადაც δ წარმოადგენს დირაკის დელტა ფუნქციას, K_0 - საწყისი კონცენტრაცია.


პირველ შემთხვევაში ქიმიური დაბინძურების საწყისი კონცენტრაციის წრიული განაწილება მუდმივი იქნება. მეორე შემთხვევაში საწყის მომენტში გვექნება წერტილოვანი დაბინძურება.

თუ ჩავთვლით, რომ საზღვარზე ქიმიური დაბინძურება არ გვაქვს, საწყისი დაბინძურების ორივე მოდელისათვის გვექნება ნორმირებული ფონური მნიშვნელობის შესაფერისი სასაზღვრო პირობა: $K(R,t)=0$. ზოგადად, (3)-ის ორივე ვარიანტი შესაფერისია დედამიწის ზედაპირზე და ნიადაგში ქიმიური დაბინძურების დინამიკური ცვლილების მოდელირებისათვის.


თეორიულად ცნობილია, რომ უსასრულოდ კრებადი ჯამით (2) წარმოდგენილი დიფუზიის განტოლების ამონახსნი პრაქტიკულად სრული ხდება, როცა $n \geq 40$. ამ ამონახსნის დროში მიღევას განსაზღვრავს წევრი: $e^{-\left(\frac{n\pi}{R}\right)^2 D t}$, რომლის ხარისხის მაჩვენებელი და-

მოკიდებულია რამდენიმე მახასიათებელზე. ცხადია, რომ მრავალპარამეტრიანი დამოკიდებულება ზოგადად ართულებს (2) გამოსახულებით წარმოდგენილ მოდელურ სურათს. თუმცა, ცნობილია, რომ დიფუზიური ტიპის არასტაციონარული განტოლების ზოგადი ამონახსნით მოდელირებული სიდიდის განაწილება მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი (გაჯე-

რებული) ხდება, როცა განუზომელი პარამეტრი: $T = \left(\frac{n\pi}{R}\right)^2 Dt \geq 0.4$ [2]. ფურიე-კომპონენტებით წარმოდგენილი დიფუზიის განტოლების ამონახსნების სწორედ ეს ზოგადი თვისება შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს რუსთავის ცენტრალური პარკის ტერიტორიის დაბინძურების დინამიკური სურათის მიახლოებითი რეტროსპექტიული რეკონსტრუქციისათვის. სურ. 2,3 ზოგადად წარმოადგენენ (2) ამონახსნის თვისობრივ-რაოდენობრივ ვიზუალიზაციას (3) პირობის ორივე ვარიანტისათვის. აშკარაა, რომ მიახლოებითი რეკონსტრუქციისათვის საკმარისია დროის გარკვეული შუალედით დაშორებული გაზომვის შედეგების ინტერპოლაცია მოცემული გრაფიკული წარმოდგენების, როგორც პალეტების, საშუალებით. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება როგორც დაბინძურების საწყისი მომენტის სავარაუდო თარიღის დაზუსტება, ასევე მომავალში ნიადაგის ზედაპირული დაბინძურების მახასიათებელ ფონურ მნიშვნელობამდე ნიველირების მომენტის პროგნოზი. ამ სურათებზე გრაფიკები 1 შეესაბამება განუზომელი პარამეტრის მნიშვნელობას $T=0.1$, ხოლო შემდგომი გრაფიკები განსხვავდება ბიჯით 0,1.



ნახ.1




ნახ.2


ნახ.1 შეესაბამება (3) პირობის პირველ ვარიანტს, რომელიც წარმოადგენს საწყისი დაბინძურების ერთგვაროვანი განაწილების კერძო შემთხვევას. ამ შემთხვევაში დაბინძურების დონე დროთა განმავლობაში მდორედ იცვლება. ნახ.2 შეესაბამება (3)-ის მე-2 მოდელს, ანუ იდეალიზირებულ შემთხვევას, ანუ წერტილოვან დაბინძურებას. ამ დროს რაოდენობრივი განსხვავება 1 და მე-4 მრუდების მაქსიმუმებს შორის დაახლოებით ერთი რიგის ტოლია. აშკარაა, რომ პირობა (3) არაცხადად გულისხმობს დიფუზიას დედამიწის ზედაპირიდან სიღრმისაკენ. მაგალითად, ნახ.2-ის მიხედვით, $T=0.4$ შემთხვევაში, დამაბინძურებელი ელემენტის დიფუზია უკვე აღწევს მაპროქსიმირებელი წრის საზღვარს, რაც ეთანხმება (2) ამონახსნის ზოგად თვისებას გაჯერებასთან დაკავშირებით, როცა $T \geq 0.4$.

ანალიზის სისრულისათვის ნახ.3-ზე მოცემულია ნახ.2-ის პირველი გრაფიკის ჰისტოგრამა ($n=20$), ხოლო ნახ.4-ზე - შესაბამისი პროცენტული გამლა.უნდა ავღნიშნოთ, რომ იკვეთება თვისობრივი ინფორმაცია T განუზომელი პარამეტრის ფიზიკურ დანიშნულებასთან დაკავშირებით, რადგანაც აშკარა ხდება დიფუზიის კოეფიციენტის ეფექტი დროს-

თან კომბინაციაში. დაბინძურების დონეების ფარდობის აპროქსიმაცია მოყვანილი გრაფიკული ვიზუალიზაციის საშუალებით უხეშად, თუმცა საკმაოდ კორექტულად, იძლევა საშუალებას განისაზღვროს დაბინძურების ინტენსივობის დროსა და სივრცეში კლების რაოდენობრივი მახასიათებელი.



ნახ.3



ნახ.4

ლიტერატურა

1. Тихонов А.Н., Самарский А.А. Уравнения математической Физики. 1999 г. 799с.
2. Карслоу Г., Егер Д. Теплопроводность твердых тел ,М. Наука. 1964.-488с.

DIFFUSIONAL MODEL OF CHANGE OF POLLUTION OF THE SOIL IN TIME

Chkhitunidze M., Matiashvili S., Kereselidze Z.

Summary: In the course of the solution of multidimensional task, as a rule, some simplified assumptions are necessary, in particular, in regard to the problems connected with chemical pollution.

Although, corrective prerequisites allow the general problem of chemical pollution migration to be divided into simpler task, solution of which is accepted on the basis of mathematical model, was used for a definite purpose.

It is known that the distribution of the physical size determined by the common decision of diffusive type of the non-standard equation becomes less uniform when **non dimension parameter is equal to:**

$$T = \left(\frac{n\pi}{R}\right)^2 Dt \geq 0.4 [2].$$

Solution (2), can be useful for rough retrospective reconstruction of the image of pollution.



წყლის სტაგნაციის ეფექტის თვისობრივ-რაოდენობრივი შეფასება ვერეს დახურული კალაპოტის მეორე გვირაბის წინ

ხვედელიძე ი., კერესელიძე ზ.

ი.ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის მ. ნოდისა გეოფიზიკის ინსტიტუტი

ანოტაცია. მდინრე ვერეს (სიგრძე 45 კმ, ვარდნის სიმაღლე 1290 მ.), ყველა მთის მდინარის მსგავსად, პერიოდული წყალმოვარდნები ახასიათებს, რაც მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს და ზოგჯერ ადამიანურ მსხვერპლსაც იწვევს. ვერეს ხეობაში სტიქიური პროცესების შედეგებს კიდევ უფრო ამძიმებს ხეობის რთული რელიეფი და არამდგრადი ქანები. ამას ემატება ბოლო ათწლეულებში თბილისის ტერიტორიაზე ვერეს ჭალაში მოსახლეობის განუკითხავი ქმედება და ოფიციალურად ნებადართული სამოქალაქო მშენებლობა, სწორედ ყოველივე ამის გამო 2015 წლის 13 ივლისის დამეს ვერეს დახურული კალაპოტის გვირაბებმა ვერ გაატარეს ქვა-ლორლითა და მყარი საგნებით გაჯერებული ღვარცოფული მასა.

საკვანძო სიტყვები: მდინრეს კალაპოტი, ღვარცოფი, წყალდიდობა,

ვერეს დახურული კალაპოტის ჰიდრაულიკური პარამეტრების მოდელირება. კატასტროფულმა წყალმოვარდნამ ცხადყო რომ, დახურული კალაპოტის კონსტრუქცია სრულყოფილი არ აღმოჩნდა ექსტრემალური დატვირთვის შემთხვევაში. დახურული კალაპოტის კონსტრუქციის სპეციფიკა და მასთან დაკავშირებული ჰიდრაულიკური რისკების შეფასება აპრიორი მოითხოვდა მკაცრ თვისობრივ-რაოდენობრივ ანალიზს. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ დახურული კალაპოტი არ იძლევა წყლის ხარჯის ხელოვნურად მართვის საშუალებას. გარდა ამისა, თუ ჰიდრაულიკურ გვირაბებში მოქმედებს წყლის დინების შემამოთებელი რომელიმე ტექნოგენური ფაქტორი, მაგალითად: ვიბრაცია ან ზედაპირის ხაოიანობა, გარდაუვალია ლამინარული დინების გადასვლა ტურბულენტურში. ნეგატიური ფაქტორების მოქმედების პირობებში, ისევე როგორც სხვა მდინარეებისა და ჰიდროტექნიკური წყალგამტარებისთვის, ვერეს დახურული კალაპოტისათვისაც შესაძლებელია გამოვიყენოთ აპროქსიმაცია წრიული კვეთის მქონე მილით. ეს ხერხი ჰიდროდინამიკური მსგავსების პრინციპზე დაყრდნობით იძლევა ჰიდრაულიკური პარამეტრების მოდელირების საშუალებას [1]. კერძოდ, დახურული კალაპოტის გვირაბების შიდა ზედაპირების ხაოიანობის ეფექტის რაოდენობრივი შეფასებისათვის საკმარისია ერთი პარამეტრი: $\beta = k/L_0$, სადაც k ხაოიანობის სიმაღლეა, L_0 - გვირაბის განივი კვეთის მახასიათებელი ზომა, რომელიც მილის შემთხვევაში მისი R- რადიუსის ტოლია.

ცნობილია, რომ ლამინარული დინების შემთხვევაში გლუვი მილის წინააღმდეგობა ემორჩილება ბლაზიუსის კანონს: $\lambda \approx 0.32 (R_e)^{-1/4}$, R_e - რეინოლდსის რიცხვია. იმისათვის, რომ ხა-

ოიანი მილი ტურბულენტური დინებისათვისაც ჰიდროდინამიკურად გლუვი დარჩეს საკმარისია, რომ ხაოიანობამ არ იმოქმედოს მილის წინააღმდეგობაზე, რისთვისაც მილის შიდა ზედაპირზე წარმოქმნილი ლამინარული სასაზღვრო ფენის სისქე უნდა აღემატებოდეს ხაოიანობის სიმაღლეს. შესაბამისად, ხაოიანობის ეფექტის გამოვლინება მოხდება მაშინ, როცა ხაოიანობის სიმაღლე აღემატება სასაზღვრო ფენის სისქეს. ამ დროს მილის ჰიდრაულიკური წინააღმდეგობა არაწრფივი (კვადრატული) კანონით იცვლება [2]


$$\lambda_1 = \frac{1}{\left(\frac{2 \lg R}{k} + 1.74\right)^2} \quad (1)$$

სტაგნაციის ზონა. დახურული კალაპოტის მეორე გვირაბის წინ მდინარე ვერე მკვეთრად უხვევს. სავარაუდოდ, წყალმოვარდნის დროს ეს ადგილი გახდა წყლის ლოკალური შეგუბების ცენტრი. ამას, გვირაბის ჰიდრაულიკური წინააღმდეგობის ზრდასთან ერთად, შესაძლოა ხელი შეუწყოს ვერეს კალაპოტის გეომეტრიამ. კატასტროფის შემდეგ, დახურული კალაპოტის აღდგენისას, ამ ადგილს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეის. კერძოდ, მოხდა ამ გვირაბის შესავლელი პორტალის მოდერნიზაცია ე.წ. მიმმართველი კედლების მონტაჟის საშუალებით. ამ ტეხილი კონსტრუქციის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს გვირაბში წყლის შედინებას. კედლების პირველი სეგმენტები გვირაბის ღერძის პარალელურია, ხოლო შემდეგები, რომელთა სიგრძე დაახლოებით 5 მეტრია, ქმნიან პირველებთან კუთხეებს: $\gamma \approx 20^\circ$ და $\delta \approx 30^\circ$. მიგვაჩნია, რომ ასეთი ტექნიკური ცვლილება, არა თუ წყალმოვარდნის, არამედ საკმარისად ინტენსიური წვიმის შემთხვევაშიც კი, იქნება წყლის კიდევ უფრო მასშტაბური შეგუბების მიზეზი. საქმე იმაშია, რომ წყალდიდობის შემთხვევაში არასწორად დაყენებული მიმმართველი კედლები გარდაუვლად წარმოქმნიან შემხვედრ წყლის ნაკადებს. მათი შეჯახება მოხდება გვირაბის შესავლელთან ახლოს რაც შეამცირებს წყლის ხარჯს გვირაბში. დინების სეპარაციას კედლებთან შეჯახებამდე აგრეთვე შეიძლება ხელი შეუწყოს მეორე გვირაბის წინ მდინარის კალაპოტში არსებულმა მეჩქმაც. ამიტომ, თუ მოხდება უკვე სეპარირებული ნაკადების შეჯახება (და არა მათი რბილი შერწყმა, რაც შესაძლებელია მხოლოდ პარალელური ნაკადების ურთიერთქმედებისას), კედლებთან შეჯახების შემდეგ გარდაუვალი იქნება უკუნაკადების წარმოქმნა. დახურული კალაპოტის აღდგენის შემდეგ ინტენსიური წვიმების დროს წყლის შეგუბება მეორე გვირაბის წინ მართლაც მოხდა, რაც ჩვენს მიერ დაფიქსირებულია ფოტოსურათებზე. განსაკუთრებით ძლიერი შეგუბების შემთხვევაში, დაუზუსტებელი მონაცემებით, ნალექებმა შეადგინეს $h \approx 20$ მმ, რაც შეადგენს არა უმეტეს 20% იმ ნალექებისა, რომელთაც გამოიწვიეს 13.06.2015 წ. კატასტროფული წყალდიდობა. ასეთი ფაქტი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგანაც, დიდი ალბათობით, დაკავშირებულია არასწორ ტექნიკურ გადაწყვეტილებასთან. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად მივმართოთ იდეალური სითხის ჭავლების თეორიას.


იდეალური უკუმშვადი სითხის ჭავლების ჰიდროდინამიკურ თეორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჭავლების შეჯახების პრობლემას. ცნობილია ორი ან რამდენიმე ჭავლის შეჯახების ამოცანის მათემატიკური გადაწყვეტის რამდენიმე თეორიული ვარიანტი. ყველა ასეთი ამოცანის ანალიზური ამონახსნი ზოგადად არაცალსახაა, რადგანაც დამოკიდებულია გარკვეულ თავისუფალ პარამეტრზე [3]. ჩვეულებრივ, ასეთი პარამეტრია კუთხე პირდაპირ ჭავლსა და დაჯახების შედეგად წარმოქმნილ უკუჭავლს შორის.

ანალიზური ამონახსნების არაცალსახობის მიზეზის გრაფიკულ ილუსტრაციას წარმოადგენს ნახ.1, რომელიც შეესაბამება ორი ერთნაირი ინტენსივობის (წყლის ხარჯის) მქონე ჭავლის პირდაპირი კუთხით შეჯახების. მსგავს იდეალურ კერძო შემთხვევაში შეჯახების შედეგი ცალსახაა, რადგანაც წარმოქმნილი უკუ ჭავლები ჰიდროდინამიკური მახასიათებლებით პირდაპირი ჭავლების სრულიად იდენტურნი არიან. შეჯახების შედეგად წარმოიქმნება ე.წ. სტაგნაციის ზონა, რომელსაც გარკვეული ხაზოვანი ზომა გააჩნია. როცა პირველადი ჭავლების ინტენსივობა განსხვავებულია, თანაც მათი შეჯახება ხდება ნებისმიერი კუთხით, ამოცანა

ნის ანალიზური ამონახსნი არაცალსახაა. ეს ნიშნავს, რომ საჭირო ხდება თავისუფალი პარამეტრის რაოდენობრივი ფიქსაცია. თუმცა, ასეთი ანალიზური ამონახსნის რიცხვითი მოდელირების დროს მსგავსი შეზღუდვა შეიძლება პრინციპიალურად არ ჩავთვალოთ. მაგრამ, სრულფასოვანი თვისობრივი ანალიზი, რომელიც წარმოაჩენს ჭავლების შეჯახების პროცესის ყველა ფიზიკურ მხარეს, მკაცრად მოითხოვს ანალიზური ამონახსნის ასიმპტოტიკური ყოფაქცევის განსაზღვრას. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ნაშრომები [4,5], რომლთა გეომეტრიული ვიზუალიზაცია და ანალიტიკური ბმის სქემა წარმოადგენილია მონოგრაფიაში [3] (ნახ.2). აქ Q_1, Q_2, Q_3, Q_4 - წარმოადგენს A_1, A_2, A_3, A_4 ჭავლების სიგანეს, ანუ მათ ინტენსივობას ბრტყელ მიახლოებაში (წყლის ხარჯი). $\theta_1, \theta_2, \theta_3, \theta_4$ - კუთხეებია, რომლებსაც ადგენენ ჭავლები კომპლექსური სიბრტყის X-ღერძთან. ნაშრომში [4] კონფორმული ასახვის მეთოდით მიღებული ამონახსნი ბრტყელია და, სხვა ამონახსნების მსგავსად, შეიცავს თავისუფალ პარამეტრს. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ასეთი შეზღუდვის გამარტივება შესაძლებელი ყოფილა ისევ კონფორმული ასახვის მეთოდით [5]. კერძოდ, განისაზღვრა ანალიზური კავშირი ჭავლების პარამეტრებს შორის



ნახ 1.



ნახ. 2

$$Q_{2,4} = \frac{Q_1 Q_3 (1 - \cos \theta_3)}{Q_1 (1 - \cos \theta_{2,4}) + Q_2 (\cos \theta_{2,4} - \cos \theta_2)}, \quad (2)$$

(2) გამოსახულება არსებითად აძლიერებს [4] ნაშრომის ღირებულებას, რადგანაც წარმოადგენს დამატებით პირობას, რომელიც აკავშირებს θ_3 კუთხით შეჯახებული ჭავლების ინტენსივობას დაჯახების შედეგად წარმოქმნილი უკუ ჭავლების ინტენსივობასთან. ამისათვის საკმარისი ყოფილა ახალი ჭავლებიდან ერთ-ერთის, მაგალითად, A_2 ჭავლის Q_2 ინტენსივობისა მისი X ღერძთან დახრის θ_2 კუთხის ცოდნა. შესაბამისად, შესაძლებელი ხდება (2)-იდან განისაზღვროს Q_4 , რისთვისაც, [5]-ის თანახმად, საჭიროა ვი-სარგებლოთ დამატებითი პირობით: $\pi \leq \theta_4 \leq \pi + \theta_3$. ამ შემთხვევაში უკუ ჭავლის მიმართულება კვლავ თავისუფალ პარამეტრად რჩება, თუმცა უკვე შესაძლებელი ხდება Q_4 ინტენსივობის განსაზღვრა კომპლექსური ტოლობიდან [4]

$$-Q_1 + Q_2 e^{i\theta_2} - Q_3 e^{i\theta_3} + Q_4 e^{i\theta_4} = 0. \quad (3)$$

დასკვნა. ამრიგად, არსებობს ასიმპტოტიკური ანალიზის საშუალება მნიშვნელოვნად გან-

სხვაეგებული ინტენსივობის მქონე სხვადასხვა ჭავლების შეჯახების შემთხვევაში, ანუ $\frac{Q_1}{Q_3}$ ფარდობის პრაქტიკულად ყველა შესაძლებელი მნიშვნელობისათვის. მსგავსი ვითარება შესაძლებელია წარმოიქმნას ვერეს დახურული კალაპოტის მეორე გვირაბის შესასვლელის

წინ, წყლის დონის ზრდის პროცესში, როცა წყლის ნაკადი, სავარაუდოდ, უფრო უპირატესად უნდა შეეჯახოს მოპირდაპირე მიმართველ კედელს. შესაბამისად, A_1 ჭავლი თანდათან უფრო ინტენსიური იქნება, ვიდრე A_2 . მაგალითად, შევავსოთ A_2 პირდაპირი ჭავლის ინტენსივობა მოდელური შემთხვევისათვის: $Q_1 = 2Q_2$. γ და δ კუთხეების ზემოთ მოცემული მნიშვნელობებისათვის $\theta_2 \approx 130^\circ$, ხოლო θ_2 განუსაზღვრელი რჩება. თუმცა, თუ გვირავის ღერძი Y ორდინატს ემთხვევა, ამ ღერძის მიმართ ჭავლების დახრიდან გამომდინარე გვექნება: $\frac{\pi}{2} - \delta \leq \theta_2 \leq \frac{\pi}{2} - \gamma$. ე.ი., სავარაუდოდ, $60^\circ \leq \theta_2 \leq 70^\circ$. თუ მხედველობაში მივიღებთ აღნიშნულ შეზღუდვას, პირდაპირი ჭავლისათვის გვექნება $Q_2 \approx 1.7 Q_3$. ამრიგად, რადგანაც შეჯახებამდე ჯამური წყლის ხარჯი $Q = 3Q_3$, მივიღებთ, რომ A_4 ჭავლის ინტენსივობა $Q_4 \approx 1.3 Q_3$. რაც შეეხება უკუ ჭავლის მიმართულებას, ანუ θ_4 კუთხეს, მის სიდიდეს წყლის შეგუბების ეფექტზე გავლენის თვალსაზრისით პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს. თუმცა, სწორედ უკუ ჭავლი აყალიბებს სტაგნაციის ზონას, როდესაც წყლის შეგუბების გამომწვევი სხვა ფაქტორები არ არსებობენ, ან მათი მოქმედება ნივთიერებულაა. ამრიგად, მოსალოდნელია, რომ ხაოიანობის ეფექტის მსგავსად, მეორე გვირავის წინ დამონტაჟებული მიმართველი კედლები შეამცირებენ წყლის ხარჯს მეორე გვირავში.

ლიტერატურა

1. კერესელიძე ზ., შერგილაშვილი გ. მდინარე ვერეს 13.06.2015 წლის წყალმოვარდნა და დახურული კალაპოტის ჰიდროდინამიკური პრობლემა.// გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომების კრებული, 2016, LXVI, გვ. 199-221.
2. Шлихтинг Г. Теория пограничного слоя. //Гл. XX, Москва, Наука, 1974, 711 с.
3. Гуревич М.И. Теория струй идеальной жидкости.// Москва, Наука, 1979, 536 с.
4. Биргкоф Г., Сарантоннело Э. Струи, следы и каверны. //Москва, Мир, 1964.
5. Белоцерковский П. О соударении двух свободных плоских струй идеальной несжимаемой жидкости. //В кн. Материалы Всесоюзной конференции по краевым задачам, из-во Казанского гос. Университета, Казань, 1970.

THE QUALITATIVE-QUANTITATIVE ASSESMENT OF THE PROBABLE WATER STAGNATION BEFORE THE SECOND CLOSED CHANNEL OF THE RIVER VERE

Khvedelidze I., Kereselidze Z.

Summary: In case there is some tecnogenic factor, e.g. vibration or serface roughness perturbing the water flow in a hydraulic channel, then the laminal flow will inevitably turn into turbulent flow. Therefore, under conditions of negative factors, for the closed channel of the river Vere, like other rivers and hydrotechnical aqueducts, it is necessary to use the approximation with a circular section tube, which on the basis of hydrodynamic analogy, enables modelling the hydrodynamic parameters of the channel [1]. The roughness effect is manifested when the height of roughness exceeds the thickness of the boundary layer. In this case the hydraulic resistance of the tube is replaced by nonlinearity (quadratic) law. The river Vere sharply turns before the second channel of the closed bed. After the 13.06.2015 devastating flood, as a result of the modernization of the closed channel the directing walls were constructed before the second channel. We suppose that in case there is another flood at this place a stagnation zone will form, i.e. the water will be locally dammed. This effect, like the roughness effect, will cause the increase in the hydraulic resistance of the channel and consequently, the decrease in the water flow.



TOURISM CLIMATE INDEX IN KUTAISI (GEORGIA)

*Amiranashvili A.G., **Japaridze N.D., ***Kartvelishvili L.G., ****Khazaradze K.R.,
*****Kurdashvili L.R.

*Mikheil Nodia Institute of Geophysics of Tbilisi State University, Tbilisi, Georgia
**Ministry of Labor, Health and Social Affairs of Georgia, Tbilisi, Georgia
***National Environmental Agency of Georgia, Tbilisi, Georgia
****Georgian State Teaching University of Physical Education and Sport, Tbilisi, Georgia
*****Tbilisi State University, Tbilisi, Georgia

Summary: The data about the Tourism Climate Index (TCI) in Kutaisi (Imereti region of Western Georgia) useful for the development of the health resort-tourism potential of this locality are cited. The intra-annual distribution of the TCI values for Kutaisi has bimodal nature with the extremum during May and September (“Excellent”). In December, January and February values of TCI varied from 31 to 38 (“Unfavorable”). Thus, for the development of mass tourism the months from March through November are favorable.

Key words: Tourism Climate Index, health resort-tourism potential.

Introduction

Tourism is an important sector of the global economy. Weather and climate are two factors that in many respects influence decisions regarding areas to be visited. Many climate indices for tourism have been applied in past research [1]. The most widely known and applied index is the tourism climate index proposed by Mieczkowski [2]. This index is combination of seven factors and parameters. Mieczkowski’s “Tourism Climate Index” (TCI) was designed to use climate data, being widely available for tourist destinations worldwide.

TCI is used in many countries of world. In south Caucasus countries, monthly value of TCI be calculated in Georgia, first for Tbilisi [3], then for Batumi and Anaklia [4,5]. Later the monthly values of TCI for 21 locations of Georgia, 6 locations of North Caucasus, and also for the cities Baku and Yerevan were calculated [6-10].

Study area, Material and Methods

The region of studies is Kutaisi town (42.27° N, 42.69° E, 150 m a.s.l., population – 148000, distance from Tbilisi – 184 km), a historical area in western Georgia. Kutaisi is Georgia's third largest metropolitan area and currently serves as the parliamentary legislative capital. It is located in the central western region of Imereti on the banks of the Rioni River. Kutaisi was the capital of the fabled Kingdom of Colchis. The myth of the Golden Fleece originates here as the waters of the Rioni were once panned for gold using sheep skin.

Kutaisi's appeal lies in both its natural scenery and its historic and architectural monuments, particularly its unique river bridges, sacred cathedrals and monastic structures. The city is rich with regional Georgian cuisine, museums and shopping. Kutaisi also serves as a transportation hub for domestic and trans-European air travel, lending a cosmopolitan vibrancy to its small town charm.

The landmark of the city is the Bagrati Cathedral, built by Bagrat III, king of Georgia, in the early 11th century. The Gelati Monastery a few km east of the city, is a UNESCO World Heritage Site. One

of the famous churches in Georgia is Motsameta Church. It is named after two saints, brothers David and Constantine. They were the Dukes of Margveti, and were martyred by Arab invaders in the 8th century. Besides the churches, there are many interesting places in Kutaisi, such as: Sataplia Cave, where one can observe footprints of dinosaurs; Geguti Palace, which was one of the residences of Georgian monarchs; "Okros Chardakhi" – Georgian Kings' Palace; and the Pantheon, where many notable citizens are buried. The Kutaisi Synagogue which was built in 1885 is also an interesting sight.

In recent years in Kutaisi, as in entire Georgia, vigorously is developed the tourist sector of economy. Therefore, for the optimum development of this sector it is important to have an information about the bioclimatic characteristics of the indicated city, connected with the mass tourism. One of similar of characteristics is TCI.

TCI is a combination of seven parameters, three of which are independent and two in a bioclimatic combination:

$$TCI = 8 \cdot C_{ld} + 2 \cdot C_{la} + 4 \cdot R + 4 \cdot S + 2 \cdot W$$

Where C_{ld} is a daytime comfort index, consisting of the mean maximum air temperature T_{max} (°C) and the mean minimum relative humidity RH_{min} (%), C_{la} is the daily comfort index, consisting of the mean air temperature T_{mean} (°C) and the mean relative RH_{mean} humidity (%), R is the precipitation (mm), S is the daily sunshine duration (h), and W is the mean wind speed (m/s).

In contrast to other climate indices, every contributing parameter is assessed. Because of a weighting factor (a value for TCI of 100), every factor can reach 5 points. TCI values ≥ 80 are excellent, while values between 60 and 79 are regarded as good to very good. Lower values (40 – 59) are acceptable, but values < 40 indicate bad or difficult conditions for understandable to all tourism [2].

For the TCI calculation data of Hydrometeorological Service of Georgia was used.

Results and discussion

Results in fig. 1-2 and the table are presented.




Fig. 1. The intra-annual distribution of Tourism Climate Index in Kutaisi.

As follows from fig.1 the intra-annual distribution of the TCI values for Kutaisi has bimodal nature with the extremum during May and September (“Excellent”). It is known, that the bimodal type of distribution of TCI values in many other places is observed [6-10]. TCI categories change from “Unfavorable” (December, January, February) to “Very good” and “Excellent” (May, June, September). For the development of mass tourism the months from March through November are favorable.

As it follows from table and fig. 2 the values of daytime comfort index (Cld varied from 40.6 % to 60.6 % with average value 50.3 %) and daily sunshine duration (S varied from 12.1 % to 21.2 % with average value 17.3 %) make the greatest share to the mean annual values of TCI in Kutaisi. The values of daily comfort index Cla, precipitation R and wind W make the a smaller share to the mean annual values of TCI (Cla varied from 8.9 % to 15.2 % with average value 11.6 %, R varied from 6.1 % to 14.3 % with average value 9.7 %, W varied from 8.9 % to 13.6 % with average value 11.1 %).

Table. Share of Cld , Cla, R, S and W in Tourism Climate Index in Kutaisi (%).

	Cld	Cla	R	S	W
Jan	51.6	12.9	6.5	19.4	9.7
Feb	52.6	10.5	10.5	15.8	10.5
Mar	45.5	9.1	13.6	18.2	13.6
Apr	50.0	8.9	14.3	17.9	8.9
May	50.0	10.0	12.5	15.0	12.5
Jun	46.2	12.8	10.3	17.9	12.8
Jul	42.4	15.2	9.1	21.2	12.1
Aug	40.6	14.5	11.6	20.3	13.0
Sep	50.0	12.5	7.5	17.5	12.5
Oct	60.6	9.1	6.1	15.2	9.1
Nov	53.3	11.1	8.9	17.8	8.9
Dec	60.6	12.1	6.1	12.1	9.1
min	40.6	8.9	6.1	12.1	8.9
max	60.6	15.2	14.3	21.2	13.6
average	50.3	11.6	9.7	17.3	11.1




Fig. 2. Share of different components in Tourism Climate Index in Kutaisi.

As a whole, the relatively lowered values of TCI in Kutaisi (in comparison with Baku, Yerevan, Tbilisi, Telavi, different location of Iran, Turkey etc.) are caused by more rainy climate, decreasing the contribution share R to the general value of TCI [6,9]. At the same time values of TCI in Kutaisi are close to their values for the cities Batumi, Kobuleti and Khulo, located on the coast area of Black sea, Tskaltubo, Mukhuri, Mestia (Western Georgia), Pyatigorsk, Yessentuki, Zheleznovodsk Teberda, Nalchik (North Caucasus) [10].

Conclusion

Climate has a strong influence on the tourism and recreation sector and in some regions represents the natural resource on which the tourism industry is predicated. In this work the new data about such bioclimatic characteristics as “Tourism Climate Index” for Kutaisi (Western Georgia) is obtained. Therefore, information about TCI for this locality will be useful for the more rational planning here of one form or another of mass tourism, and also of organization of the treatment of people in different seasons of year. In the future we plan a more detailed study of the climate resources of this location for the tourism development.

References

1. Matzarakis A. Weather - and Climate-Related Information for Tourism. //Tourism and Hospitality Planning & Development, August, 2006, vol. 3, No. 2, pp. 99–115.
2. Mieczkowski Z. The Tourism Climate Index: A Method for Evaluating World Climates for Tourism. // The Canadian Geographer 1985, N 29, pp. 220-233.
3. Amiranashvili A., Matzarakis A., Kartvelishvili L. Tourism Climate Index in Tbilisi.// Trans. of the Institute of Hydrometeorology, ISSN 1512-0902, Tbilisi, 18 – 19 November, 2008, vol. 115, pp. 27 - 30.
4. Amiranashvili A., Matzarakis A., Kartvelishvili L. Tourism Climate Index in Batumi.// “Modern Problems of Using of Health Resort Resources”, Collection of Scientific Works of International Conference, Sairme, Georgia, June 10-13, 2010, ISBN 978-9941-0-2529-7, Tbilisi, 2010, pp. 116-121.
5. Kartvelishvili L., Matzarakis A., Amiranashvili A., Kotaladze N. Assessment of touristical-recreation potential of Georgia on background regional climate change.// Proc. of IIST International Scientific-Practical Conference “TOURISM: ECONOMICS AND BUSINESS”, June 4-5, Batumi, Georgia, 2011, pp. 250-252.
6. Amiranashvili, A., Chargazia, Kh., Matzarakis, A. Comparative Characteristics of the Tourism Climate Index in the South Caucasus Countries Capitals (Baku, Tbilisi, Yerevan). //Journal of the Georgian Geophysical Society, Issue (B). Physics of Atmosphere, Ocean, and Space Plasma, 2014, vol.17B, pp. 14-25.
7. Amiranashvili A., Chargazia Kh., Matzarakis A., Kartvelishvili L. Tourism climate index in the coastal and mountain locality of Adjara, Georgia. //International Scientific Conference “Sustainable Mountain Regions: Make Them Work”. Proceedings, Borovets, Bulgaria, ISBN 978-954-411-220-2, 14-16 May,2015, pp.238-244, http://geography.bg/MountainRegions_Sofia2015
8. Amiranashvili A.G, Bolashvili N.R., Chikhladze V.A., Japaridze N.D., Khazaradze K.R., Khazaradze R.R., Lezhava Z.L., Tsikarishvili K.D. Some New Data about the Bioclimatic Characteristics of the Village of Mukhuri (Western Georgia). //Journal of the Georgian Geophysical Society, Issue B. Physics of Atmosphere, Ocean and Space Plasma, Tbilisi, 2015, vol.18B, pp. 107-115.
9. Amiranashvili A. G., Japaridze N. D., Kartvelishvili L. G., Khazaradze R. R. Tourism Climate Index in Telavi (Eastern Georgia). //The Questions of Health Resort Managing, Physioteraphy and Rehabilitation, International Collection of Scientific Articles, ISSN 2449-271X, Tbilisi, 2016, vol. I, p. 76-81.
10. Amiranashvili A.G., Japaridze N.D., Kartvelishvili L.G., Khazaradze K.R., Matzarakis A., Povolotskaya N.P., Senik I.A. Tourism Climate Index of in the Some Regions of Georgia And North Caucasus. //Journal of the Georgian Geophysical Society, Issue (B). Physics of Atmosphere, Ocean, and Space Plasma, 2017, vol.20B, pp. 43-64.



საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები“
შრომები, ISSN 1512-1976, ტ. 6, ქუთაისი, საქართველო, 21-22 სექტემბერი, 2018
International Scientific Conference „Modern Problems of Ecology“
Proceedings, ISSN 1512-1976, v. 6, Kutaisi, Georgia, 21-22 September, 2018
Международная научная конференция „Современные проблемы экологии“
Труды, ISSN 1512-1976, т. 6, Кутаиси, Грузия, 21-22 сентября, 2018



სექცია 3

საინჟინრო და სასურსათო ეკოლოგია

Section 3

ENGINEERING AND FOOD ECOLOGY

Секция 3

ИНЖЕНЕРНАЯ И ПРОДОВОЛЬСТВЕННАЯ ЭКОЛОГИЯ



მილსადენი სისტემების კოროზია, როგორც ეკოლოგიური ბალანსის რღვევის ერთ-ერთი ფაქტორი

ბერძენიშვილი ი.გ., კამკამიძე კ.ნ., მათეშვილი ი.ი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ანოტაცია: ნაჩვენებია, რომ მილსადენი სისტემების კოროზია არის ეკოლოგიური ბალანსის რღვევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. კოროზია განპირობებულია ლითონების თერმოდინამიკური არამდგრადობით. ლითონთა ქიმიური კოროზიული პროცესების შესაძლებლობის პროგნოზირებისა და შეფასებისათვის გამოყენებულია ჯიბსის თავისუფალი ენერჯის მინიმოზაციის მეთოდი. აღნიშნულია ეფექტური პრევენციული სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობა.

საკვანძო სიტყვები: მილსადენი სისტემების კოროზია

ენერგეტიკული რესურსების უსაფრთხო ტრანსპორტირება სტრატეგიული მნიშვნელობისაა საქართველოსათვის, ხოლო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება აუცილებელი ფაქტორია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის.

გადასატუმბ მილსადენებს მუშაობა უხდება მძიმე საექსპლუატაციო პირობებში – კოროზიულად აქტიურ გარემოში ტემპერატურის მკვეთრი ცვლილების, დინამიკური დარტყმების და დიდი დაწოლის პირობებში. სწორედ ამიტომ ფოლადის მილებისაგან აგებული კონსტრუქცია-ნაგებობები ადვილად განიცდის კოროზიას, რაც მისი საექსპლუატაციო რესურსის შემცირების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია. რთულ საექსპლუატაციო პირობებში მილსადენი სისტემების მდგომარეობა უახლოვდება კრიტიკულს და ნავთობ- და გაზსადენებზე მომხდარი ავარიები იწვევენ მძიმე შედეგებს, რაც დაკავშირებულია ადამიანთა მსხვერპლთან, მატერიალურ დანაკარგებთან, ეკოლოგიური ბალანსის რღვევასთან და სხვ [1-4].

მილსადენი სისტემის დაზიანება იმის შედეგია, რომ ძირითადი საკონსტრუქციო მასალები თერმოდინამიკურად არამდგრადი ლითონები და მათი შენადნობებია. გარემოს გავლენით ისინი განიცდიან თვითნებურ რღვევას და გადადიან ქიმიურ ნაერთებში, რაც კოროზიის არაკონტროლირებად ქმედებას წარმოადგენს [1, 5].

სტატისტიკური მონაცემებით მსოფლიოში კოროზიის შედეგად ლითონთა დანაკარგი წელიწადში 20 მილიონ ტონაზე მეტს შეადგენს, რითაც მნიშვნელოვან ეკონომიურ

ზიანს აყენებს საზოგადოებას მთლიანად. კოროზიით გამოწვეული ზარალი განვითარებულ ქვეყნებში ყოველწლიურად ეროვნული შემოსავლის 2-4 %-ს შეადგენს [2, 5].

ამგვარად, ლითონების კოროზია – ლითონების რღვევის პროცესი გარემოს ქიმიური ან ელექტროქიმიური ზემოქმედების შედეგად, ხოლო ქიმიური კოროზია გულისხმობს ლითონის ზედაპირზე კოროზიულად აქტიური გარემოს ისეთ მოქმედებას, რომლის შედეგად ელექტროდენი არ წარმოიქმნება [1, 5].

ტერმინი „კოროზია“ წარმოიშვა გვიან. ლათინურიდან „*corrosio*“, რაც „ამოჭმას“ ნიშნავს. არ უნდა აგვერიოს ერთმანეთში ისეთი ცნებები, როგორიცაა „კოროზია“ და „ჟანგი“. კოროზია არის პროცესი, ხოლო ჟანგი – მისი შედეგი.

კოროზიის პროცესი ლითონის ზედაპირიდან იწყება და შემდეგ სიღრმეში ვრცელდება. ამ დროს ლითონის გარეგანი სახე იცვლება: მის ზედაპირზე ჩნდება სიღრუეები, რომლებიც კოროზიის პროდუქტებითაა ამოვსებული (ნახ. 1).




ნახ. 1. ლითონის კოროზიული რღვევა

იმ ფიზიკურ-ქიმიური პროცესების არსი, რომლებსაც ლითონი ქიმიური კოროზიის დროს განიცდის, არის ლითონის დაჟანგვა ანუ ლითონის უშუალოდ შეერთება აგრესიული გარემოს შემადგენელ კომპონენტთან:

ლითონი + გარემოს მჟანგავი კომპონენტი = რეაქციის პროდუქტი.

იმის გათვალისწინებით, რომ ბუნებრივ გარემოზე კოროზიული პროცესების ნეგატიური ზემოქმედების სექტორი მუდმივად ფართოვდება და არის მეტად აქტუალური, წინამდებარე ნაშრომში ჯიბსის თავისუფალი ენერჯიის მინიმუმის მეთოდის გამოყენებით განხორციელდა ლითონთა ქიმიური კოროზიული პროცესების პროგნოზირება და შეფასება.

ლითონის ჟანგვის პროცესი მშრალი ჟანგბადის ატმოსფეროში შეიძლება გამოისახოს შემდეგი რეაქციით:



ლითონების ჟანგბადთან სწრაფვის რაოდენობრივ საზომს ამ რეაქციის ჯიბსის თავისუფალი ენერჯიის ცვლილება (ΔG) წარმოადგენს, რომელიც იანგარიშება რეაქციის იზოთერმის განტოლების საფუძველზე [6-8]:

$$\Delta G_T = -RT(\ln K - \Delta \ln a),$$

სადაც K – რეაქციის წონასწორობის კონსტანტა, $\Delta \ln a$ – რეაგენტებისა და პროდუქტების საწყის აქტიურობათა ლოგარითმების ალგებრული ჯამი, R – აირის უნივერსალური მუდმივა, T – ტემპერატურა.

თუ ლითონი და მისი ოქსიდი სუფთა ნივთიერებებია, მაშინ

$$\Delta G_T = -RT \left(\ln \frac{1}{P_{O_2}} - \ln \frac{1}{P_{O_2}} \right) \quad \text{ან}$$

$$\Delta G_T = -RT (\ln p_{O_2} - \ln P_{O_2}).$$

აქ P_{O_2} ჟანგბადის წონასწორული წნევაა სისტემაში, ხოლო p_{O_2} – ჟანგბადის საწყისი წნევა აირად ფაზაში.

მიღებულ განტოლებებს მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ΔG_T -ს სიდიდისა და ნიშნის განსაზღვრით შესაძლებელია იზობარულ პირობებში მიმდინარე ლითონის ჟანგვის რეაქციის შესაძლებლობისა და სპონტანურობის პროგნოზირება.

იმ შემთხვევაში, თუ $p_{O_2} > P_{O_2}$, მაშინ $\Delta G_T < 0$ და პროცესი თერმოდინამიკურად შესაძლებელია. დაჟანგვის პროცესი შეუძლებელია, თუ $P_{O_2} > p_{O_2}$, რადგან ამ დროს $\Delta G_T > 0$.

კოროზიული სისტემა იმყოფება თერმოდინამიკური წონასწორობის მდგომარეობაში მხოლოდ მაშინ, როდესაც $p_{O_2} = P_{O_2}$ და $\Delta G_T = 0$.

სტანდარტულ პირობებში კოროზიული პროცესის მიმდინარეობის შესაძლებლობა განისაზღვრება განტოლებით [6-8]:

$$\Delta G^\circ = -RT \ln K_p$$

ან შეიძლება შეფასდეს რეაქციაში მონაწილე ნივთიერებათა სტანდარტული მოლური ენთალპიების (ΔH°) და სტანდარტული მოლური ენტროპიების (S°) გამოყენებით:

$$\Delta G^\circ = \Delta H^\circ - T\Delta S^\circ.$$

აღსანიშნავია, რომ თერმოდინამიკური ანალიზის საშუალებით დგინდება მხოლოდ ლითონების კოროზიული პროცესის მიმდინარეობის შესაძლებლობა, კოროზიის რეალურ სიჩქარეზე კი იგი მონაცემებს არ იძლევა.

კოროზიულ პროცესებს ძალზე მრავალფეროვანი გამოვლინებები და გამომწვევი მიზეზები აქვს. ამიტომ ლითონების რეალური კოროზიამედეგობის დასადგენად მნიშვნელოვანია კონკრეტული სიტუაციების და მიზეზების შესწავლა, რომელთა მიხედვით თერმოდინამიკურად შესაძლებელი პროცესი ერთ შემთხვევაში ნელა მიმდინარეობს, მეორეში კი – სწრაფად.

კოროზიის წინააღმდეგ ბრძოლა თანამედროვე ტექნიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

ამრიგად, ნავთობისა და ბუნებრივი აირის უდანაკარგო ტრანსპორტირებისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, კონსტრუქციული მასალები წინასწარ უნდა გამოიცადოს მათი საექსპლუატაციო საიმედოობის დასადგენად.

რისკების მთელი სპექტრის ეფექტური მართვის და ბუნებრივი ეკოლოგიური ბალანსის შენარჩუნების თვალსაზრისით, აუცილებელია შემუშავდეს თანამედროვე მეცნი-

ერულ ცოდნაზე დაფუძნებული შემარბილებელი ღონისძიებები და პრევენციული ექსპერტური სტრატეგია.

ლიტერატურა

1. Roberge P.R. Corrosion Engineering: Principles and Practice. Publisher: McGraw-Hill Education; 1st Edition (April 15, 2008). – 754 p.
2. Koch G.H., Brongers M.P.H., Thompson N.G. Corrosion – a natural but controllable process. PUBLICATION No. FHWA-RD-01-156, 2010, p. 3, 4.
3. Berdzenishvili I., Siradze M. To the Issue of Increasing the Efficiency of Operation of Energy Transmission Systems. Journal of Energy and Power Engineering. USA, August 2016, Volume 10, Number 8, pp. 486-488.
4. ASM Handbook Volume 13C, Corrosion: Environments and Industries (ASM International) 2006, 1026-1036 p.
5. კამკამიძე კ., ბერძენიშვილი ი., კამკამიძე ე. გაზსადენი სისტემები, რისკების შეფასება და საიმედოობის უზრუნველყოფა. – თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი, 2014. – 160 გვ.
6. Горшков В.И., Кузнецов И.А. Основы физической химии. Изд. 3-е, – М.: Бинომ. Лаборатория знаний, 2009. – 407 с.
7. Berdzenishvili I. Thermochemical measurements. – Tbilisi: Technical University, 2017. – 135 p.
8. Basic Chemical Thermodynamics, 5th Edition by E. Brian Smith, – London: Imperial College Press, 2004. – 166 p.

CORROSION OF PIPELINE SYSTEMS AS ONE OF THE FACTORS OF DISTURBANCE OF ECOLOGICAL BALANCE

Berdzenishvili I.G., Kamkamidze K.N., Mateshvili I.I.

Summary: It is shown, that the corrosion of pipeline systems is one of the significant factors of disturbance of ecological balance. Corrosion is conditioned by thermodynamic instability of metals. To predict and assess the possibility of chemical corrosion of metals Gibbs free energy minimization method is used. The necessity of developing an effective preventive strategy is noted.



ტბაში წყლის ნაკადების დინამიკაზე ატმოსფერული ქარის ზემოქმედების რიცხვითი მოდელირება

გირგვლიანი ა. გ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია: ნაშრომში წარმოდგენილია Visual C++ ენაზე .NET Framework გარემოში განხორციელებული პროექტი, რომელიც მოიცავს მცირე სიღრმის წყალსაცავებში წყლის დინამიკური მახასიათებლების შესაბამის რიცხვით მოდელს. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ატმოსფერული ქარის ზემოქმედების რიცხვით მოდელირებაზე. პროექტის აპრობაცია განხორციელებულია პალიასტომის ტბის მაგალითზე.

საკვანძო სიტყვები: წყალსაცავი, წყლის დინამიკური მახასიათებლები

შიდა წყალსაცავებში მიმდინარე დინამიკური და თერმული პროცესების შესწავლას დიდი მნიშვნელობა გააჩნია ისეთი პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად როგორცაა: წყლის რესურსების ათვისება და რაციონალურად გამოყენება, გარემოს დაცვა, ჰიდროტექნიკური ნაგებობების დაპროექტება და მშენებლობა, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება და სხვა. შესასწავლი პროცესების მაღალდინამიურობის გამო ასეთი ამოცანების შესაბამისი რიცხვითი მოდელები მოითხოვენ მაღალი ხარისხის დეტალიზაციას. ამასთან ოკეანეში მიმდინარე დიდმასშტაბიანი პროცესებისაგან განსხვავებით აქ დასმული ამოცანები დიდი არაწრფივობით ხასიათდება. ამიტომ მათი გადაწყვეტა სრული მოდელებით პრაქტიკულად შეუძლებელია, რის გამოც საჭირო ხდება გარკვეული გამარტივებების შემოღება. მაგალითად სამგანზომილებიანი ამოცანების დაყვანა ორგანზომილებიან ან, ერთგანზომილებიან, ამოცანებამდე [1, 2].


[3] ნაშრომში წარმოდგენილია ტბის ორგანზომილებიანი მოდელის რეალიზაციისათვის შექმნილი აპლიკაცია, რომელიც წარმოადგენს რამდენიმე დამოუკიდებელი პროექტის გაერთიანებას:

- ორგანზომილებიანი დინამიკური მოდელის შესაბამისი პროექტი [4,5];
- პასიური მინარევის გავრცელების მოდელის შესაბამისი პროექტი;
- მიღებული შედეგების გრაფიკულად წარმოდგენის პროექტები.

მოცემული ნაშრომში წარმოდგენილია ახალი პროექტი, რომელიც წარმოადგენს ზემოთხსენებული აპლიკაციის შევსება-დანამატს და ახორციელებს ატმოსფერული ქარის ხახუნის დამაბულობის რიცხვით მოდელირებას ინფორმაციის სხვადასხვა წყაროს არსებობის შემთხვევებში.

ნაშრომში წარმოდგენილი მოდელები განხორციელებულია Windows - ის სტანდარტული დანართის სახით, რომელიც შესრულებულია Visual Studio 2008-ში C++ ენაზე. მიღებული აპლიკაციის სათაო გვერდი შემდეგნაირად გამოიყურება:

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დანართი შეიცავს ორი დამოუკიდებელი რიცხვითი მოდელის შესაბამის პროექტებს და პროექტებს, რომლებიც ახორციელებენ მათი რეალიზაციისათვის საჭირო დამატებით ფუნქციებს. ჩამოთვლილთაგან დანართის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ორგანზომილებიანი დინამიკური მოდელის შესაბამისი პროექტი.



ნახ 1. პროექტის სათაო გვერდი

შესაბამის მოდელში განხილულია ორგანზომილებიანი $D(x, y)$ არე, რომლის საზღვარი S - აღიწერება ფსკერის რელიეფისა $h(x, y)$ და წყლის თავისუფალი ზედაპირის $-\xi(x, y, t)$ თანაკვეთით. წყალსაცავებში, რომელთა შესწავლაც არის განსაზღვრული წარმოდგენილი მოდელით ჰორიზონტალური ზომები გაცილებით მეტია ვერტიკალურზე. ამ პირობის გათვალისწინებით სუბსტანციის გადატანა-დიფუზიის სამგანზომილებიანი დიფერენციალური განტოლებები შეგვიძლია ვაინტეგრით ვერტიკალის მიხედვით $-\xi(x, y, t)$ -დან $h(x, y)$ -მდე. ინტეგრების შედეგად მივიღებთ ორგანზომილებიან დიფერენციალურ განტოლებათა სისტემას, რომელიც შეიცავს წყლის მოძრაობისა და უწყვეტობის განტოლებებს [4]:

$$\frac{\partial U}{\partial t} + \frac{1}{2} \left(\frac{\partial u U}{\partial x} + u \frac{\partial U}{\partial x} \right) + \frac{1}{2} \left(\frac{\partial v U}{\partial y} + v \frac{\partial U}{\partial y} \right) - fV + g\eta \frac{\partial \xi}{\partial x} = \frac{1}{\eta} (\tau_x^0 - \tau_x^1),$$

$$\frac{\partial V}{\partial t} + \frac{1}{2} \left(\frac{\partial u V}{\partial x} + u \frac{\partial V}{\partial x} \right) + \frac{1}{2} \left(\frac{\partial v V}{\partial y} + v \frac{\partial V}{\partial y} \right) + fU + g\eta \frac{\partial \xi}{\partial y} = \frac{1}{\eta} (\tau_y^0 - \tau_y^1),$$

(1)

$$\frac{\partial \xi}{\partial t} + \frac{\partial U \eta}{\partial x} + \frac{\partial V \eta}{\partial y} = 0,$$

სადაც: u და v წყლის ნაკადის სიჩქარის ვექტორის კომპონენტებია შესაბამისად OX და OY ღერძების გასწვრივ, f -კორიოლისის პარამეტრია, g - თავისუფალი ვარდნის აჩქარებაა დედამიწაზე, τ_x^0 და τ_y^0 ფუნქციები აღწერენ ქარის ხახუნის დამაბულობას, ხოლო τ_x^1 და τ_y^1 დამაბულობას ფსკერთან ხახუნის გამო. სისტემაში მიღებულია აღნიშვნები: $\eta = \sqrt{\xi + h}$, $U = u \cdot \eta$, $V = v \cdot \eta$.

როგორც (1) სისტემიდან სჩანს აუზში წყლის მასების მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ატმოსფერული ქარის ხახუნის დამაბულობა და დამაბულობა ფსკერთან ხახუნის გამო. შესაბამისი წევრების პარამეტრიზაცია მოდელში ხორციელდება შემდეგი ფორმულების მეშვეობით [4, 5]:

$$\tau_x^0 = b_1 \cdot \sqrt{W_x^2 + W_y^2} \cdot W_x, \quad \tau_x^1 = b \cdot \sqrt{u^2 + v^2} \cdot u,$$

$$\tau_y^0 = b_1 \cdot \sqrt{W_x^2 + W_y^2} \cdot W_y, \quad \tau_y^1 = b \cdot \sqrt{u^2 + v^2} \cdot v,$$

სადაც $b = 0,003$, $b_1 = 3,210 \cdot 10^{-6}$, ხოლო W_x და W_y ატმოსფერული ქარის სიჩქარის ვექტორის კომპონენტებია შესაბამისად OX და OY ღერძების გასწვრივ.

ამოცანის ამონახსნი შეიძლება ვეძებოთ შემდეგი სასაზღვრო და საწყისი პირობებით:

$$U = V = 0, \quad S - \text{საზღვარზე},$$

$$U = U^0, \quad V = V^0, \quad \xi = \xi^0 \quad \text{როცა } t = t^0. \quad (2)$$

მიღებული (1), (2) ამოცანის ამოხსნისათვის მოდელში გამოიყენება სასრულ-სხვაობიანი მეთოდები. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანის დისკრეტიზაცია ხორციელდება ისე, რომ მიღებული სხვაობიანი ანალოგი აპროქსიმირებს საწყისი ამოცანის სივრცით ოპერატორს მეორე ხარისხის სიზუსტით თანაბარ ბადეზე [4].


სისტემის რეალიზაცია დროის მიხედვით ხორციელდება ცხადი სქემით და ამის გამო სხვაობიანი სქემის მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია დავიცვათ კურანტის ცნობილი პირობა:

$$\frac{\Delta t}{\Delta L} < \frac{1}{\sqrt{2gh_{\max}}},$$

სადაც Δt – დროითი ბიჯია, ხოლო Δx და Δy სხვაობიანი ბადის ბიჯებია სივრცითი კოორდინატების გასწვრივ, $\Delta L = \max(\Delta x, \Delta y)$.

წარმოდგენილ მოდელში ინფორმაცია ატმოსფერული ქარის შესახებ მიეწოდება სიჩქარის ვექტორის კომპონენტების სახით. ეს ინფორმაცია ორგანზომილებიანი ცხრილების სახით უნდა იყოს წინასწარ მომზადებული. დანართში გათვალისწინებულია აღნიშნული ინფორმაციის მომზადებისა და მიწოდების სამი სხვადასხვა ფორმა (ნახ. 1.):


➤ **ცხრილით** - ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მონაცემები ქარის შესახებ მომზადებულია ცხრილური სახით და ჩაწერილია შესაბამის ფაილში. პროგრამა მითითებული ფაილიდან კითხულობს და ანგარიშობს ზედაპირზე ხახუნის დამაბულობის კომპონენტებს, ამასთან მომხმარებელს შეუძლია ნახოს შესაბამის მონაცემები ვექტორული ველის სახით (ნახ. 2.).



ნახ 2. ცხრილით განსაზღვრული ქარის შესაბამისი ვექტორული ველი.


➤ **წერტილებით** - პრაქტიკული თვალსაზრისით ყველაზე მეტად მოსალოდნელია ქარის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ბასეინთან ახლომდებარე მეტეოროლოგიური სადგურებიდან. ასეთ შემთხვევაში მონაცემები წარმოდგენილი უნდა იყოს თვითოეული სადგურისათვის ოთხი პარამეტრით. პირველი ორი უნდა განსაზღვრავდეს სადგურის ადგილმდებარეობის კოორდინატებს, ხოლო ორი დანარჩენი ქარის სიჩქარის ვექტორის კომპონენტებს. პროგრამაში გათვალისწინებულია ასეთი ინფორმაციის ინტერპოლაცია სტანდარტულ ბადეზე და მიღებული ველების ჩაწერა ფაილში მოდელისათვის საჭირო ფორმით. მომზადებული მონაცემების ნახვა ამ შემთხვევაშიც შეიძლება ვექტორული ველის სახით (ნახ. 3.).

➤ **ვექტორებით** - მოცემულ ვარიანტში მომხმარებელს საშუალება ეძლევა ქარის შესახებ ინფორმაცია მოდელს მიაწოდოს გრაფიკულად. ხელით დახაზული სიჩქარის ვექტორების სახით. ცხადია ინფორმაცია მოკლებულია ყოველგვარ სიზუსტეს და პრაქტიკული თვალსაზრისით არ წარმოადგენს ღირებულს, მაგრამ ის საკმაოდ კარგია მოდელის შესამოწმებისა და ხარისხის შესამოწმებლად. აღნიშნული ვარიანტის რეალიზაციის შესაბამისი ფანჯარა გამოსახულია ნახ. 4.-ზე.



ნახ 3. წერტილებით განსაზღვრული ქარის შესაბამისი ვექტორული ველი. საწყისი მონაცემების შესაბამისი ვექტორები მოცემული გამუქებულიად

წარმოდგენილი ფანჯრის დილაკზე „საწყისი ვექტორების დახაზვა“ დაჭერის შედეგად ფანჯრის მარცხენა მხარეში გამოისახება აუზის შესაბამისი რუკა, რომელზეც მომხმარებელს მაუსის საშუალებით შეუძლია ქარის მიმართულებისა და სიძლიერის შესაბამისი ვექტორების მოხაზვა. ნახაზზე ისინი მსხვილი მწვანე ვექტორებით არის გამოსახული. ყოველი დახაზული ვექტორის შესაბამისი პარამეტრები (სათავის კოორდინატები და ვექტორის კომპონენტები) ცხრილის სახით გამოისახება ფანჯრის მარცხენა მხარეში.



ნახ 4. ვექტორებით განსაზღვრული ქარის შესაბამისი ველი. საწყისი მონაცემების შესაბამისი ვექტორები მოცემული გამუქებულად

ეკოლოგიური განათლების საფუძვლიანი ცოდნის მიღების სერიოზულ რეზერვს წარმოადგენს ადგილობრივი ეკოლოგიური გარემო, მისი მდგომარეობა, დაცვის მექანიზმები და ეკოლოგიური გარემოს გაჯანსაღება რომლის გამოყენება სისტემატიურად შეიძლება მოსწავლეთა ეკოლოგიური აღზრდის პროცესში, რადგან არ საჭიროებს არანაირ მატერიალურ დანახარჯებს, არც ექსკურსიის ჩატარებას, არც თვალსაჩინობას, ან მის სანახავად წასვლას, რადგან მოსწავლეებს ყველაფერი ნანახი და განცდილი აქვთ.

მოსწავლეთა ეკოლოგიური აღზრდის პროცესში მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს სწავლების თანამედროვე მიმართულებები: საგანთაშორისი კავშირები; ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიები; კომპლექსური ექსკურსია; ეთიკური საუბრები; ეკოლოგიური ზღაპრები; დიდაქტიკური და როლური თამაშები და სხვ.

ეკოლოგიური აღზრდის პრობლემა თავისი არსით ფართო შესაძლებლობებს იძლევა მოსწავლეთა ეკოლოგიური ცოდნის გაღრმავებისათვის. ბუნებისმცოდნეობის, მათემატიკის, ქართული ენის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილებზე უნდა ვეცადოთ მოსწავლეებს ისეთი დავალებები მივცეთ, რომლებიც მათ მკვლევარის, მეცნიერის მდგომარეობაში ჩააყენებს და მოსწავლეებს საშუალება ექნებათ დაადგინონ ურთიერთკავშირები ბუნების მოვლენებს შორის, შეამჩნიონ რაოდენობრივი თანაფარდობები და მათი ცვლილებები, აღმოაჩინონ და გაშიფრონ საიდუმლოებები და გამოცანები და სხვ.

ეკოლოგიური აღზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მოსწავლეთა მშობლების ეკოლოგიური განათლება. ეს პირველ რიგში გულისხმობს მოსწავლეთა ფიზიოლოგიური თავისებურებების ცოდნას, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაში, კვების რაციონს, ფიზიკურ ვარჯიშს, ბუნებაში მოქცევის წესებს, ბუნების ფაქიზ მოპყრობას. მასწავლებელმა უნდა ჩაატაროს სხვადასხვა ეკოლოგიურ თემებზე მშობელთა კრებები და გააცნოს ეკოლოგიის აქტუალური საკითხები მშობლებს.

ჰიგიენის სპეციალისტთა აზრით ბავშვთა ჯანმრთელობის პრობლემები კვებასთან არის დაკავშირებული. კერძოდ, რას მოიხმარს ადამიანი საკვებად და როგორ მოიხმარს საკვებს (დოზირების თვალსაზრისით). ამიტომ მასწავლებელმა მოსწავლეებს და მოსწავლეთა მშობლებს უნდა გააცნოს მოსწავლეთათვის რა წარმოადგენს ჯანსაღ საკვებს და ასეთი საკვებით კვების წესები, კვების რაოდენობა, საკვების დოზები, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ასაკი. მოსწავლეებს და მათ მშობლებს უნდა განუვმარტოთ, რომ არა-ჯანსაღი კვება, საკვების მიღების დროის ან კვების რაოდენობის შემცირება პირველ რიგში იწვევს წონაში მატებას, ხოლო ჭარბწონიანობა იწვევს სხვადასხვა სახის დაავადებებს, მათ შორის მძიმე დაავადებებსაც, რაც მათი ასაკში შესვლის შემდეგ შეიძლება გამოვლინდეს. აგრეთვე, საკვების მიმართ მოუფრთხილებელი მოპყრობა, მოუწესრიგებელი კვება, არაბუ-

ნებრევიად ცოტას ჭამა, აგრეთვე შეიძლება გახდეს მრავალი სხვადასხვა სერიოზული დაავადების მიზეზი.

მასწავლებლის საუბრის მიზანი აგრეთვე შეიძლება გახდეს:

მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის კვების ჰიგიენის ელემენტარული წესების გაცნობა;

მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის საკვების როლის მნიშვნელობა ბავშვების ფიზიკურად ზრდაში და მათ გონებრივ განვითარებაში;

მოსწავლეთა კვების რეჟიმის გაცნობა;

სასარგებლო საკვები პროდუქტების გაცნობა;

პურ-ფუნთუშეულის და შაქრის შემცველი პროდუქტების, შოკოლადის, ნამცხვრების საკვებად გამოყენების ზომიერების შესახებ;

ცხელი და წვნიანი საკვების მიღების აუცილებლობა და უპირატესობები;

ჩიპსების, კუბეტების და სხვა მშრალი საკვების სისტემატურად მიღების არამიზანშეწონილობა;

რა ზიანს აყენებს ჯანმრთელობას სწრაფი კვების ობიექტებსა და საშაურმეებში ნაყიდი საკვების მიღება;

ჰიგიენის მოთხოვნების და სასაბილო მაგიდასთან მოქცევის წესები და სხვ.

მოსწავლეთან სისტემატურად უნდა ჩატარდეს ჯანმრთელობის გაკვეთილები. მასწავლებელმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მოსწავლეთა დღის წესრიგს წელიწადის სხვადასხვა დროს. უნდა ეცადოს პრაქტიკული მაგალითებით დაარწმუნოს მოსწავლეები, რომ მათ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თავიანთ ჯანმრთელობას. მოსწავლეთა წინაშე დასვას კონკრეტულ ამოცანა: „რა უნდა გააკეთო შენ იმისათვის, რომ ჯანმრთელი იყო? რა არ უნდა გააკეთო შენ, ჯანმრთელი რომ იყო?“. საინტერესოა კლასგარეშე ღონისძიებები, რომლებიც ეკოლოგიურ ჯანმრთელობას უკავშირდება. მაგალითად, „თამაში-მოგზაურობა სისუფთავისა და წესრიგის ქალაქში“, რომლის შედეგადაც ბავშვები მივლენ დასკვნამდე, რომ „ჭუჭყიანები ზარმაცი ადამიანები ხდებიან“. „ჭუჭყიანი და მოუწესრიგებელი ტანსაცმელი-ეს შენი ჯანმრთელობის მოუფრთხილებლობაა“, „უსუფთაობა-შენ გარშემო მყოფი ადამიანების, პირველ რიგში კი-საკუთარი თავის უპატივცემულობაა“.

სასურველია, მასწავლებელმა ბავშვებს ქართული ენის გაკვეთილზე წაუკითხოს ნოდარ დუმბაძის ლექსის „მანანა“-ს ნაწყვეტი:

„რა ძნელია ამდენის
მოთმენა და ატანა,
გაგონილა ყოველდღე
საპნით პირის დაბანა?
მაგრამ მაგას არ ვამბობ,
ჯავრიც არ მაქვს მაგისი,
შეიძლება ყოველდღე
კბილის ხეხვა ჯავრისით?“

ამის შემდეგ მოსწავლეებმა უნდა გამოთქვან თავიანთი აზრი, თუ როგორი მოსწავლეა ლექსის გმირი მანანა და ის იცავს თუ არა ჰიგიენის წესებს? როგორ იქცევით თქვენ? სწორია თუ არა თქვენი საქციელი? როგორ უნდა მოიქცეთ სწორად? როგორ მოიქცევით შემდეგში? რამდენჯერ უნდა გამოიხეხოთ დღის განმავლობაში კბილები? უნდა დაიბანოთ

თუ არა საჭმლის ჭამის წინ ხელები საპნით? საჭმლის ჭამის შემდეგ? იცით თუ არა საპნით ხელის დაბანის წესები? და სხვ.

კარგი იქნება თუ მასწავლებელი მოსწავლეს დაავალებს კლასში საბავშვო პოეტის მანანა ტონიას ლექსის „სუფთა ღრუტუნია“-ს წაკითხვას:

„ბინძური და ლაფიანი,
დაძუნძულებს თხრილ-თხრილ ღორი,
სურვილი აქვს ღრუტუნიას,
არა ბევრი, ორად ორი.
რომ ეს ჭუჭყი მოიშოროს,
დაიბანოს მალე ტანი,
და მოძებნოს მარტოხელამ,
გულერთგული მეგობარი.
ყველა ვისაც ის მიადგა,
გვერდზე გადგა უცებ მისგან,
რას გეცხარო, არ დაგვსვარო,
სულ შავი ხარ ტალახისგან“.

მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ აზრებს, თუ რატომ არ მეგობრობს არავინ ღრუტუნიასთან, რატომ გადგა გვერდზე ყველა, ვისაც ის მიადგა, მოსწონთ თუ არა მათ ჭუჭყიანი ტანსაცმლით სიარული, როგორ უნდა ეცვათ მათ სკოლაში, სახლში, წვეულებაზე, სტადიონზე და სხვ.

მასწავლებელი უნდა ეცადოს მის მიერ ეკოლოგიური აღზრდის გაკვეთილები იყოს საინტერესო, რისთვისაც უნდა გამოიყენოს საგანთაშორისი კავშირები, პრაქტიკული გამოცდილება, მოსწავლეთა შემოქმედებითი ნაშრომები (მოსწავლეთა ლექსები, მათი ნახატები, ნაქსოვები და სხვ.), ეკოლოგიური ექსკურსიები და სხვ.

მეოდურად გამართლებული იქნება თუ მოსწავლეებთან გავმართავთ თათბირს და შემდეგ მასწავლებელი ჩამოაყალიბებს „ნორჩ ბუნებისდამცველთა წრეს“, რომელშიც ნებაყოფლობით გაერთიანდებიან ბავშვები. თუ მათ მასწავლებელი წაუკითხავს საბავშვო პოეტის მზია გოგნიაშვილის ლექსს „ჩვენი ქვეყნის ბუნება“.

საქართველოს ბუნება
საოცარი განძია.
მთებზე ჯიხვი ბინადრობს,
ტყეში,- მურა დათვია.
ბალახზე რომ მოცოცავს,-
ეს ირემა ხოჭოა,
მდინარეს რომ მოჰყვება
კალმახი და ღორჯოა.
მთიდან თმებად იშლება
წყაროს წყალი კამკამა,
ჩვენებური არწივი
ცაში ხაზავს კამარას.
მაგრამ მარტო შექება
არ უშველის ბუნებას,-
ჩვენი დაუდევრობით

თუკი განადგურდება.
წითელ წიგნში შეყვანილ
ირემსა და მურა დათვს
ჯავშანს ხომ არ ჩავაცმევთ
ან დავხურავთ მუზარადს!

მოსწავლეებს მივცემთ დავალებებს ლექსში მოყვანილი ერთ–ერთი ცხოველის, თევზის და ფრინველის (ჯიხვის, მურა დათვის, ირემა ხოჭოს, კალმახის, ღორჯოს, არწივის, ირემის) შესახებ მოამზადონ და ჩაატარონ პრეზენტაცია მომდევნო მეცადინეობაზე. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილზე დახატონ პრეზენტაციისათვის შერჩეული თევზი, ფრინველი თუ ცხოველი, მათემატიკის გაკვეთილზე შეადგინოს მარტივი ეკოლოგიური ამოცანა და სხვ.

კარგი იქნება თუ დროთა განმავლობაში მასწავლებელი მოსწავლეებს აზიარებს ვაჟას პოეზიას, რომელიც ბუნების მესაიდუმლე იყო და ხეები, ფრინველები და ცხოველები ამეტყველა და მათი მძაფრი ემოციები იმდენად ხატოვნად გადმოსცა მათ წამკითხველს თვალზე ცრემლი ადგება. ყველა პატარას სურს იცოდეს ბუნების ენა. ძალიან კარგი მიგნება გააკეთა მანანა ტონიამ ლექსში „ბუნების ენა“:

მე ბუნების ენა მინდა,
რომ მესმოდეს მისი ნეტავ,
რომ გავიგო ტყის ნანინა,
და ჩურჩული ბალახ-ხეთა.

უმცროსკლასელებისათვის ეკოლოგიური საკითხების გადაჭრისადმი კომპლექსური მიდგომები სხვადასხვა სასწავლო საგნის ჩართულობით საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ეკოლოგიური პრობლემები დაინახონ სხვადასხვა კუთხით, ხოლო პრობლემების გადაჭრის გზების სხვადასხვა ფორმით ძიება მათში ამტკიცებს იმის შეგნებას, რომ არსებული ეკოლოგიური პრობლემები ძალზედ აქტუალურია და მათი გადაჭრა კი აუცილებელია.

THE ECOLOGICAL UPBRINGING OF YOUNGER CLASSES STUDENTS USING INTERDISCIPLINARY CONNECTIONS

Dograshvili T., Gogiberidze I., Berdzulishvili G.

Summary: The ecological upbringing is especially relevant at the modern stage of society development. The main reason for this is the total ecological irresponsibility of the population. It is necessary to overcome this problem by the ecological upbringing of students from the very first year. Environmental issues should be discussed with younger students in science, math, art, music and Georgian language lessons with different aspects of each subject, which will cover the ecological problems and teachers along with the students will find the ways to solve the problems. This approach allows the younger classes to see ecological problems in a different way, and finding various ways solving the problems help them to realise it is clear that the existing ecological problems are very relevant and their solutions are necessary.



სამართლებრივი საკითხები გარემოს დაცვასა და ეკოლოგიაში

ჩხიროძე დ., ჩაჩხიანი ნ., ბანძელაძე მ.

ქუთაისის უნივერსიტეტი
 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია: მდგრად ეკოლოგიურ განვითარებაზე გადასვლა, მხოლოდ სამართლიან სახელმწიფოშია შესაძლებელი, როდესაც არსებობს კანონის უზენაესობა, ასევე ადამიანის ჯამთელობის და ეკოლოგიური გარემოს სამართლებრივი დაცვა.

საერთაშორისო სამართლებრივი პრინციპები გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარებისათვის ითვალისწინებს გარემოს მდგრად განვითარებაზე ზრუნვას.

ადამიანის ძირითადი უფლებები გარემოს დაცვის მიმართულებით ითვალისწინებს:

–ყველა ადამიანის უფლებას იცხოვროს ჯანსაღ და ჯამთელობისათვის უვნებელ გარემოში;

–თაობებს შორის თანასწორობას;

–სახელმწიფოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების ხარჯვას ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით;

–წინასწარ შეტყობინებას;

–ეკოლოგიური ნორმების დაცვას და მონიტორინგს;

–მდგრად განვითარებას;

–საერთო თანამშრომლობის მოვალეობებს და სხვა.

მოითხოვს სახელმწიფო აპარატისაგან, პოლიტიკური პარტიებისაგან, პროფკავშირებისაგან და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან სტაბილურ საგარეო პოლიტიკას გარემოს მდგრადობის შენარჩუნებისათვის.

საკვანძო სიტყვები: გარემოს დაცვა, სამართალი

მდგრად ეკოლოგიურ განვითარებაზე გადასვლა, მხოლოდ სამართლიან სახელმწიფოშია შესაძლებელი, როდესაც არსებობს კანონის უზენაესობა, ასევე ადამიანის ჯამთელობის და ეკოლოგიური გარემოს სამართლებრივი დაცვა.

სამართალი სახელმწიფოს მიერ დადგენილი და დამცავი ნორმების და წესების განსაზღვრული სახის ერთობლიობაა. სამართლის დაარსება–დამკვიდრება, მსგავსად სახელმწიფოსი უკავშირდება საზოგადოების გადასვლას ცივილიზაციის არსებობის ახალ ფორმაზე. ცივილიზაციის პირველ საფეხურზე წარმოიშვა ის კანონები, რომელიც ხაზგასმით

არეგულირებდა საზოგადოებრივი წყობის ამა თუ იმ ეტაპს. სახელმწიფო ადგენდა კანონებს იცავდა მას და უზრუნველყოფდა მათ ცხოვრებაში გატარებას.

კანონი სრულ განვითარებას მხოლოდ დემოკრატიის პირობებში პოულობს. მტკიცდება როგორც უმაღლესი კანონი, ე.ი. იქმნება სამართლებრივი სახელმწიფო.

დემოკრატიულ სახელმწიფოში კანონი:

- იქვემდებარებს სახელმწიფო ხელისუფლებას;
- ღებულობს ღრმა საფუძველს და მტკიცდება ქვეყნის კონსტიტუციით;
- აერთიანებს დამოუკიდებელ და ძალოვან სამართალდამცავებს;

სამართლებრივ სახელმწიფოს სიმბოლური გამოსახულება ანტიკურ პერიოდში იყო „თემიდას სასწორის“ სახელწოდებით. თვით ტერმინი „სამართლებრივი სახელმწიფო“ გერმანულია და ლიტერატურაში „პირველად ჩანს მე-10-ე საუკუნეში“ და წარმოადგენდა უკანონო ფეოდალიზმის კრიტიკას, მომდევნო ეტაპზე კი ქადაგებდა ჰუმანიზმს და ადამიანის უფლებების დაცვის იდეას.

სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ ნიშანს წარმოადგენს: კანონის უზენაესობა, კანონის რეალურობა, პიროვნების თავისუფლება, სუვერენული სახელმწიფოს ორგანიზაცია და ფუნქციონირება, ხელისუფლების დაყოფა საკანონმდებლოდ და აღმასრულებლად და სხვა.

კანონი ასრულებს განსაზღვრულ დადებით როლს რათა არსებული გარემო შეიქმნას კეთილსაშურველი ადამიანისათვის. განსაკუთრებულ სასიცოცხლო მდგომარეობაში სისტემას „საზოგადოება-გარემო“ მიეცა ნორმალური მოვალეობითი ხასიათი.

ეკოლოგიური მდგომარეობის რეგულირება მოითხოვს განსაზღვრულ კანონს, რომელიც დაფუძნებული იქნება ქვეყნის კონსტიტუციაზე და საერთაშორისო ნორმებზე. ქვეყნის კონსტიტუცია უმეტეს ქვეყანაში წარმოადგენს იდეალს, განხორციელებულ „ადამიანის უფლებების დეკლარაციიდან“- (1948წ.), ასევე ადამიანის უფლებების სხვა სამართლებრივი აქტები.

ადამიანის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური საერთაშორისო ნორმები და უფლებები მიღებულია 1976 წ-ს. ცენტრალური ადგილი უჭირავს ნებისმიერი ქვეყნის ცხოვრებაში. ამ კანონებზე დაყრდნობით მიღებულია თითოეული ქვეყნისათვის დაცვის კანონმდებლობა. მაგ. საქართველოში ის მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 1996 წ. – კანონი და რომლის მიხედვითაც ხდება საქართველოში გარემოს დაცვის სამართლებრივი რეგულირებაც. (მუხლი 6 . მოქალაქეთა უფლება-ვალდებულებები გარემოს დაცვის სფეროში).

მოქალაქეს უფლება აქვს:

- ცხოვრობდეს თავისი ჯანმრთელობისთვის უვნებელ და ჯანსაღ გარემოში;
- სარგებლობდეს ბუნებრივი გარემოთი;
- მიიღოს სრული ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ;

- მიიღოს ანაზღაურება მისთვის მიყენებული ზარალისათვის, რომელიც გამოიწვია საქართველოს გარემოს დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნათა შეუსრულებლობამ და სხვა.

ადამიანისათვის მისაღები გარემოს შექმნაში, დიდ როლს ასრულებს–სხვადასხვა საერთაშორისო ქვეგანაყოფები. დამუშავებულია მრავალი პროგრამები გარემოს გასაუმჯობესებლად: გარემოს ჰიგიენა (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია), სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატები და ნარჩენები (სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო პროგრამა), ადამიანი და ბიოსვარ (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაცია) და სხვა.

საერთაშორისო კომისიების მიერ გარემოზე და განვითარებაზე ყველა ქვეყნის მიმართ მიღებულია საერთო ზოგადი სამართლებრივი პრინციპები გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარებისათვის, კერძოდ,

ადამიანის ძირითადი უფლებებია:

- ყველა ადამიანს აქვს უფლება ჯანსაღ და ჯამთელობისათვის უვნებელ გარემოში იცხოვროს;
- თაობებს შორის თანასწორობა;
- სახელმწიფო ინარჩუნებს და იყენებს გარემოს და ბუნებრივ რესურსებს ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით;
- წინასწარი შეტყობინება;
- ეკოლოგიური ნორმების დავა და მონიტორინგი;
- მდგრადი განვითარება;
- საერთო თანამშრომლობის მოვალეობები და სხვა.

ურთიერთობა ხალხსა და სამართლებრივ სახელმწიფოს შორის რეგულირდება კანონის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს კანონის ნორმებს და მოვალეობებს. ბუნებათსარგებლობის საქმიანობა არც თუ ისე დიდი ხანია ჩადგა რეგლამენტირებულ ნორმებში. ჯანმთელი გარემოს შენარჩუნება ექვემდებარება ახალი თაობების უფლებებს. მასში ჩართულია ცალკეული ქვეყნების კონსტიტუცია და ითვალისწინებს არაეკოლოგიურ ქმედებებზე პასუხისმგებლობას.

პოლიტიკური ეკოლოგია იკვლევს, გარემოს მდგომარეობაზე პოლიტიკური პროცესების გავლენას. ასევე ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის წინაპირობებს.

ეკონომიკური ინტერესები მოიაზრება, ითვლება პოლიტიკური ქმედების ძირითად მიზეზად და თავის მხრივ წარმოგვიდგება ეკონომიკის განვითარების სტიმულად.

სახელმწიფო აპარატის, პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მმართველ პოზიციაზე შენარჩუნება აუცილებლად მოითხოვს ეკოლოგიის კუთხით საშინაო და საგარეო პოლიტიკის გადახედვას.

დღესდღეობით ცხადი გახდა, რომ აუცილებელია არა მარტო სოციალური, კულტურული, ეკონომიკური საკითხების შესწავლა, არამედ ეკოლოგიური მოთხოვნების შესწავლა, ანალიზი და გათვალისწინება. თუკი ადამიანები ვერ შეძლებენ სუნთქვას, წყლის რე-

სურსების გამოყენებას, ეკოლოგიური საკვების მიღებას, მაშინ ყველა სხვა პოლიტიკური პრობლემა დაკარგავს აზრს.

ამრიგად, საარსებო გარემოს პრობლემები მოითხოვს გაზრდილ ინტერესს და მზრუნველ დამოკიდებულებას, პლანეტის ყველა რეგიონის მიერ. განვითარებულ ქვეყნებში ეკოლოგიური პრობლემები პრიორიტეტულად ითვლება, რადგანაც გარემო პირობების გაუარესება იწვევს სოციალურ უთანხმოებას, ამძაფრებს დაძაბულობას სოციალურ სფეროში. ამიტომაც, აღნიშნული გარემოება ზრდის პოლიტიკური პარტიების ინტერესს ეკოლოგიური საკითხების მიმართ. დღესდღეობით ქვეყნებში გამარჯვებული პარტიები, ვალდებულიც კი არიან თავიანთ საქმიანობაში მეტი ყურადღება დაუთმონ ეკოლოგიურ საკითხებს – პრობლემებს.

ცნობილია, პოლიტიკური ეკოლოგია ითვალისწინებს სიტყვის თავისუფლებას, ინფორმაციის მიღწევადობას. დემოკრატიზაცია კი უარს ამბობს ადამიანის მართვის ტრადიციულ-მბრძანებლურ მეთოდებზე, ინფორმაციის შეზღუდვაზე, რომელიც ეხება გარემოს მდგომარეობას და ქმნის ალტერნატიულ გზებს ბუნების გარდასაქმნელად, რესურსების ათვისების ოპტიმიზაციისათვის.

გაზრდილ ინტერესს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში იწვევს ეკოლოგიური ფაქტორები, რომელიც ითხოვს მსოფლიო საზოგადოების აუცილებელ თანამშრომლობას, როგორც გლობალურ ასევე რეგიონალურ დონეზე.

ცენტრალური ადგილი პოლიტიკურ ეკოლოგიაში უჭირავს ერთმანეთს შორის სხვადასხვა მიზეზების გამო შეუთანხმებლობასა და კომფლიქტებს, რომელიც შემდგომ არის მიზეზი:

- დამაბინძურებელი ნივთიერებების გადატანის (ჰაერით, წყლით და სხვა);
- სამრეწველო ავარიების ბუნების საზიანოდ (ეთნოკომფლიქტები);
- მთელი კაცობრიობის დაქვემდებარებული ბუნებრივი რესურსების გამოყენების (კოსმოსის რესურსები, მსოფლიო ოკეანე, ანტარქტიდა და სხვა);
- საომარი ქმედებების (იარაღის გამოცდა, საბრძოლო მოქმედება და სხვა).

ქვეყნებს შორის, საზოგადოებას შორის აზრთა შეუთანხმებლობა ეკოლოგიურ საკითხებში, ხშირად ღებულობს პოლიტიკურ ხასიათს, რომელიც ხშირად გადაიზრდება ხოლმე ეკოლოგიურ მოძრაობებში და შესაბამისი ორგანიზაციების გააქტიურებაში. უკანასკნელი წლების ეკოლოგიურმა მოძრაობებმა გარკვეული გავლენა იქონია პოლიტიკაზეც. მრავალი ტრადიციული პარტია, იღებს „მწვანეები“-ს ლოზუნგს. ნაციონალურ და მსოფლიო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი გახდა ეკოლოგიური უსაფრთხოების, ეკოლოგიური მშვიდობის, კონფლიქტების საკითხების წინ წამოწევა.

საქართველოს რეალობაში დარღვეულმა ეკონომიკურმა და სოციალურმა პრობლემებმა გამოიწვია სხვადასხვა ნეგატიური ეკოლოგიური შედეგები, ასე მაგალითად – ტყეების გაჩეხვა, გადაწვა.

ყველასათვის ცნობილია ეკოლოგიური ორგანიზაცია „გრინფისის“ საქმიანობა რომელიც მართავს მრავალ აქციებს: ბუნებრივი რესურსების განადგურების, გარემოს მრავალმხრივი დაბინძურების წინააღმდეგ, აქტიურად იმალღებს ხმას დაავადებთა და სიკვდი-

ლიანობის ზრდის შესახებაც, მთელი კაცობრიობის პოლიტიკოსების წინაშე სვამს საკითხებს და მოითხოვს ეკოლოგიურ უსაფრთხოებას.

ეკოლოგიური პრობლემების გათვითცნობიერება, ეკოლოგიური განათლების პოპულარიზაცია არის საფუძველი მასიური ეკოლოგიური მოძრაობის გააქტიურების, ამიტომაც ხშირად ზოგიერთ ქვეყანაში პოლიტიკურ ელფერსაც კი იღებს. თანამედროვე საერთაშორისო და არასაერთაშორისო ეკოლოგიური მოძრაობები ორგანიზებული და პოლიტიზირებულია. „მწვანეების“ პარტია არსებობს მრავალ განვითარებულ ქვეყნებში, მათი წარმომადგენლები შედიან მრავალ საკანონმდებლო ორგანოებში, გამონაკლისია საქართველოს პარლამენტი. ყველა ქვეყნის „მწვანეები“-ს პოლიტიკური პრინციპები საერთოა და მოიცავს შემდეგ პრინციპებს:

- პირველყოვლისა ყურადღების გამახვილებას იმ კონკრეტულ მოვლენებზე და პრინციპებზე, რომელიც ეკოლოგიური პრობლემების მიზეზია;
- ბრძოლა საერთო განიარაღებისათვის ;
- საზოგადოებრივი განვითარების დემოკრატიული გზა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში;
- ეკოლოგიური ეთიკის და კულტურის პროპაგანდა;
- ეკოლოგიური ეკონომიკის განვითარება. ასევე ალტერნატიული ენერჯის და ტექნოლოგიების მიება–პოპულარიზაცია.

ლიტერატურა

1. მაკიაველი ნ. მთავარი. გამომცემლობა „განათლება“ თბილისი 1996 წ, 250 გვ.;
2. მამედოვი ნ. სეროვეგინა ტ. ეკოლოგია. მოსკოვი 2011 წ. 520 გვ.;
3. საქართველოს კონსტიტუცია; კანონი გარემოს დაცვის შესახებ; ადმინისტრაციული კოდექსი; გარემოსდაცვის სამინისტროს წლიური ანგარიშები.
<http://www.parliament.ge/ge/kanonmdebloba/constitution-of-georgia-68>;
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340>; <http://www.moe.gov.ge/ka/საზოგადოებასთან-ურთიერთობა/wliuri-angarishebi>;

LEGAL ISSUES IN ENVIRONMENTAL PROTECTION AND ECOLOGY

Chkhirodze D., Chachkhiani N., Bandzeladze M.

Summary: Relationship between people and the state is governed by law, as prescribed by the norms and obligations. In our particular case, it turns into legal frames natural use activities. As for the use of nature, it has now come into the rules of regulation and take responsibility for each state not all ecological actions. In our particular case, natural use activities turns into legal frames.



თურქეთის შავი ზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველთა ეროვნული ცნობიერება

ნიკოლეიშვილი ა.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია: ნაშრომში გაანალიზებულია თურქეთის რესპუბლიკის შავი ზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველთა ყოფის შესასწავლად 2015 წლის ზაფხულში მოწყობილი სამეცნიერო მივლინების შედეგად მოპოვებული მასალები. ხსენებულ რეგიონში უმთავრესად ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ. ისინი იქ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდგომ პერიოდში გადასახლდნენ რუსეთის მიერ იმხანად მიერთებული ქართული ტერიტორიებიდან. მათ შთამომავალთაგან წინაპართა ენას დღესდღეობით ძირითადად უფროსი თაობის წარმომადგენლები ფლობენ; დანარჩენთა ნაწილი თავის ეროვნულ წარმომავლობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აღარ ანიჭებს, ნაწილმა კი, მართალია, ქართული არ იცის, მაგრამ მაინც ქართველობს და ამყოფს თავისი ეროვნული წარმომავლობით.

საკვანძო სიტყვები: ეროვნული ცნობიერება

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისგან შემდგარი სამეცნიერო ექსპედიციის წევრები უნივერსიტეტის რექტორატის ფინანსური თანადგომით 2015 წლის 3 აგვისტოს ათი დღით თურქეთის რესპუბლიკის შავი ზღვისპირეთის რეგიონებში მცხოვრებ ქართველებთან შეხვედრების გასამართად და მათთან დაკავშირებით ახალი მასალების მოსაძიებლად გაემგზავრეთ.

სამეცნიერო ექსპედიციის შემადგენლობაში უნივერსიტეტის ხუთი წარმომადგენელი შევიდა: ამ სტრიქონების ავტორი – სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი; რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი შალვა კირთაძე; უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე, ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი სულხან კუპრაშვილი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ლუკა დვალიშვილი და აღმოსავლური ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, თურქოლოგი გიგა ქამუშაძე.

წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად, სამეცნიერო მივლინების პერიოდში ექსპედიციის წევრებს შეხვედრები უნდა გაგვემართა თურქეთის რესპუბლიკის შავი ზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველებთან. კერძოდ, ჩვენი ათდღიანი მოგზაურობის მარშრუტი ითვალისწინებდა ზემოთ აღნიშნული მიზნით შეძლებისდაგვარად მოგვევლო მურღული, ორდუ, ფაცა, უნიე, სამსუნი, სინოპი და მათი მიმდებარე ქართული სოფლები იქ მცხოვრებ ჩვენებურებთან გასაუბრების შედეგად მათ ისტორიულ და თანადროულ ყოფასთან დაკავშირებით ახალი მასალების მოსაპოვებლად.

სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობის უფრო მიზანმიმართულად წარსამართად, თურქეთში გამგზავრებამდე იქაურ ქართველებთან გასაუბრების საორიენტაციო კითხვარიც შევადგინე, რომლის მეშვეობითაც შევეცადე, წინასწარვე მოემზადებინა სათანადო საფუძველი ჩვენებურებთან გასაუბრების დროს ჩვენი ექსპედიციის პერსპექტიული გეგმით განსაზღვრულ უმთავრეს საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების გასამახვილებლად.

ყოველივე ზემოთქმულის არსზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, გთავაზობთ ხსენებულ კითხვარს:

– როდის დამკვიდრდნენ შესწავლის საგნად ქცეულ რეგიონებში მცხოვრებ ქართველთა წინაპრები და ძირითადად საიდან არიან ისინი წამოსულები?

– რა იციან მუჰაჯირობის განმაპირობებელ ფაქტორებზე და როგორ აისახა ეს მოვლენა მათ ზეპირგადმოცემებში?

– რამდენს ახსოვს თავისი წინაპრების ქართული გვარი?

– მათი ვარაუდით, მათ რეგიონსა და საერთოდ, თურქეთში, რამდენი ქართველი ცხოვრობს?

– მათგან რამდენმა იცის ქართული ენა და რამდენმა ქართული წერა-კითხვა?

– მათი აზრით, თურქეთელ ქართველთაგან რამდენი იყენებს ქართულს მთავარ საკომუნიკაციო ენად?

– რამდენად იცავენ თხოვა-გათხოვების დროს ეთნიკურ სიწმინდეს?

– რა ურთიერთობა აქვთ ადგილობრივ აფხაზებთან და ლაზებთან?

– რა იციან საქართველოს ისტორიული წარსულიდან?

– რა იციან დღევანდელ საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ?

– ვის გაიხსენებენ ქართველი ხალხის დიდი შვილებიდან (თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, რუსთაველი...)?

– დღესდღეობით როგორი მდგომარეობაა ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით?

– თურქეთის ხელისუფლების მიერ მიღებული კანონის შესაბამისად, არის თუ არა შესაძლებელი მათი რეგიონის სკოლებში შემოდებულ იქნეს ქართული ენის სწავლება?

– საქართველოსთან ურთიერთობის თვალსაზრისით რა შეიცვალა მათ ცხოვრებასა და ცნობიერებაში სარფის სასაზღვრო ჭიშკრის გახსნისა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ?

– რა სურვილები აქვთ ქართველებთან და საქართველოს მთავრობასთან?

– თურქეთში გამოდიოდა ქართული ჟურნალები: „ჩვენებური“, „ფიროსმანი“, „მამული“, არის ინტერნეტრადიო „ჩვენებური.“ რა იციან ამათ შესახებ?

– არიან თუ არა მათ რეგიონში ეთნიკურად ქართული წარმომავლობის მწერლები და სახალხო მთქმელები, და თუ არიან, რა ადგილი უჭირავს მათ შემოქმედებაში ქართულ თემატიკას?

– ქართულენოვანი წიგნი, ხელნაწერი ანდა რაიმე წარწერა თუ მოიპოვება მათ რეგიონში სადმე?

– გაიხსენონ ქართულენოვანი ფოლკლორის ნიმუშები. თემატურად რა მთავარი საკითხები იქცა მათი სახალხო მთქმელების შთაგონების საგნად?

– რა ადგილი უჭირავს მათ ფოლკლორში სასულიერო თემას?

– გაიხსენონ ქართული სიმღერების ტექსტები, შელოცვები, დალოცვები, წყევლები, გამოცანები, თქმულებები, ლეგენდები, მითები, ანდაზები, მახვილსიტყვაობანი...

– რა ადგილს იჭერს ისტორიული თემატიკა მათ ფოლკლორში?

– მათ თურქულენოვან ზეპირსიტყვიერებაში თუ ჰპოვა რაიმე ასახვა ქართულმა თემატიკამ?

– აღწერონ მათი სახალხო დღესასწაულები, ქორწილი, დაკრძალვა, ადათ-ტრადიციები, თამაშობანი, გართობანი...

– განმარტონ, რატომ უსვამდნენ მათი წინაპრები ჭადზე ჯვარს?

– აღწერონ მათი ყოველდღიური ყოფა – ჭამა-სმა, სტუმარ-მასპინძლობა, სამზარეულო, კერძები, საცხოვრებელი კარ-მიდამოს შედგენილობა, ტრადიციული სამუშაო იარაღები... რა ქართული ნაკვალევია მათში დარჩენილი?

გასაუბრებაში მონაწილეობის მიმდებარე რაოდენობის გაზრდის მიზნით, ზემოთ წარმოდგენილი კითხვარის საფუძველზე თურქულ ენაზე შედგენილი სპეციალური ანკეტაც მოვამზადე ჩვენებურებში დასარიგებლად და მათში შეტანილ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად.

სამწუხაროდ, ამ შეკითხვათა დიდ ნაწილზე ჩვენი რესპოდენტების ნაწილი კონკრეტული პასუხის გაცემას ვერ ახერხებდა, რადგანაც აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ან ძალზე ბუნდოვანი ცოდნა ჰქონდა, ანდა საერთოდ არაფერი იცოდა. კიდევ უფრო ძნელი გამოდგა მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის წინასწარ დარიგებული ზემოთ ხსენებული ანკეტით დასმულ კითხვებზე წერილობითი ფორმით პასუხის გაცემა. ჩვენს ამ მცდელობას ფაქტობრივად მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია და თითქმის ყველა რესპოდენტმა, გარდა რამდენიმე მათგანისა, ხსენებული ანკეტები შეუვსებლად დაგვიბრუნა უკან.

თურქეთის შავი ზღვისპირეთში საკმაოდ დიდი რაოდენობით მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან გამართულ შეხვედრათა შედეგად მოპოვებული მასალების შესწავლამ და ანალიზმა ნათლად დაგვარწმუნა იმაში, რომ ეროვნულ-ქართული ცნობიერების გამოსატვის მიხედვით ისინი პირობითად შემდეგ მთავარ კატეგორიებად შეიძლება დავეყოთ:

პირველ პირობით ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ის ქართველები, რომელნიც საკმაოდ კარგად ფლობენ წინაპართა ენას და არა მარტო შინაგანი ცნობიერებით არიან თავიანთი ეროვნული იდენტობის მყარად ერთგულნი, არამედ აქტიურადაც ცდილობენ ამ იდენტობის მტკიცედ დაცვას. მათი ნაწილი საკუთარ ეროვნულ წარმომავლობას იმდენად დიდ მნიშვნელობასაც კი ანიჭებს, რომ ქართველებს თურქებთან შედარებით ინტელექტუალურადაც და პიროვნული ღირსებებითაც აღმატებულ ეთნოსად წარმოაჩენს ხოლმე.

ხსენებულ ჯგუფს ძირითადად ორმოცდაათ წელს გადაცილებულ ჩვენებურთა წარმომადგენლები მიეკუთვნებიან. საბედნიეროდ, სარფის სასახლეო ჭიშკრის გახსნის შემდგომ პერიოდში საქართველო-თურქეთს შორის დამკვიდრებული კეთილმეზობლური ურთიერთობის შედეგად ეროვნული ფესვებისაკენ რეალურად მიბრუნების ეს ტენდენცია საშუალო ასაკისა და ახალგაზრდა თურქეთელ ქართველთა გარკვეულ ნაწილშიც აშკარად ვლინდება.

ზემოთ ხსენებულ კატეგორიას მიკუთვნებული ჩვენი თანამემამულეები აქტიურად დგანან ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების გზაზე და რეალურად ცდილობენ თავიანთი წინაპრების ქართულ ფესვებთან კიდევ უფრო მეტად დაახლოებას. მისასალმებელია და ჩვენგან პრაქტიკულად მხარდასაჭერი ის გარემოება, რომ ხსენებული ცნობიერების მქონე ქართველთა უმეტესობა, მათ შორის ახალგაზრდების გარკვეული ნაწილიც, ამ ბოლო პერიოდში აქტიურად ცდილობს როგორც ქართული ენის რეალურად შესწავლას, ისე საქართველოში მცხოვრები მათი სისხლისმიერი ნათესავების მოძიებასა და მათთან ურთიერთობის დამყარებას.

ცალკე კატეგორიად შეიძლება გამოვეყოთ ის ქართველები, რომელთათვისაც მათი ქართული წარმომავლობა უკვე ცხოვრების განვლილ ეტაპს წარმოადგენს და მხოლოდ ბუნდოვნად თუდა იციან, მათი წინაპრები ეთნიკური წარმომავლობით ქართველები რომ ყოფილან. სამწუხაროდ, მათ აღარც თავიანთი ქართული გვარი ახსოვთ, არც ქართული ენა იციან და თავიანთი ცნობიერებითაც და ყოფა-ცხოვრებითაც

თურქულ ეთნოსთან უკვე იმდენად არიან ასიმილირებული, რომ ფაქტობრივად თავიანთ ქართულ ფესვებთან მიბრუნებისა და დაახლოების სურვილს უკვე აღარ ამჟღავნებენ.

წინამდებარე პირობით კლასიფიკაციაში ცალკე შეიძლება გამოვეყნოთ ის ქართველები, რომლებიც ზემოთ დასახელებულ კატეგორიათა შორის არიან მოქცეული. საბედნიეროდ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავიანთ ქართულ წილს ენობრივადაც და ცნობიერებითაც უკვე საკმაოდ არიან მოწყვეტილი და მათი არცთუ მცირე ნაწილი თავის ეროვნულ წარმომავლობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აღარ ანიჭებს, ქართული ფესვები მათი თვითშეგნებიდან ჯერ კიდევ არაა ბოლომდე ამოძირკვეული. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ამ ადამიანთა ეროვნული მომავალი არსებითად იქნება დამოკიდებული იმ პოლიტიკაზე, რომელსაც თურქეთელ ქართველობასთან საუკუნეების განმავლობაში გაწყვეტილი და ამ ბოლო დროს აღდგენილი ურთიერთობის განსამტკიცებლად გაატარებს არა მარტო ჩვენი ხელისუფლება, არამედ მთელი ქართველი საზოგადოება.

ცალკე კატეგორიად შეიძლება გამოვეყნოთ ის ქართველები, რომლებიც თავიანთ მუსლიმურ რწმენას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რომ მასთან შედარებით ეროვნულ კუთვნილებას თითქმის აღარავითარ მნიშვნელობას აღარ აძლევენ.

და ბოლოს, თურქეთელ ქართველთა შორის განსაკუთრებით დიდია იმათი რაოდენობა, ვინც თუმცა ქართული ენა არ იცის, მაგრამ მაინც ქართველობს და ამაცობს კიდევ თავისი ქართველობით. ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ მათ არცთუ მცირე ნაწილს წინაპართა ენის შესწავლის რეალური სურვილიც აქვს. ამ ქართველთა ეროვნულ-ქართული ცნობიერება კარგად ვლინდება ერთ-ერთი ჩვენი რესპოდენტის იმ დიალოგში, რომელიც მასა და მის შვილს შორის გამართულა სა-ქართველოდან მისი დაბრუნების შემდეგ. აი, მისი ეს მონათხრობი:

- შინ რომ დავბრუნდი, - გვითხრა მან, - ჩემმა ქალიშვილმა მკითხა:
- მამა, ქართული რომ არ იცი, იმ ხალხს რა ენაზე ელაპარაკებოდიო?
- რა თქმა უნდა, ქართულადო! - ვუპასუხე მე.
- როგორ? შენ უცხო ენა რომ არ იცოდით?
- ქართული ჩემთვის უცხო ენა კი არა მშობლიური ენაა-თქო, - ვუთხარი.

სამწუხაროდ, ქართული ენის, როგორც ძირითადი საკომუნიკაციო საშუალების, არეალი, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვიწროვდება. დღესდღეობით იგი ამ ფუნქციას მხოლოდ იმ სოფლებში ასრულებს (და იქაც საკმაოდ შეზღუდულად), სადაც უმეტესწილად ქართველები ცხოვრობენ. თუმცა, იმის გამო, რომ ასეთ კომპაქტურ ქართულ დასახლებათა რაოდენობა დღითიდღე მცირდება, ქართველთა ეროვნულ პერმეტიზმს უფროდაუფრო ეცლება საფუძველი.

მაგალითად, თავად ჩვენებურების თქმით, თუ ადრე მხოლოდ ქართველებით დასახლებულ სოფელში რომელიმე მოსახლის მიერ კარ-მიდამოს გაყიდვის შემთხვევაში იქაურები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ იქ სხვა ეროვნების კაცი არ ჩასახლებულიყო, ახლა ამას არავითარ მნიშვნელობას აღარ ანიჭებენ.

ასევე ხდება დაქორწინების შემთხვევაშიც. კერძოდ, განსხვავებით ამ 15-20 წლისგან, როცა ქართველი კაცი თავის ოჯახში არაქართველს არც რძლად შემოიყვანდა და არც სხვა ეროვნების წარმომადგენელს მიათხოვებდა, ახლა, გარდა იშვიათი გამონაკლისებისა, ამას უკვე ყურადღებას აღარ აქცევენ. ეროვნულად ერთმანეთში „ამ-დაგვარად არევა“ კი ქართულ ენას ბუნებრივად შეუზღუდა საასპარეზო სივრცე.

ზემოთ აღნიშნული კუთხით არსებულმა არასასურველმა მდგომარეობამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა ურბანიზაციის საყოველთაო პროცესის შედეგად. იმის გამო, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ან საბოლოოდ დამკვიდრდა ქალაქში, ანდა სოფელს მხოლოდ ზაფხულობით სტუმრობს,

ქართული ენის საკომუნიკაციო არეალი თვით ქართველებით დასახლებულ სოფლებშიც არსებითად შემცირდა.

ქალაქებში კი ქართველთა ნაკლები ეთნიკური შეკავშირების გამო ქართული ენა ძირითად საურთიერთო ფუნქციას უკვე ვეღარ ასრულებს. მართალია, იქ შექმნილი ქართულ სათვისტომოებსა და კულტურის ცენტრებში თავმოყრილი ქართველები ქართული ენის პროპაგანდასაც და პრაქტიკულ შესწავლასაც აქტიურად უწობენ ხელს, მაგრამ მათი ამგვარი მცდელობა აღნიშნული თვალსაზრისით არსებული ვაკუუმის შესავსებად ჯერ-ჯერობით საკმარისი არ არის.

თურქეთის შავი ზღვისპირეთში გატარებული ათი დღის განმავლობაში ბევრ ისეთ იქაურ ქართველს შევხვდით, რომელთაც უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები მოგვაწოდეს როგორც მათი წინაპრების, საერთოდ, თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების, ისტორიულ ყოფის შესახებ, ისე უშუალოდ მათ ეროვნულ ცნობიერებასთან დაკავშირებით.

მართალია, ხსენებულ რეგიონში მცხოვრებ ქართველთა ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა, სათანადო სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო, შეუძლებელია, მაგრამ ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის შედეგად კიდევ ერთხელ დავრწმუნდით იმაში, რომ თურქეთის რესპუბლიკის ამ მხარეში (ქალაქ ფაცაში, აგრეთვე უნიეში, გირესუნში, ორდუში, სამსუნში, სინოპსა და მათ ვილაიეთებში მდებარე სოფლებში) ქართველი მუჰაჯირების შთამომავალთა დიდი რაოდენობა ცხოვრობს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის პერიოდში შეხვედრების გამართვა დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ ქართველთა მხოლოდ მცირე ნაწილთან მოვახერხეთ, ამ შეხვედრათა შედეგად მაინც გახდა შესაძლებელი, განზოგადებული წარმოდგენა რომ შეგვექმნოდა მათ ეროვნულ თვალთახედვასა და ენობრივი თვალსაზრისით დღესდღეობით არსებულ მდგომარეობაზე.

ლოგორც უკვე ითქვა, ჩვენებურების დიდ ნაწილს თავიანთ ისტორიულ წარსულთან და ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებით საკმაოდ ბუნდოვანი და ზედაპირული ცოდნა აქვს და ძირითადად იმით განისაზღვრება, მათი წინაპრები ქართველები რომ იყვნენ.

გარდა უიშვიათესი გამონაკლისებისა, მათ არც ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან იციან რაიმე და არც ჩვენი ერის ფართოდ ცნობილ პიროვნებათა შესახებ. მაგალითად, განსხვავებით მათი წინაპრებისაგან, რომელთა დიდი ნაწილისთვის თამარ მეფის სახელი, როგორც სიმბოლო მათი ისტორიული სამშობლოს ძლიერებისა და ეროვნული სიამაყისა, საყოველთაო სიყვარულის საგნად იყო ქცეული, ჩვენი რესპოდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, მისი სახელიც კი არ აქვს გაგონილი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ გამოკითხულ ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი (უმთავრესად უფროს და საშუალო თაობათა წარმომადგენლები, ახალგაზრდებისა და ბავშვებისა კი ნაკლებად) დამაკმაყოფილებლად ახერხებს ქართულად საუბარს, მათ შორის წინაპართა ენაზე წერა-კითხვის მცოდნენი ძალზე იშვიათად გვხვდებიან.

სამწუხაროდ, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, მათ არც იმ კანონის შესახებ იციან რაიმე, თურქეთის ხელისუფლებამ რომ მიიღო ამ რამდენიმე წლის წინათ იმასთან დაკავშირებით, ამ ქვეყნის ეროვნულ უმცირესობათაგან მსურველთა გარკვეული რაოდენობის მოგროვების შემთხვევაში სკოლებში მათი ენის სწავლებაც რომ იქნება შემოღებული.

ჩვენს შეკითხვაზე, მათი შვილები და შვილიშვილები რეალურად რამდენად მონიღომებდნენ ამის გაკეთებას, მათმა მხოლოდ გარკვეულმა ნაწილმა განაცხადა თანხმობა, თუმცა არცთუ ისე დიდი ენთუზიაზმით.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში მცხოვრებ ყველა ქართველს თურქული გვარი აქვს მიღებული, მათმა დაახლოებით ნახევარმა არა მარტო თავისი ქართული წარმომავლობა იცის, არამედ მისი წინაპრების ქართული გვარიც.

შეკითხვაზე, – მათი აზრით, რამდენი მილიონი ქართველი ცხოვრობს თურქეთში დღესდღეობით? – ჩვენი რესპოდენტები განსხვავებულ პასუხს გვცემდნენ. კერძოდ, მათ მიერ დასახელებული ყველაზე მცირე რაოდენობა 1-1,5 მილიონს შეადგენდა, ყველაზე დიდი კი რვა მილიონს. როგორც წესი, ამ რაოდენობაში ისინი ლაზებს არ გულისხმობდნენ. თუმცა ბევრი მათგანი მათ ქართველთა მოძმე ხალხად მიიჩნევს.

სამწუხაროდ, განსხვავებით ბოლო 30-40 წლების წინანდელი პერიოდისაგან, როცა ჩვენებურების სალხინო სუფრებზე ქართული სიმღერებიც გაისმოდა და ქართული ცეკვებიც სრულდებოდა, დღესდღეობით მათი ადგილი უკვე თურქულმა ცეკვებმა და სიმღერებმა დაიკავეს. ქართული ზეპირსიტყვიერი შემოქმედების მცოდნენიც კანტიკუნტად თულა არიან შემორჩენილი ხანდაზმულ ჩვენებურთა სახით.

თურქეთის შავი ზღვისპირეთის იმ ადგილებში, სადაც ჩვენი ექსპედიცია იმყოფებოდა, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ. მათი უდიდესი ნაწილი იქ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდგომ პერიოდში გადასახლდა რუსეთის მიერ იმხანად მიერთებული ისეთი ქართული ტერიტორიებიდან, როგორებიცაა აჭარა, მაჭახელი, ბორჩა, მურღულის ხეობა, ართვინის მხარე (თუმცა ამ ტრაგიკული მოვლენის დაწყებას დასაბამი უფრო ადრეც, რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის შედეგად, მიეცა).

მუჰაჯირობის სახელით ცნობილი ეს ტრაგიკული მოვლენა, რომლის შედეგადაც ხსენებული რეგიონები მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დატოვა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა და გასული საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებამდე, საბჭოთა კავშირის მიერ თურქეთთან არსებული სახელმწიფო საზღვრის უმტკიცესად ჩაკეტვამდე, გაგრძელდა მეტ-ნაკლები ინტენსიობით.

ძირითადად ოსმალეთის ხელისუფლების ორგანიზებით მიმდინარე ამ პროცესს უმთავრეს საფუძვლად რელიგიური ფაქტორი ედო. კერძოდ, ხსენებულ რეგიონებში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები მშობლიურ კარ-მიდამოს უპირველეს ყოვლისა სწორედ მათი მუსლიმური რწმენის გამო ტოვებდნენ და ოსმალეთში მიდიოდნენ საცხოვრებლად. ამ ნაბიჯის გადასადგმელად მათ ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებაცა და იქაური სასულიერო პირებიც აქეზებდნენ.

თუმცა, ოსმალეთის ხელისუფლებისა და სასულიერო პირების გარდა, მუჰაჯირობით ცარიზმიც იყო დაინტერესებული.

სამწუხაროდ, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიულ ხელისუფლებათა ამ მზაკვრულმა ჩანაფიქრმა მათთვის სასურველი შედეგი გამოიღო და რუსეთის მიერ ახლად შეერთებულ ქართულ რეგიონებში (აჭარა, მაჭახელი, მურღულის ხეობა, ართვინი...) მცხოვრებ ქართველ მუსლიმანთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ზემოთ ხსენებულ პერიოდში სამუდამოდ მიატოვა წინაპართა მიწა. სწორედ მაშინ გაჩნდა ქართული დასახლებანი თურქეთის შავი ზღვისპირეთში.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ქართული ენის, როგორც ძირითადი საკომუნიკაციო საშუალების, არეალი, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვიწროვდება. დღესდღეობით იგი ამ ფუნქციას მხოლოდ იმ სოფლებში ასრულებს (და იქაც საკმაოდ შეზღუდულად), სადაც უმეტესწილად ქართველები ცხოვრობენ. თუმცა ასეთ კომპაქტურ ქართულ დასახლებათა რაოდენობა დღითიდღე მცირდება.

გარდა ქართველებისა, თურქეთის შავი ზღვისპირეთში ეროვნულ უმცირესობათა სხვა წარმომადგენლებიც – მათ შორის ლაზებიცა და აფხაზებიც – ცხოვრობენ, რომლებთანაც იქაურ ქართველებს საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვთ. ჩვენს შეკითხვაზე, ლაზებს რამდენად მიიჩნევენ მათ მოძმე ხალხად და ქართული ეთნოსის ნაწილად, მათმა უმეტესობამ, სამწუხაროდ, უარყოფითი პასუხი გაგვცა.

მოკლედ, ასეთია თურქეთის შავი ზღვისპირეთში ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის ათდღიანი მუშაობის შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხანმოკლე დროის განმავლობაში ხსენებულ რეგიონებში საკმაოდ მრავლად არსებულ ქართულ დასახლებათა მხოლოდ მცირე ნაწილში შევძელით მისვლა და იქ მცხოვრებ ქართველთა შეზღუდულ რაოდენობასთან გასაუბრება, ჩვენ მიერ მოპოვებული მასალები, ვფიქრობ, მაინც იძლევა საფუძველს საიმისოდ, კიდევ უფრო ღრმად რომ გავიაზროთ და ახალი წახნაგებით წარმოავაჩინოთ თურქეთის შავი ზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველთა ისტორია, თანამედროვე ყოფა, ეროვნული ცნობიერება და ენობრივი თვალსაზრისით დღესდღეობით იქ არსებული მდგომარეობა.

ამგვარი ექსპედიციების მოწყობა უადრესად მნიშვნელოვანი იმ თვალსაზრისითაცაა, რომ გლობალიზაციის საყოველთაო პროცესის აქტიურად და მასშტაბურად მიმდინარეობის შედეგად ხსენებულ რეგიონებში (და არა მარტო იქ, არამედ მთელს თურქეთშიც) მცხოვრებ ქართველთა დიდი ნაწილი უკვე რეალურად წყდება წინაპართა ეროვნულ და ენობრივ ფესვებს და მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობს თურქულ ეთნოსთან მათი ასიმილირების პროცესი. ამ სამწუხარო და გულსატკეპნი მოვლენის გამო კი უკვალოდ იკარგება მათი ეროვნული და ენობრივი იდენტობის წარმომჩენი მხარეები.

თუმცა, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ჩვენს თურქეთელ მოძმეებთან გამართული მრავალრიცხოვანი შეხვედრების შედეგად იმაშიც დავრწმუნდით, რომ ჩვენებურების გარკვეული ნაწილის ცნობიერებაში ეროვნული თვითშეგნების გააქტიურებისა და ისტორიულ ფესვებთან მათი აქტიურად დაახლოების ტენდენციაც აშკარად ვლინდება, რასაც ჩვენგან მეტი ყურადღების გამოჩენა და რეალური მხარდაჭერა სჭირდება.

ლიტერატურა

ნიკოლეიშვილი ა. თურქული დღიურები, ქუთაისი, 2010 წ.

ნიკოლეიშვილი ა. თურქეთის შავი ზღვისპირეთში – ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებთან, ქუთაისი, 2015 წ.

A NATIONAL CONSCIOUSNESS OF THE GEORGIANS, WHO LIVE AT THE BLACK SEA COAST OF TURKEY

Nikoleishvili A.

Summary: The article relates to the materials, which were obtained on a mission in the summer in 2015, while researching the history and modern life of those Georgians, who live at Black Sea Coast of Turkey. In the mentioned region, mainly live the descendants of Georgian Muhajirs. They moved there after the period of the Russo - Turkish war (1877-1878) from those Georgian territories, which were joined by Russia at that period. Unfortunately, from their descendants, only the older generation acquires the language of ancestors. As for others, nowadays they are not paying much attention to their national origin, but some of them, consider themselves to be Georgians and are proud of this fact, though they do not know Georgian language.



ვირთაგვას შინაგან ორგანოებზე ქედის რაიონის სოფელ ბალაძეების მინერალური წყლის ზეგავლენა

გორდაძე ნ., სიხარულიძე ი., კორძაია მ., მეტრეველი ლ., წილოსანი მ.

ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 ალ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

ანოტაცია: შევისწავლეთ ქედის რაიონის სოფელ ბალაძეების მინერალური წყლის ზემოქმედება ცხოველების ორგანიზმზე. გამოვიკვლიეთ 20 თეთრი მამრი ვირთაგვა, სხეულის მასით-200 გ. საცდელი ჯგუფის 10 ვირთაგვა 20 დღის განმავლობაში ღებულობდა მინერალური წყალს. საკონტროლო ჯგუფის 10 ცხოველი დროის ამავე მონაკვეთში სვამდა ონკანის წყალს. ორივე ჯგუფის ცხოველები დღე-ღამეში სვამდნენ 20-25 მლ სითხეს. შარდის რაოდენობა საცდელი ჯგუფის ცხოველებში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით მომატებული არ იყო. ორივე ჯგუფის ცხოველების ცდიდან გამოყვანა მოხდა ერთდროულად, ცდის დაწყებიდან 21-ე დღეს, 1% ეთამინალ-ნატრიუმის ინტრაპერიტონეალური ნარკოზით. ორგანოებიდან ამოკვეთილი ნაჭრები დაფიქსირდა 4%-იანი ფორმალინის ხსნარში. მასალა გატარდა აღმავალი კონცენტრაციის სპირტებსა და ქლოროფორმში და მოხდა მისი ჩაყალიბება ცვილიან პარაფინში საყოველთაოდ მიღებული პროტოკოლით; მიკროტომზე მიღებული 5-7 მკმ სისქის ანათლები შეიღება ჰემატოქსილინით და ეოზინით. პრეპარატების აღწერა და მიკროფოტოების გადაღება მოხდა შუქ-ოპტიკურ მიკროსკოპში Ergeval-MF. მიღებული მონაცემების საფუძველზე შეგვიღია დავასკვნათ, რომ გამოკვლეული ქედის რაიონის სოფელ ბალაძეების მინერალური წყლის სამკვირიანი პერორალური მიღება არ იწვევს ექსპერიმენტული ცხოველების კუჭში, თორმეტგოჯა ნაწლავში, ღვიძლში, პანკრეასსა და თირკმელში არავითარ ცვლილებებს და იგი შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული, როგორც მინერალური წყალი.

საკვანძო სიტყვები: მინერალურ წყალი, ექსპერიმენტი, მორფოლოგია.

შევისწავლეთ ქედის რაიონის სოფელ ბალაძეების მინერალური წყლის ზემოქმედება ცხოველების ორგანიზმზე.

ვიკვლევდით ვირთაგვას ორგანიზმზე 20 დღიანი მინერალური წყლის პერორალური მიღების გავლენას, ცხოველის კუჭის, თორმეტგოჯა ნაწლავის, ღვიძლის, პანკრეასის და თირკმლის ჰისტოლოგიურ სტრუქტურაზე. [1,2,3]

მასალა და მეთოდები. გამოვიკვლიეთ 20 თეთრი მამრი ვირთაგვა, სხეულის მასით-200 გ. საცდელი ჯგუფის 10 ვირთაგვა 20 დღის განმავლობაში ღებულობდა მინერალური წყალს. საკონტროლო ჯგუფის 10 ცხოველი დროის ამავე მონაკვეთში სვამდა ონკანის წყალს. ორივე ჯგუფის ცხოველები დღე-ღამეში სვამდნენ 20-25 მლ სითხეს. შარდის რაოდენობა საცდელი ჯგუფის ცხოველებში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით მომატებული არ იყო. ორივე ჯგუფის ცხოველების ცდიდან გამოყვანა მოხდა ერთდროულად, ცდის დაწყებიდან 21-ე დღეს, 1% ეთამინალ-ნატრიუმის ინტრაპერიტონეალური ნარკოზით. ორგანოებიდან ამოკვეთილი ნაჭრები დაფიქსირდა 4%-იანი ფორმალინის ხსნარში. მასალა გატარდა აღმავალი კონცენტრაციის სპირტებსა და ქლოროფორმში და მოხდა მისი ჩაყალიბება ცვილიან პარაფინში საყოველთაოდ მიღებული პროტოკოლით; მიკროტომზე

მიღებული 5-7 მკმ სისქის ანათლები შეიღება ჰემატოქსილინით და ეოზინით. პრეპარატების აღწერა და მიკროფოტოების გადაღება მოხდა შუქ-ოპტიკურ მიკროსკოპში Ergeval-MF.

მიღებული შედეგების აღწერა და განხილვა. ვირთაგვას კუჭის ჰისტოლოგიური სტრუქტურა მინერალური წყლის 20 დღიანი მიღების შემდეგ შეესაბამება ნორმას და არ განსხვავდება საკონტროლო ჯგუფის ცხოველის კუჭის ჰისტოლოგიური აგებულებისგან. მაშასადამე, წყალს რაიმე პათოლოგიური გავლენა კუჭის სტრუქტურასა და, შესაბამისად, ფუნქციაზე არ გააჩნია. ცხოველების თორმეტგოჯა ნაწლავის ლორწოვანი გარსი ვარდისფერია და ნაოჭიანი. ნაწლავის სტრუქტურა ინტაქტურია და არ განსხვავდება საკონტროლო ჯგუფის ცხოველების ნაწლავის ჰისტოლოგიური სტრუქტურისაგან. ვირთაგვების ღვიძლის ზედაპირი მორუხომოვარდისფერია. მთლიანად ღვიძლისა და მისი წილების სიდიდე ვიზუალურად ნორმის ფარგლებშია. მორფოლოგიური კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ აღნიშნული ორგანო სავსებით ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ ნორმალურ აგებულებას (როგორც მაკროსკოპულ, ისე მიკროსკოპულ შენებას). ცხოველების პანკრეასი მოვარდისფერია, პრიალა და გლუვი. კვლევამ გვიჩვენა, რომ პანკრეასის ნორმალური სტრუქტურა არ იცვლება, ინტაქტურია და არ განსხვავდება საკონტროლო ჯგუფის ცხოველების პანკრეასისაგან. ცხოველების თირკმელი ლობიოს ფორმისაა და დაფარულია თხელი, პრიალა შემაერთებელქსოვილოვანი კაფსულით. თირკმლის სტრუქტურის შესწავლამ გვიჩვენა, რომ მისი როგორც მაკრო, ისე მიკროსტრუქტურა შენახულია, იგი პრაქტიკულად არ განსხვავდება ნორმისგან და მასში პათოლოგიური ცვლილებები არ აღინიშნება.

დასკვნა: მიღებული მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოკვლეული ქედის რაიონის სოფელ ბალადეების მინერალური წყლის სამკვირიანი პერორალური მიღება არ იწვევს ექსპერიმენტული ცხოველების კუჭში, თირმეტგოჯა და მსხვილ ნაწლავებში, ღვიძლში, პანკრეასსა და თირკმელში არავითარ ცვლილებებს და იგი შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული, როგორც მინერალური წყალი.

ლიტერატურა

1. Зубкова С.М., Михайлик Л.В., Тверскова Н.В. //Антиоксидантная активность минеральной воды //Физиотерапия, Бальнеология, Реабилитация 2008. № 1 С. 11-12.
2. Королев Ю.Н. Гениатулина М.С. Никулина Л.А. //Влияние питьевой минеральной воды и магнитного поля на развитие компенсаторно-приспособительных реакций в семенниках крыс при иммобилизационном стрессе// Вопросы курортологии, Физиотерапии и лечебной физической культуры. 2013. №5 С. 6-9.
3. Фаращук Н.Ф. Теленкова О.Г. Михайлова Р.И. //Роль структурного состояния воды в отношении общей работоспособности крыс и сердечной деятельности лягушек //Матерялы конференции X международного водного форума Экватек-2012 при Институте экологии человека и гигиены окружающей среды им. А.Н. Сысина; Масква 2013. С.12-18.

INFLUENCE OF MINERAL WATERS OF VILLAGE BALADZEEBI IN QEDA REGION ON INTERNAL ORGANS OF RATS

Gordadze N., Sikharulidze I., Kordzaia M., Metreveli L., Tsilosani M.

Summary: The research studied the influence of the mineral water of the Village Baladzeebi (Qeda region) on the body of male white rats. There were examined 20 male white rats, weighing 200 g. Ten rats from the test group have been taking the mineral water daily during three weeks, while 10 animals of control group have been taking the normal tap water. The animals of both groups were drinking 20-25 ml of liquid on average per 24 hours. The urine output in the test group compared with the control group was not increased. The specimen were analysed and microphotographs were taken by the microscope Ergeval-MF. The animals from both groups have been taken out simultaneously, on the 21st day after the start of the research. The obtained data revealed that three-week intake of mineral water does not lead to any change in macro- and microstructure of stomach, duodenum, liver, pancreas and kidney of rats; thus the obtained data allow to conclude that this mineral water doesn't affect internal organs and can be used for drinking.



თსუ მ. ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის შექმნისა და განვითარების ისტორია

დღონტი ნ.

თსუ მ. ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი

ანოტაცია: წარმოდგენილია ინფორმაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის შექმნისა და 85 წლის საქმიანობის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: გეოფიზიკა

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად, ფრიად მნიშვნელოვანი როლი უჭირავს გეოფიზიკას, დარგს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია დედამიწის წიაღში ან მის ზედაპირზე მიმდინარე პროცესების გამოვლენა და მათი წარმომშობი მიზეზების დადგენა. გეოფიზიკური კვლევის ძირითად მეთოდს ბუნებრივ მოვლენებზე ზუსტი ინსტრუმენტალური დაკვირვებების წარმოება და მიღებული შედეგების რაოდენობრივი ანალიზი წარმოადგენს.

1933 წლის 1 ნოემბერს, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 1933 წლის 26 ოქტომბრის დადგენილებით, დაარსდა გეოფიზიკის ინსტიტუტი.

ინსტიტუტის დაარსებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტმა პ. ნიკიფოროვმა, რომელიც ახლადშექმნილი ინსტიტუტის პირველი დირექტორი გახდა.

მასთან ერთად გეოფიზიკის ინსტიტუტის დაარსების ინიციატორები იყვნენ და სამეცნიერო კადრების მომზადებასა და პირველი თეორიული ხასიათის კვლევების ჩატარებაში დიდი როლი შეასრულეს: აკადემიკოსებმა – ნ. მუსხელიშვილმა, ვ. კუპრაძემ, ი. ვეკუამ, პროფესორებმა – ე. ბიუსმა, მ. ნოდამ, დ. ლოლობერიძემ, ა. ბალაბუევმა, ალ. ცხაკაიამ და ლ. მალნარაძემ. ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ: პროფესორები: ბ. ბალავაძე, ალ. ბუნნიკაშვილი, გ. თვალთვაძე და ვ. ქებულაძე.

დაარსებიდან დღემდე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტმა მეტად საინტერესო და შინაარსიანი გზა განვლო. ჩვენმა სასიქადულო მეცნიერებმა წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებითა და მეცნიერებისადმი თავდადებული ერთგულებით ქვეყნის წინაშე მსახურების შესანიშნავი მაგალითი მოგვცეს.

1939 წელს ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი, საქ. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი მიხეილ ნოდია, რომელმაც წარუშ-

ლეული კვალი დატოვა ქართული გეოფიზიკური მეცნიერების განვითარებაში. შორს წავიყვანდა იმ საქმიანობის ჩამოთვლა, რომელსაც ბ-ნი მიხეილი მაღალი პროფესიონალიზმითა და დიდი სიყვარულით ასრულებდა წლების განმავლობაში. მეცნიერების, კერძოდ, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის – გეოფიზიკის წინსვლის საქმეში გაწეული ამაგისათვის ჩვენს ინსტიტუტს, სრულიად დამსახურებულად, მიენიჭა მ. ნოდინას სახელი.

1943–50 წლებში გეოფიზიკის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი მათე მირიანაშვილი. ამ პერიოდში ინსტიტუტში, ძირითადად, მიმდინარეობდა ისეთი სახის მეცნიერული კვლევები, რომლებიც დაკავშირებული იყო სეისმოტექტონიკის, სეისმოგენეზისის, მიწისძვრების ფიზიკისა და და სეისმომედეგი მშენებლობის პრობლემებთან .

1950-1953წწ და 1972-1987წწ გეოფიზიკის ინსტიტუტს ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ფიზიკა – მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ბენედიქტე ბალავაძე.

ბ. ბალავაძემ, პირველმა, ჩაუყარა საფუძველი, გეოფიზიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის, გრავიმეტრიის განვითარებას საქართველოში. ბ. ბალავაძის ინიციატივით, დაარსდა ინსტიტუტის მთაწმინდის დედამიწის მიმოქცევების შემსწავლელი უნიკალური მიწისქვეშა ობსერვატორია და დედამიწის ქერქის ნელი მოძრაობების შემსწავლელი ლაბორატორია, შეიქმნა მიწისძვრის პროგნოზის კავკასიის რეგიონალური ცენტრი.

ბატონმა ბენომ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე დაარსა ძიების გეოფიზიკური მეთოდების კათედრა, რომელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

1953-1972 წლებში გეოფიზიკის ინსტიტუტს სათავეში ედგა ცნობილი ქართველი გეოფიზიკოსი, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი ალექსანდრე ბუხნიკაშვილი.

ალ. ბუხნიკაშვილის სამეცნიერო ინტერესების სფეროს, ძირითადად, შეადგენდა დედამიწის რეგიონალური და ლოკალური, კერძოდ, მადნური წარმოშობის ელ. ველების, სტრუქტურისა და ბუნების შესწავლა.

დიდა ალ. ბუხნიკაშვილის წვლილი სეტყვის პრობლემების დამუშავების საქმეში. მისი ინიციატივით, 1957 წელს, შეიქმნა სეტყვის საწინააღმდეგო კომპლექსი სოფ. რუისპირში, რომელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის ღრუბლების ფიზიკის განყოფილების გამგე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერებათა დოქტორი ა. ქარცივაძე

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა-აკადემიისაკადემიკოსი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი მერაბ ალექსიძე გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე მოღვაწეობდა 1987–1992 წწ.

აკადემიკოსმა მერაბ ალექსიძემ წარუშლელი კვალი დატოვა ქართული მეცნიერების განვითარებაში. მან შეიმუშავა გეოფიზიკაში და მათემატიკურ ფიზიკაში სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის ახალი მეთოდები.

მ. ალექსიძემ გეოფიზიკის ინსტიტუტში ფართოდ დანერგა გამოყენებითი მათემატიკის მეთოდები გეოფიზიკაში, შექმნა საინფორმაციო-სადიებო სისტემები და გეოფიზიკური ველების მონაცემთა ბანკი, დააარსა გამოთვლითი ცენტრი (ა. გაბუნია, ბ.სიხარულიძე და სხვ.)

პირველად მსოფლიოში, აკადემიკოს მ. ალექსიძის ხელმძღვანელობით, შეიქმნა კავკასიის, კასპიისა და შავი ზღვების აკვატორიების სამგანზომილებიანი სტაციონარული გეოთერმული და თერმოდრეკადი მოდელები (ჯ. ქირია, ჯ გოგიაშვილი).

1992-2006 წწ ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე მოღვაწეობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქიმიისა და ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამაზ ჭელიძე. ხანგრძლივი, დაუღალავი და ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობით მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გეოფიზიკის ახალი მიმართულებების შექმნა-განვითარებაში.

ძალზე მნიშვნელოვანია თ. ჭელიძის როლი ენგურჰესის საერთაშორისო პოლიგონის შექმნაში. ამ ტერიტორიაზე გეოფიზიკური კვლევების ჩატარების მიზნით მისი ხელმძღვანელობით ინსტიტუტში დაარსდა ევროსაბჭოსთან არსებული ქართულ-ევროპული ცენტრი „მაღლივი კაშხლების გეოდინამიკური რისკი“.

ბ-ნი თამაზი წლების განმავლობაში იყო თსუ სასარგებლო ნამარხთა ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდების კათედრის გამგე.

ბ-ნი თ. ჭელიძე 2006 წლიდან ხელმძღვანელობს გამოყენებითი და ექსპერიმენტალური გეოფიზიკის სექტორს.

2006 წლიდან დღემდე ინსტიტუტს ხელმძღვანელობს მეცნიერებათა აკად. დოქტორი ნ. ლლონტი.

დაარსების დღიდან ინსტიტუტში მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი გეოფიზიკური კვლევები შემდეგი მიმართულებებით: სეისმოლოგია, საძიებო და გამოყენებითი გეოფიზიკა, დედამიწის აგებულება და გეოდინამიკა, მზე-დედამიწის კავშირები და ატმოსფეროს ფიზიკა, თეორიული და გამოთვლითი გეოფიზიკა, ქანების ფიზიკა, ზღვის დინამიკა, გეოკოსმოსური გარემოს ფიზიკა, გეოფიზიკური ველების დინამიკა, ჰიდროგეოფიზიკა და გეოთერმია.

სეისმოლოგიის, როგორც მეცნიერების მიწისძვრების შესახებ, წარმატებით განვითარება საქართველოში შესაძლებელი გახდა 1899 წლიდან, როცა თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიაში გაიხსნა სეისმური სადგური და დაიწყო სეისმურ მოვლენებზე უწყვეტი ინსტრუმენტული დაკვირვებები. თბილისში მიწისძვრების პირველი უნიკალური ჩანაწერები განხორციელდა 1899 წელს.

1935 წლიდან რეგულარულად იწყებს გამოსვლას კავკასიის მიწისძვრების “კვარტალური სეისმური ბიულეტენი.”

1950 წლიდან ალ. ცხაკაიას თაოსნობით ჩამოყალიბდა რეგიონული სეისმოლოგიის განყოფილება, რომელსაც ის სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა. მისი გარდაცვალების შემდეგ განყოფილებას ხელმძღვანელობდნენ მეცნ. დოქტორები თ. გოცაძე, შემდეგ – ე. ჯიბლაძე (პირველი ქართველი დოქტორი ქალი გეოფიზიკაში).

რეგიონული სეისმოლოგიის ბაზაზე ფუნქციონირებდა ერთიანი სეისმური სამსახურის კავკასიის ზონალური ცენტრი (ვ. პაპალაშვილი, ლ. დარახველიძე).

1950 წელს ინსტიტუტში შეიქმნა მიწისძვრების ფიზიკის განყოფილება (ხელმძღვანელი ე. ბიუსი, შემდეგ მეცნ. დოქტორი დ. სიხარულიძე), სადაც შეისწავლებოდა მიწისძვრის კერის ფიზიკის, სხვადასხვა ტიპის ზედაპირული სეისმური ტალღების ინტერპრეტაციის, ფორმირებისა და გავრცელების საკითხები, (ე. ბიუსი, დ. სიხარულიძე; ნ. თუთბერიძე, ი. შენგელია, თ. ვარაზანაშვილი, რ. შავიშვილი, თ. გოგოლაძე, ი. ბოლქვაძე, ი. გეგეჭკორი, პ. ჯიჯეიშვილი, ე. პატარაია, ნ. ნიბლაძე, ც. სიბოშვილი, მ. თამაზაშვილი, ლ. კარკალაია, ნ. კვანტალიანი).

სეისმომეტრიულ კვლევებს საქართველოში საფუძველი ჩაუყარა 1934–1935 წლებში გ. თვალთვადის ჯგუფის მიერ ჭიათურის (პერევისა) მანგანუმის საბადოს ტერიტორიაზე ჩატარებული სეისმოსაძიებო სამუშაოებმა. გეოფიზიკის ინსტიტუტში ბატონი გ. თვალთვადის ინიციატივით შეიქმნა სეისმომეტრიის განყოფილება, რომელსაც ის 1970 წლამდე ხელმძღვანელობდა. მისი გარდაცვალების შემდეგ განყოფილების ხელმძღვანელობა დაევალა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს მ. იოსელიანს.

განყოფილების თანამშრომლების მიერ მნიშვნელოვანი სეისმოსაძიებო და საინჟინრო გეოფიზიკური სამუშაოები ჩატარდა ჯავახეთის ზეგნის სეისმური რეჟიმისა და სიღრმეული აგებულების დასაზუსტებლად; მაგისტრალური ტრანსკავკასიური რკინიგზის სავარაუდო ტრასის გამოსაკვლევად; ყაზბეგისა და სიონის მომავალი წყალსაცავების ფსკერისა და საქართველოს სხვადასხვა რაიონში მეწყერსაშიში უბნების შესასწავლად და სხვა (მ. იოსელიანი, გ. თვალთვაძე, ო. ლურსმანაშვილი, ვ. ჭიჭინაძე, რ. მახარაძე, თ. სტურუა, ბ. პაპავაძე, ვ. ბუგაიანიშვილი, შ. დიასამიძე, გ. მოწენიძე, გ. აბრამიშვილი, ე. ბალათურია, ზ. ქველაძე, დ. კიტოვანი, თ. ონოფრიშვილი, ა. რევაზიშვილი).

1971 წელს ინსტიტუტში დაარსდა გამოყენებითი სეისმოლოგიის განყოფილება (ხელმძღვანელი გ. მურუსიძე). მოკლე დროში აქ შეიქმნა სეისმურ სადგურთა ქსელი (დ. ბაკურაძე, ნ. გიორგაშვილი, რ. ხელაშვილი, თ. ხელაძე, თ. აბულაძე, თ. დათუნაშვილი, ი. მჭედლიშვილი, ლ. სოხაძე, თ. მაჭავარიანი, ი. ალექსანდრიდი, მ. ხუციშვილი).

1976 წელს თბილისის ცენტრალური ტელესეისმური სადგური გადავიდა ახალ შენობაში (ნუცუბიძის ქ. 77) და გადაკეთდა სეისმოლოგიურ ობსერვატორიად “თბილისი”, რომელიც 1985 წლიდან დაექვემდებარა გეოფიზიკის ინსტიტუტის ერთიანი სეისმური დაცვის ეროვნულ სამსახურს.

1979 წ. ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა საცდელ-მეთოდური სეისმოლოგიური პარტია (რ. მახარაძე, გ. შენგელაია), რომლის ბაზაზეც 1982 წელს შეიქმნა საცდელ-მეთოდური გეოფიზიკური ექსპედიცია, შემდგომში - ერთიანი სეისმური დაცვის ეროვნული სამსახური (ხელმძღვანელი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. შენგელაია, 2002 წლიდან კი ზ. ჯავახიშვილი), რომელიც “სეისმური მონიტორინგის ცენტრის” სახელწოდებით 2006 წელს გამოეყო მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტს.

ფართომასშტაბიანი გრავიმეტრიული გამოკვლევები საქართველოში დაიწყო 1934 წლიდან, მას შემდეგ, რაც გეოფიზიკის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა გრავიმეტრიის განყოფილება (ბ. ბალავაძე, გ. შენგელაია, კ.მ. ქართველიშვილი, პ. მინდელი, ვ. ტყეშუჩავა, თ. გვანცელაძე, მ. ნიკოლაიშვილი, ზ. არზიანი, მ. მეტონიძე, ლ. გოგელია, გ. ლორთქიფანიძე, ა. ბეშიძე), მოგვიანებით კი - დედამიწის მიმოქცევებისა (კ. ქართველიშვილი) და დედამიწის ქერქის დინამიკის (ვ. აბაშიძე) ლაბორატორიები (ლ. მირიანაშვილი, რ. ურუშაძე, გ. ნიკაური, ი. ბლუაშვილი, ლ. დავითაშვილი, ჟ. ბექაია, ლ. ორჯონიკიძე, დ. კაპანაძე, ი. მელქაძე).

2003 წელს გეომაგნეტიზმისა და გეოდინამიკის განყოფილებების გაერთიანების შედეგად კ. ქართველიშვილის ხელმძღვანელობით ინსტიტუტში შეიქმნა დედამიწის ფიზიკისა და გეომაგნეტიზმის სექტორი, რომელსაც 2018 წლიდან ხელმძღვანელობს მეცნიერებათა დოქტორი თ. ქირია.

საქართველოში ელექტრომეტრიული კვლევები იწყება გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან, როცა ინსტიტუტში ჩამოყალიბდა გეოელექტრობისა და ელექტრომეტრიის განყოფილება, რომელსაც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდნენ ა. ბუხნიკაშვილი, ვ. ქებულაძე, გ. ტაბალუა, გ. ჯაში, ა. ლაშხი, გ. გუგუნავა. განყოფილების მიერ ჩატარდა შემდეგი მნიშვნელოვანი საველე და ექსპერიმენტული სამუშაოები: სხვადასხვა ტიპის მადანგამოვლინებების და კავკასიონის სამხრეთი ფერდის სპილენძ-პიროტინიანი ზოლისა და ჭიათურის მარგანეცის საბადოების შესწავლა; ამიერკავკასიის ტერიტორიის დედამიწის ქერქისა და ზედა მანტიის გამოკვლევა (ა. ბუხნიკაშვილი, ვ. ქებულაძე, გ. ტაბალუა, გ. ჯაში, თ. ჭელიძე, ა. ლაშხი, გ. გუგუნავა, გ. ხვიტია, რ. გოგოუა, ო. ტატიშვილი, შ. ჩხენკელი, ა. დადუნაშვილი, ზ. ამილახვარი).

გეოელექტრობისა და ელექტრომეტრიის განყოფილების თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობდნენ საერთაშორისო საექსპედიციო გამოკვლევებში. კერძოდ, სირიის არაბთა

რესპუბლიკაში (ლ. ჭანტურიშვილი, გ. შენგელაია, გ. ტაბალუა, გ. ჯაში, ა. თარხნიშვილი, რ. გოგუა, რ.მახარაძე, თ. აბრამიშვილი, ნ. დოლიძე, მ. გიგიბერია)

გეოფიზიკის ინსტიტუტის ატმოსფეროს ფიზიკისა და კლიმატოლოგიის განყოფილებაში სამეცნიერო კვლევები დაიწყო 1936 წლიდან. ამ პერიოდიდან ჩატარებული მნიშვნელოვანი სამუშაოებიდან აღსანიშნავია: აღმოსავლეთ საქართველოში სეტყვის მოვლენებისა და კავკასიის თოვლის საფარის ფიზიკური თვისებების შესწავლა და ზვავების ჩამოწოლის პროგნოზის მეთოდის სრულყოფა. (ა. ბალაბუევი, გ. სულაქველიძე, ა. ქარცივაძე, ა. ოკუჯავა, ო. ლომია, ჟ. ცინცაძე, ა. მახარაშვილი, ნ. მილაძე, ქ. მჭედლიშვილი და სხვ.)

60-იანი წლების დასაწყისში, შემუშავდა სეტყვის პროცესებზე ზემოქმედების ორიგინალური კონცეფცია, რომლის საფუძველზეც შედგენილ იქნა ალაზნის ველზე სეტყვასა-შიშროების განაწილების რუკა(ა. ორჯონიკიძე, ე. ხელაია, რ. დორეული, ფ. მახარაშვილი).

1964 წლიდან დაიწყო ატმოსფეროში ოზონის შესწავლა და ჰაერის მყარი აეროზოლური დაბინძურებისა და ატმოსფეროს სასაზღვრო ფენის გამოკვლევები, შედგენილია ოზონის საერთო რაოდენობის განაწილების რუკები(ჯ. ხარჩილავა, გ. ჩხაიძე).

სამოცდაათიან წლებში ექსპლუატაციაში შევიდა ატმოსფერული პროცესების მოდელირების უნიკალური ექსპერიმენტული კომპლექსი - დიდი თერმობაროკამერა(ა.ქარცივაძე, ა. ოკუჯავა, თ. გზირიშვილი, ა. ამირანაშვილი, თ. სალუქვაძე, მ. ოდიშარია და სხვ.)2006 წ. შემოადინებული განყოფილებების ბაზაზე ჩამოყალიბდა ატმოსფეროს ფიზიკის სექტორი - ხელმძღვანელი ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი ა.ამირანაშვილი. (ჯ.ხარჩილავა, თ.სალუქვაძე, ვ. ჩიხლაძე, ქ. ჩოჩიშვილი, ნ. ჭიაბრიშვილი თ, ბლიაძე, გ. ჩხაიძე, დ.კირკიტაძე, ა.ნოდია, ა.ბალავაძე, თ.გზირიშვილი,ე. ხელაია, ი.ოსიძე და სხვ.).

ინსტიტუტის იონოსფეროს განყოფილებაში, მრავალწლიანი კვლევების საფუძველზე, მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღებული გამტარი ატმოსფეროსათვის დინამიკური შესაძლებლობის პირობების შესახებ, რომელმაც შესაძლებელი გახადა ზედა ატმოსფეროს ფიზიკის მრავალი ფუნდამენტური ამოცანის ეტაპობრივი ამოხსნა(ა. ხანთაძე, ა. გველესიანი, ზ. კერესელიძე, გ. ხოჭოლავა, ბ. ჩეხოშვილი, რ. გაჩეჩილაძე, ნ. მებაღიშვილი, ჯ. ქეშელაშვილი).

უკასკნელ წლებში პროფესორ გ. აბურჯანიას ხელმძღვანელობით მკვლევართა ჯგუფი (ო. ხარშილაძე, ხ. ჩარგაზია) მუშაობდა დედამიწა-ატმოსფერო-იონოსფერო-მაგნიტოსფეროს ტალღების ურთიერთკავშირის ფიზიკურ-მათემატიკურ მოდელირებაზე.

მე-20 საუკუნის ოცდაათიანი წლების ბოლოს ინსტიტუტის ელექტრო რადიომეტრიულ ლაბორატორიაში დაიწყო კვლევები ქანებისა და მინერალური წყლების რადიოაქტივობაზე(ვ. ქებულაძე, შ. ჩხენკელი, მ. ჩხეტია, თ. ხუნჯუა, მ. ვარძელაშვილი, ნ.დოლიძე, კ. დანელია).

1837 წელს თბილისში დაარსდა მაგნიტურ-მეტეოროლოგიური ობსერვატორია. 1905 წ. ობსერვატორია გადატანილი იქნა სოფ. კარსანში (ქ. მცხეთის ახლოს), ხოლო1935 წ. ქ.დუშეთში, სახელწოდებით დუშეთის (თბილისის) გეოფიზიკური ობსერვატორია.

თბილისი-კარსანი - დუშეთის ობსერვატორიას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: ი. შესტაკოვი,ა. ფილადელფინი,ა.აბიხი,ა. მორიცი,ფ. დორანდტი,ი. მილბერგი,ე. შტელლინგი, ს. გლასევი, მ. სიტნოვი,რ.ხუციშვილი, ა. კაკაბაძე, კ. სულაქველიძე, გ. ჭირაქაძე ნ. ინჭკირველი, ი. ცუცქირიძე, მ. ჭელიშვილი, ნ. ხვედელიძე, ა. ლაშხი, ნ. ბოჭორიშვილი, ვ. მაცაბერიძე, 1987 წლიდან დღემდე - რ. გოგუა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფ. მ. ნოდის დამსახურება ობსერვატორიის აღდგენასა და ახალი ხელსაწყოებით აღჭურვაში.

ობსერვატორიის მაღალ დონეზე ფუნქციონირებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით მაგნიტოლოგებს: ნ. კაციაშვილს, გ. ბერიშვილს, ნ. ხვედელიძეს, ე.ხახუტაშვილს, ი. გოგატიშვილს, ნ. ნამგალაურს, ჯ. ჩიქოვანს, თ.მათიაშვილს.

1952-1953 წლებში თბილისში ვ. ქოიავას ინიციატივით დაარსდა კოსმოსური სხივე-ბის ინტენსივობის უწყვეტი რეგისტრაციის სადგური, რომელსაც 1956 წელს ეწოდა კოსმოსური სხივების ლაბორატორია, 1969 წელს კოსმოსური სხივების განყოფილება, 1972 წელს კოსმოსური სხივების განყოფილება გარდაიქმნა კოსმოფიზიკურ განყოფილებად ორი ლაბორატორიით: კოსმოფიზიკურ განყოფილებას და კოსმოსური სხივების ვარიაციების ლაბორატორიას ხელმძღვანელობდა მ. ალანია, ხოლო მაღალი ენერგიების კოსმოსური სხივების ლაბორატორიას – პროფესორი ლ. შათაშვილი. 1990-იანი წლებიდან კი მას ეწოდა კოსმოფიზიკური ობსერვატორია (მეცნიერებათა აკად. დოქტორი თ. ბაქრაძე).

1972 წელს მთელი სიმძლავრით იქნა გაშვებული ნეიტრონული სუპერ-მონიტორი, განყოფილებაში წარმატებით მიმდინარეობს თემატიკასთან დაკავშირებული თეორიული კვლევები და მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები (ი. ტუსკია, ნ. ნაჭყებია, მ. დესპოტაშვილი, ვ. ტყემალაძე, რ. ასლამაზაშვილი, ბ. ნასყიდაშვილი, ო. როგავა, თ. რაზმაძე, ნ. დლონტი, თ. ჯაფიაშვილი, დ. ბოჩიკაშვილი, ნ. მანჯავიძე, ნ. ხაზარაძე, თ. ბოჭორიშვილი, გ. ვანიშვილი, გ. წერეთელი, ლ. საზანდრიშვილი, ზ. ყვავაძე, ნ. დოლიძე, გ. ერქომაიშვილი, ლ. ჯობავა, ლ. ოსეფაიშვილი, ნ. ბოჩიკაშვილი, ტ. ერქომაიშვილი).

გეოფიზიკური კვლევების შედარებით ახალ მიმართულებას წარმოადგენს ქანების ფიზიკა. პროფ. ლევან ჭანტურიშვილის ხელმძღვანელობით შესრულდა მნიშვნელოვანი სამუშაო საქართველოს ქანების ელექტრული, მაგნიტური და თერმული თვისებების დასადგენად (მ. ჭელიშვილი, თ. ჭელიძე, ნ. ხატიაშვილი, გ. სარაჯიშვილი, ე. საყვარელიძე, ზ. ჭანიშვილი, დ. კიკნაძე, შ. ჩიხრაძე, გ. გელაძე, ზ. ავალიანი).

1989 წელს გეოფიზიკის ინსტიტუტში პროფესორ ა. კორძაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ზღვის დინამიკის განყოფილება, შემდგომში, ზღვისა და ატმოსფეროს გეოფიზიკური პროცესების მათემატიკური მოდელირების სექტორი (ხელმძღვანელი ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი დ. დემეტრაშვილი) სექტორში კვლევის ძირითადი მიმართულებებია: შავ და კასპის ზღვებში მიმდინარე დინამიკური პროცესებისა და კავკასიის რეგიონის ატმოსფეროში მიმდინარე ჰიდროთერმოდინამიკური და ეკოლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირება; (ა. კორძაძე, ა. სურმავა, დ. დემეტრაშვილი, დ. კვარაცხელია, გირგვლიანი, ვ. კუხალაშვილი).

2006 წელს, ინსტიტუტში შეიქმნა გეოფიზიკური ველების დინამიკისა და გამოთვლითი გეოფიზიკის სექტორი. (ხელმძღვანელი ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი თ. მაჭარაშვილი). სექტორის კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს გეოფიზიკური პროცესების დინამიკის თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა (ა. სბორშიკოვი, ნ. ჟუკოვა, ე. მეფარიძე, დ. ტეფნაძე, ზ. ჭელიძე, ნ. ჯავახიშვილი).

2007 წელს, საქართველოს კოსმოსური სააგენტოს ბაზაზე, აკადემიკოს ჯ. ლომინაძის უშუალო ხელმძღვანელობით, ინსტიტუტში დაარსდა კოსმოსური კვლევის ცენტრი (ხელმძღვანელი მეცნიერებათა აკად. დოქტორი დ. ზილფიმიანი)

კოსმოსური კვლევის ცენტრში შესრულებულია პიონერული თეორიული კვლევები, რომლებიც მიესადაგება გლუვი პროფილის მქონე გეოფიზიკურ, ჰიდროდინამიკურ და პლაზმურ დინებებს; ზონალური დინებების მიმართულებით შესრულებულია ახალი ტიპის ანალიზური კვლევები და გარემოს თანამგზავრულ მონიტორინგთან დაკავშირებული ამოცანები (ჯ. ლომინაძე, გ. ჩაგელიშვილი, რ. ჭანიშვილი, ო. ხარშილაძე, გ. თვაური, ე. უჩავა, ტ. ჯინჯოლია, ქ. ქორიძე, დ. სვანაძე, დ. იმნაძე).

2012 წელს მ. ნოდისა გეოფიზიკის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა სეისმოლოგიის, სეისმური საშიშროებისა და კატასტროფების რისკის სექტორი (ხელმძღვანელი მეცნიერებათა აკად. დოქტორი ნ. წერეთელი), სადაც მიმდინარეობს თანამედროვე კვლევები სეისმოლოგიის, სეისმოტექტონიკისა და აქტიური სტრუქტურების, სეისმოციების და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შესწავლის მიმართულებით.

განზრახულია, თანამედროვე პროგრამების გამოყენებით, საქართველოს ტერიტორიის სეისმური საშიშროების (მოლოდინის დრო 50 წელი) ახალი შეფასება და მიწისძვრის კერის ფიზიკის საკითხების კვლევა (ნ. წერეთელი, ო. ვარაზანაშვილი, ზ. კერესელიძე, მ. ჩხიტუნიძე, ვ. არაბიძე, ს. გოგმაჩაძე, ნ. ყვავაძე, ი. ხვედელიძე, ა. გვენცაძე, მ. კუპრაძე).

2012 წლიდან გეოფიზიკის ინსტიტუტში დაარსდა ჰიდროგეოფიზიკისა და გეოთერმიის კვლევითი ცენტრი (ხელ. გეოლ–მინერ. მეცნ. დოქტორი გ. მელიქაძე).

ცენტრის მიზანია: ჰიდროგეოფიზიკური და გეოთერმული კვლევის თანამედროვე მეთოდების დანერგვა და პოპულარიზაცია; საქართველოს მიწისქვეშა წყლების რესურსების შეფასება, კვლევები მიწისქვეშა წყლების ასაკის, გენეზისის, მათი ურთიერთკავშირის დადგენის მიზნით(ნ.კაპანაძე, გ.კობზევი, თ.ჯიმშელაძე, მ.თოდაძე, ა.ჭანკვეტაძე, ს.ვეფხვაძე).

ინსტიტუტში მეტად საინტერესო და მნიშვნელოვან კვლევებს ატარებს გეოლოგიური ჯგუფი გეოლ–მინერ. მეცნ. დოქტორის ბ-ონ შოთა ადამიას ხელმძღვანელობით.

ინსტიტუტში მუშაობს ორი საქალაქო სემინარი.

ამჟამად ინსტიტუტში ირიცხება 147 თანამშრომელი. აქედან 67 მეცნიერ თანამშრომელია, მათ შორის 46 სამეცნიერო ხარისხის მქონედან 2 აკადემიკოსი, 17 მეცნიერებათა დოქტორი, და 5 პროფესორი. ინსტიტუტის არსებობის მანძილზე მომზადდა და გამოიცა 380-მდე წიგნი. მათ შორის: ინსტიტუტის შრომები (69 ტომი), 14 სახელმძღვანელო, 85 მონოგრაფია, 4 ატლასი, 50-მდე სეისმოლოგიური ბიულეტენი, რუკები, 25-მდე ბიობიბლიოგრაფია.

1995 წლიდან ინსტიტუტში გამოდის გეოფიზიკური საზოგადოების ინგლისურენოვანი ციტირების ინდექსის მქონე ორი ჟურნალი: დედამიწის ფიზიკა და ატმოსფეროს, ოკეანისა და კოსმოსური პლაზმის ფიზიკა - სულ გამოსულია 39 ტომი. რეფერირებულ ჟურნალებში გეოფიზიკის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნებულია 290-ზე მეტი სტატია. ინსტიტუტს მოპოვებული აქვს 35-მდე ეროვნული და 50-ზე მეტი საერთაშორისო გრანტი.

ინსტიტუტი ინტენსიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან: ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო (IAEA, ვენა); ევროპის საბჭოსთან არსებული დიდი კატასტროფების შეთანხმება(სტრასბურგი); გეომაგნეტიზმის საერთაშორისო ცენტრი (კიოტო) და უცხოეთის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრები და უნივერსიტეტები.

ინსტიტუტის ათეულობით თანამშრომელს მიღებული აქვთ პატენტები, გამოგონებები, სხვადასხვა სახის ჯილდოები და საპატიო სიგელები.

HISTORY OF THE CREATION AND DEVELOPMENT OF M. NODIA INSTITUTE OF GEOPHYSICS, TSU

Ghlonti N.

Summary: Information on the history of the creation and 85 years of activity of the Mikheil Nodia Institute of Geophysics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University is presented.



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება და განვითარება

ადეიშვილი თ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია

ანოტაცია: წარმოდგენილია ივ. ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისა და განვითარების ისტორია 1918 წლიდან დღემდე.

საკვანძო სიტყვები: უნივერსიტეტი, ისტორია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ) საქართველოს უძველესი და უდიდესი უმაღლესი სასწავლებელია. ის დაარსდა 1918 წლის 8 თებერვალს (ძვ. სტ. 26 იანვარს) მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, ქ. თბილისში, ძველი გიმნაზიის შენობაში. ამავე წლის 3 სექტემბერს ეწოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იმ დროისათვის მთელ კავკასიაში ეს იყო პირველი და ერთადერთი უნივერსიტეტი. ამჟამად მისი ყოველწლიური სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 30000-ს, ხოლო პროფესორ-მასწავლებელთა რიცხვი 3000-ს აღემატება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია 7 ფაკულტეტი და 60-მდე სა-მეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და ლაბორატორია, უმდიდრესი ბიბლიოთეკა (4 მილიონამდე წიგნითა და პერიოდული გამოცემით), 7 მუზეუმი, აგრეთვე საკუთარი გამოცემლობა და სტამბა. გამოსცემს საკუთარ გაზეთს „თბილისის უნივერსიტეტი“.

მისი დაარსების მოკლე ისტორია შემდეგია. 1917 წელს თბილისში შეიქმნა ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებელი საზოგადოება, რომელმაც ითავა მისი დაარსება. მისი მთავარი დამფუძნებელი იყო უდიდესი ქართველი ისტორიკოსი, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. თანადამფუძნებლები იყვნენ: კონსტანტინე აფხაზი, გრიგოლ გველესიანი, ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, დიმიტრი უზნაძე, გრიგოლ წერეთელი, აკაკი შანიძე, ანდრია რაზმაძე, იოსებ ყიფშიძე და პეტრე მელიქიშვილი.

პროფესორი პეტრე მელიქიშვილი, მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი ქიმიკოსი, რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი ი. ჯავახიშვილის წარდგინებით, არჩეულ იქნა უნივერსიტეტის პირველ რექტორად. თსუ-ს გახსნის დღეს მის ეზოში საზეიმო წირვა აღავლინა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კირიონმა.

1922 წლის 15 იანვარს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა პოლი-

ტექნიკური ფაკულტეტი, რომლის ბაზაზეც 1928 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ამჟამად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი).

1919-1926 წლებში თსუ-ს რექტორი გახლდათ ივანე ჯავახიშვილი. 1926 წელს საბჭოთა რეჟიმის გადაწყვეტილებით იგი გაათავისუფლეს რექტორის მოვალეობისაგან, თანაც მას კარგა ხნით აეკრძალა ლექციების წაკითხვა მის მიერვე დაარსებულ უნივერსიტეტში. ამ დროიდან 1991 წლის 14 ოქტომბრამდე უნივერსიტეტს დაკარგული ჰქონდა ავტონომიური უმაღლესი სასწავლებლის სტატუსი. ის კვლავ აღდგა აკადემიკოს როინ მეტრეველის რექტორობის საწყის ეტაპზე. ის გახლდათ პირველი არჩეული რექტორი პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის შემდეგ. 1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა დემოკრატიული სახელმწიფოს გამოცხადებამდე ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რომელიც ქართველმა ხალხმა გადადგა, სწორედ თბილისში ეროვნული უნივერსიტეტის შექმნა იყო. შემდგომ პერიოდში, ბოლშევიკურ და კომუნისტურ ხანაში, მიუხედავად თავსმოხვეული იდეოლოგიისა და მკაცრი ცენზურისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეძლო ეროვნული სულისკვეთების შენარჩუნება, ზოგადსაკაცობრიო იდელებისადმი მსახურება, აღზარდა ეროვნული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, ჩამოყალიბდა საყოველთაოდ ცნობილი სამეცნიერო სკოლები მათემატიკაში, ფიზიკაში, ასტრონომიაში, გეოფიზიკაში, ქიმიაში, ფსიქოლოგიაში, ფიზიოლოგიაში, ენათმეცნიერებაში, ისტორიაში, აღმოსავლეთმცოდნეობაში, ფილოლოგიაში და მეცნიერების სხვა დარგებში. თსუ-მ საფუძველი ჩაუყარა საქართველოს თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლისა და მეცნიერებათა აკადემიის შეიქმნას.

1917 წელს ცარიზმის დამარცხებამ და თებერვლის რევოლუციამ შესაძლებელი გახდა რუსეთის იმპერიაში არარუსულენოვანი უნივერსიტეტის დაარსება. ბატონმა ივანემ ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნისას დააარსა საინიციატივო ჯგუფი, ხოლო 1917 წლის მაისში ჩავიდა თბილისში, სადაც ჩაიტანა უკვე მზა წესდება და დახმარებისათვის ბატონ ექვთიმე თაყაიშვილს მიმართა. 12 მაისს მათ გამართეს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა, სადაც საპატიო თავმჯდომარედ ბატონი პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს. დაარსების სავარაუდო თარიღად 1918 წლის დასაწყისი განისაზღვრა. დამფუძნებელმა საზოგადოებამ შექმნა ორი კომისია: აკადემიური და ფინანსური. ფინანსურს დაეკისრა უნივერსიტეტის დაარსებისათვის სახსრების მოზიდვა, ხოლო აკადემიურს მეცნიერული ორგანიზაციისათვის ზრუნვა. აკადემიურ კომისიაში შევიდნენ: პ. მელიქიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, კ. კეკელიძე, დ. უზნაძე, ა. რაზმაძე. კომისიამ სულ 9 სხდომა ჩაატარა. 1917 წლის 26 ნოემბრის სხდომაზე გადაწყდა, რომ თავდაპირველად დაარსებულიყო ერთი – სიბრძნიმეტყველების ანუ ფილოსოფიის ფაკულტეტი, რომელსაც შემდეგ მიემატებოდა სხვები. 1918 წლის 13 იანვარს შედგა უნივერსიტეტის პირველი სხდომა, სადაც რექტორად ივანე ჯავახიშვილი არჩევა სურდათ, თუმცა ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა და რექტორად პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს. მიუხედავად ამისა, ფაქტობრივი რექტორი მაინც ივ. ჯავახიშვილი იყო, რადგან მელიქიშვილი უიმისოდ არაფერს წყვეტდა. 1918 წლის 26 იანვარს კი უნივერსიტეტი სახეიმოდ გაიხსნა, ხოლო იმავე წლის 3 სექტემბერს უნივერსიტეტი სახელმწიფო უნივერსიტეტად გადაკეთდა.

1919 წლის ბოლოს პეტრე მელიქიშვილი ივანე ჯავახიშვილმა შეცვალა, რომელიც 1926 წლის 22 ივნისამდე წარმატებით მართავდა უნივერსიტეტს, ხოლო ხელი-

სუფლების ჩარევის შემდეგ იგი შეცვალეს პარტიული მუშაკით – თევდორე ღლონტი. ეს ფაქტი ცნობილია საზოგადო მოღვაწემ შალვა ამირეჯიბმა კალიგულას მიერ ცხენის სენატორად დანიშვნას შეადარა. თ. ღლონტმა თავისი მოღვაწეობა რექტორის პოსტზე ივ. ჯავახიშვილის დევნით დაიწყო და 1928 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში მკაცრად გააკრიტიკა ბატონი ივანე და მისი თანამოაზრენი. თუმცა ის მხოლოდ ორი წელი იყო თსუ-ს რექტორის პოსტზე, შემდეგ სხვა თანამდებობებზე მუშაობდა და 1937 წლის 10 ივლისს „კონტრევოლუციური მოღვაწეობისა და მავნებური საქმიანობისათვის“ დახვრიტეს.

ასეთივე ბედი ეწია შემდგომ რექტორებსაც: მალაქია ტოროშელიძეს (09.1928–09.1930); ივანე ვაშაყმაძეს (01.1930–09.1931); ალექსანდრე ერქომაიშვილს (09.1931–12.1932); ლევან აღნიაშვილს (04.1933–06.1935); კარლო ტორაგველიძეს (04.1935–06.1937). ისინი ყველა დახვრიტეს ე.წ. „დიდი წმენდის“ დროს 1937 წელს.

შედარებით მშვიდობიანი, მაგრამ ხანმოკლე (07.1937–09.1938) გამოდგა გიორგი კიკნაძის რექტორობა. მისი რექტორობის პერიოდში მთელ ქვეყანაში ფართოდ აღინიშნა თსუ-ს ოცი წლისთავი. ამის შემდეგ ის იყო განათლების სახალხო კომისარი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი და გარდაიცვალა 1963 წელს.

10.1938–02.1942 პერიოდში უნივერსიტეტის რექტორი გახლდათ დავით ყიფშიძე. ის 1934–1937 წლებში ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობდა და პედაგოგიკის ისტორიას ასწავლიდა, შემდეგ იყო პედაგოგიურ მეცნიერებათა ინსტიტუტის დირექტორი, ხოლო 1947 წელს დაინიშნა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრის გამგედ. გარდაიცვალა 1975 წლის 31 აგვისტოს.

უნივერსიტეტის მომდევნო რექტორი – ალექსანდრე ჯანელიძე (02.1942–07.1945) გახლდათ ცნობილი ქართველი გეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, საქართველოს დამსახურებული მოღვაწე და საქართველოში გეოლოგიური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი. ის წლების განმავლობაში (1925–1955) იყო მის მიერ დაარსებული გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ხოლო 1941–1963 წწ. გახლდათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების თავმჯდომარე, 1951–1958 წწ. ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ხოლო 1941–1972 წწ. აკადემიის პრეზიდენტის წევრი. აკადემიკოს ა. ჯანელიძის თსუ-ში მოღვაწეობის პერიოდში გეოლოგიურ-მინერალოგიური და გეოფიზიკური მეცნიერებები ძალზე სწრაფ განვითარებას განიცდიდნენ. მის მიერ უნივერსიტეტში ბევრი ახალი სწავლის დასავლური მეთოდი იქნა დანერგილი. მის გამოკვლევებში დიდი ადგილი უჭირავს საქართველოს იურული და ცარცული პერიოდების, საფრანგეთის ადრინდელი ცარცული ეპოქის ფაუნისა და რუსეთის (ურალის) დეკონური პერიოდის მარინული ფაუნის საკითხებს. მის მიერ გამოყოფილია საქართველოს ერთ-ერთი გეოტექტონიკური ერთეული – საქართველოს ბელტი. ის გარდაიცვალა 1975 წლის 16 იანვარს. დასაფლავებულია დიდუბის პანთეონში.

ამის შემდეგ უნივერსიტეტში იწყება გამორჩენილი ქართველი ბოტანიკოსის, მწერლის, საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებლის, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს ნიკოლოზ კეცხოველის წარმატებული რექტორობის პერიოდი (1945–1952 წწ.).

უნდა აღინიშნოს, რომ ის იყო თსუ-ს კურსდამთავრებული, 1923 წლიდან ბოტანიკის კათედრის პედაგოგი, 1929 წლიდან მისი დოცენტი, 1933 წლიდან გარდაცვალებამდე მისი გამგე. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სასოფლო-

სამეურნეო განყოფილების თავმჯდომარე (1942-1957 წწ), ბიოლოგიის განყოფილების თავმჯდომარე (1957-1963 წწ), ვიცე-პრეზიდენტი (1943-1945), ხოლო 1963 წლიდან გარდაცვალებამდე (1982) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი. მას დაწერილი აქვს მრავალი ნარკვევი, ნოველა და მოთხრობა („თოვლიან მთებში“; „ცხრათვალი მზის ქვეშ“, „მორბის არაგვი არაგვიანი“; „არსიდან მოვიდვარ, მომიხარია“; „მეცხრე მთა გადავიარე“; „კიდევაც დაიზრდებიან“).

ცალკე აღსანიშნავია ბატონი ნიკოს დამსახურება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინაშე. ჯერ კიდევ 1921 წლის თებერვალში იგი, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული არმიის ოფიცერი, აქტიურად მონაწილეობდა კოჯორ-ტაბახმელას ფრონტზე მე-11 არმიის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1917-1924 წლებში იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, ხოლო 1924 წელს, აგვისტოს აჯანყებამდე ოდნავ ადრე დააპატიმრა „ჩეკამ“. სამამულო ომის დასაწყისში თანაუგრძნობდა ფარულ პატრიოტულ ორგანიზაციას „სამანი“.

აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი გარდაიცვალა 1982 წლის 26 დეკემბერს. იგი დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

ამის შემდეგ თსუ-ს რექტორი ორჯერ (07.1953–09.1953; 04.1966–05.1966) ხდება ილია ვეკუა – ცნობილი ქართველი მათემატიკოსი და მექანიკოსი, სსრკ-ს მეცნიერებათა აკადემიის (1958) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (1944) აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი (1969), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი (1972-1977 წწ), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. ის სხვადასხვა პერიოდში იყო თსუ-ს პრორექტორი, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანი, ნოვოსიბირსკის უნივერსიტეტის რექტორი, თსუ-ს გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი და სხვა. დაჯილდოებული იყო მთელი რიგი სამთავრობო ჯილდოებით.

რექტორობის პერიოდში აკადემიკოსმა ი. ვეკუამ განახორციელა მრავალი ღონისძიება: დააარსა რამდენიმე ახალი ფაკულტეტი, კათედრა, კაბინეტი, 1966 წელს უნივერსიტეტთან შეიქმნა გამოყენებითი მათემატიკის პრობლემური ლაბორატორია, რომელიც აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობებით. მის ბაზაზე მოგვიანებით ჩამოყალიბდა გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, რომლის დირექტორიც თვითონვე გახლდათ. გარდაიცვალა 1977 წლის 2 დეკემბერს. დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ი. ვეკუას პირველი რექტორობის შემდეგ ხანმოკლე დროით ცნივერსიტეტის რექტორი იყო საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ერმილე ბურჭულაძე. ის უფრო პარტიული მუშაკი გახლდათ და მისი შრომებიც მეცნიერულ კომუნიზმის ძირეულ საკითხებს შეეხება.

შემდგომ პერიოდში (03.1954–03.1958) წლებში უნივერსიტეტის რექტორი გახლდათ გამოსწავლილი ქართველი მათემატიკოსი ვიქტორ კუპრაძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი. იგი წლების განმავლობაში განაგებდა თსუ-ს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიფერენციულ და ინტეგრალურ განტოლებათა კათედრას და გარკვეულ პერიოდში ხელმძღვანელობდა მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტს. 1944-1957 წლებში ვ. კუპრაძე გახლდათ საქართველოს განათლების მინისტრი, ხოლო 1958-1962 წწ. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე. იგი დაჯილდოებული იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიით, ორი ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშისა და საპატიო ნიშნის ორდენე-

ბითა და სხვა.

04.1958–03.1959 პერიოდში უნივერსიტეტის რექტორი გახდა გამოჩენილი ქართველი გეოლოგი, სახელმწიფო და პარტიული მოღვაწე, საბჭოთა კავშირისა (1968) და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის (1955) აკადემიკოსი, პროფესორი გიორგი სამსონის ძე ძოწენიძე. მან გეოლოგიაში შექმნა სრულიად ახალი მიმართულება ვულკანიზმის როლი დანალექი ქანებისა და მადანთწარმოებაში, მინიჭებული ჰქონდა სტალინური პრემია (1950), გახლდათ ვულკანოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის (1970), ბულგარეთისა (1971) და ლონდონის (1976) გეოლოგიისა და აშშ-ის (1976) გეოგრაფიის საზოგადოების წევრი.

მომდევნო პერიოდში (03.1959–03.1966 წწ.) უნივერსიტეტის რექტორია გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ქართული ასტრონომიის სკოლის მესაძირკვე, მსოფლიოში სახელგანთქმული აბასთუმნის ასტროფიზიკური რბსერვატორიის დამაარსებელი და 65 წლის მანძილზე მისი უცვლელი დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი (1972-1977 წწ) და შემდეგ პრეზიდენტი (1978-1986 წწ), საქართველოსა და სომხეთის მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე, საბჭოთა კავშირისა (1984) და საქართველოს (1955) მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ევგენი ხარაძე.

უდიდესი ამაგი დასდო ე. ხარაძემ საქართველოში საუნივერსიტეტო ასტრონომიული განათლების დაფუძნებას, ამ დარგის პედაგოგიური კადრებისა და მეცნიერ-მკვლევართა აღზრდას, უმაღლესი და საშუალო სკოლის ასტრონომიული სახელმძღვანელოების, სამეცნიერო ჟურნალების, საცნობარო და ენციკლოპედიური და სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის შექმნას. ყოველივე ეს ორგანულად ერწყმოდა ასტრონომიის, როგორც მეცნიერების აყვავებისა და ქართული ცნობიერების სამყაროსეული თვალსაწიერით გამსჭვალვას.

ბატონ ევგენის კოლოსალური და მრავალმხრივი შინაგანი ენერგია ჰქონდა და იგი გადასწვდა საქართველოში განათლებისა და მეცნიერების მრავალ სხვა დარგსაც, სახელდობრ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფუნქციონირების უმაღლეს სფეროებს. ამისი გარეგნული გამოხატულება იყო აკადემიკოს ე. ხარაძის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობა თუნდაც უნივერსიტეტის რექტორისა თუ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტისა და პრეზიდენტის პოსტზე.

ბატონი ევგენის, როგორც ხელმძღვანელის შესაძლებლობებზე მეტყველებს ასტრონომიის მნიშვნელოვან სფეროთა წარმართვაში მისი ჰეგემონობა ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მასშტაბით, აგრეთვე ასტრონომიის საერთაშორისო კავშირის ვიცე-პრეზიდენტობა, რაც მხოლოდ უიშვიათეს მეცნიერებს ხვდომიათ წილად. ევგენი ხარაძის ღრმა ინტერესებმა უსასრულო სამყაროს ამოუწურავი და შეუცნობელი ფენომენისადმი, სულის სიმაღლემ, ბუნების სიყვარულმა და უწყვეტმა შემოქმედებითმა შრომამ განაპირობეს მისი მტკიცე ჯანმრთელობა, დიდი ენერგია და ხანგრძლივი სიცოცხლე. ის ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული, რადგან მან თითქმის სრულად დახარჯა თავისი ამოუწურავი შემოქმედებითი ენერგია. წარუშლელი კვალი დატოვა თავის ქვეყნის მეცნიერებასა და კულტურაში. მოიპოვა ყველა ჩვენთაგანისათვის საოცნებო – ქართველი ხალხის უმაგალითო სიყვარული და მსოფლიო ავტორიტეტი და ასე, პატივისცემითა და სიყვარულით გარემოცულმა, დატოვა სამზეო და შეუერთდა მარადიულობას. იგი 2001 წლის 10 ოქტომბერს 94 წლის ასაკში გარდაიცვალა და ანდერძის მიხედვით უფროსი ძმის – ცნობილ მათე-

მატიკოს არჩილ ხარაძის გვერდით, დიდუბის პანთეონშია დაკრძალული.

ამის შემდეგ 1966-1972 წლებში უკვე მეორედ გახდა თსუ-ს რექტორი აკადემიკოსი ი. ვეკუა, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, ხოლო 05.1972–03.1980 პერიოდში უნივერსიტეტს სათავეში ედგა ცნობილი ისტორიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, პროფესორი დავით ჩხიკვიშვილი.

ბატონი დ. ჩხიკვიშვილი რექტორობის პერიოდში და მის შემდეგაც, როცა ის საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი იყო უდიდეს ყურადღებას აქცევდა მშობლიური უნივერსიტეტის გავითარების საქმეს. ის იყო ივ. ჯავახიშვილის თხოვნებითა 12 ტომეულის სარედაქციო კოლეგიის წევრი და მთავარი რედაქტორი. დაჯილდოებულია მრავალი ორდენითა და მედლით. გარდაიცვალა 1987 წელს.

უნივერსიტეტის რექტორობის შემდგომი 06.1980–09.1985 წლები დაკავშირებული იყო ცნობილი ქართველი ნეიროფიზიოლოგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის (1974), პროფესორ ვაჟა ოკუჯავას სახელთან.

ბატონი ვაჟა სხვადასხვა პერიოდში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მედიცინის პრობლემათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი, აკადემიის ჟურნალ „მაცნეს“ მთავარი რედაქტორი, გახლდათ რუსეთის ივანე პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის საზოგადოების გაგმეობის პერზიდუმიის წევრი, ტვინის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, ეპილეფსიის აკადემიის წევრი, საქართველოს ნევროლოგთა საზოგადოების წევრი, ი. ბერიტაშვილის სახელობის საქართველოს ფიზიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების წევრი. 2006 წლიდან გარდაცვალებამდე აკადემიკოსი ვ. ოკუჯავა იყო თსუ-ს რექტორთა მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე. ის გარდაიცვალა 2011 წელს. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

მომდევნო ეტაპზე 10.1985–08.1991 პერიოდში თბილისის უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელია. მისი ხელმძღვანელობით 1988 წელს ფართოდ აღინიშნა უნივერსიტეტის დაარსების 70 წლისთავი. ბატონი ნოდარი სხვადასხვა პერიოდში გახლდათ სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს პარლამენტის წევრი, პარლამენტის მეცნიერების განათლებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე. 1976 წელს მას მიენიჭა პეტრე მელიქიშვილის სახელობის პრემია, ხოლო 1985 წელს საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია. დაჯილდოებულია მეგობრობის ორდენით.

ბატონი ნოდარი გარდაიცვალა 2004 წელს.

ამის შემდეგ მოკლე ხნით 08.1991–09.1991 პერიოდში უნივერსიტეტის რექტორი იყო ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1962), პროფესორი (1964), ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების საპატიო წევრი (1971), ამერიკის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უცხოელი წევრი (2006), ხელოვნებისა და მეცნიერების მსოფლიო აკადემიის ნამდვილი წევრი (2007), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი (1974) თამაზ გამყრელიძე. ის დაჯილდოებული იყო ლენინური პრემიითა და ხალხთა მეგობრობის ორდენით. რექტორობის გარდა ის წლების განმავლობაში სხვადასხვა რანგში მოღვაწეობდა თსუ-ში და თავისი ენერგიული მუშაობით დიდი წვლილი შეიტანა ქართული ენათმეცნიერების განვითარებაში.

შემდეგ, ასევე მცირე ხნით (09.1991–10.1991) უნივერსიტეტის რექტორი იყო ოთარ ჯაფარიძე, ქართველი ისტორიკოსი, პროფესორი, აკადემიკოსი (1993). ის წლების გან-

მაგლობაში იყო საკავშირო არქეოლოგიური ჟურნალის რედაქციის წევრი, არის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, თბილისის საპატიო მოქალაქე.

მომდევნო პერიოდის (10.1991–10.2004) უნივერსიტეტის რექტორია ცნობილის ქართველი ისტორიკოსი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1993), პროფესორი (1976) როინ მეტრეველი. ის დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის, ღირსების ორდენებით, ფრიტოვ ნანსენის ოქროს ჯვრით და სხვა. მიღებული აქვს სახელმწიფო პრემია მეცნიერების დარგში, ივანე ჯავახიშვილისა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო პრემიები, მინიჭებული აქვს აფხაზეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ბატონი როინის ძალისხმევით უნივერსიტეტმა აღიდგინა უმაღლესი სასწავლებლის სტატუსი, რომელიც დაკარგული ჰქონდა 1926 წლიდან. მის დროს აღდგა უნივერსიტეტის დიდი სამეცნიერო საბჭოც.

ამის შემდეგ (12.2004–04.2006) წლებში თსუ-ს რექტორი იყო ქართველი არქიტექტორი რუსუდან ლორთქიფანიძე. ის იყო არქიტექტურის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, 50-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი (მათ შორის სამი მონოგრაფიისა). წლების განმავლობაში მუშაობდა არქიტექტურის საკითხებზე უცხოეთის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში. ის არის რომის ანგელოზებისა და კონსტანტინეს ხელოვნების მეცნიერებისა და ლიტერატურის აკადემიის საპატიო აკადემიკოსი, ფლორენციის დიდებულითა აკადემიის საპატიო წევრი.

მომდევნო 04.2006–08.2010 წლებში უნივერსიტეტის რექტორი გახლდათ ქართველი იურისტი, სამართლის ფილოსოფოსი, პროფესორი გიორგი ხუბუა. ის არის 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის (მათ შორის 7 მონოგრაფიისა და ერთი სახელმძღვანელო) ავტორი. არის მრავალენოვანი სამეცნიერო კრებულების რედაქტორი და თანაავტორი. ამჟამად მოღვაწეობს მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ამის შემდეგ, 08.2010–07.2013 წლებში, უნივერსიტეტის რექტორი იყო ალექსანდრე კვიციანიძე, საქართველოს ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი (2008-2011 წწ). ის იყო ასევე უკრაინის ჯანდაცვის მინისტრი, თუმცა რამდენიმე თვეში ა. კვიციანიძემ მისი საქმიანობის კრიტიკის შემდეგ თანამდებობა დატოვა.

შემდეგ, 07.2013–03.2016 პერიოდში, უნივერსიტეტის რექტორად მოღვაწეობდა აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა – ცნობილი ქართველი ეკონომისტი, პროფესორი. ის წლების განმავლობაში იყო აკადემიკოს პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს ეკონომიკის მინისტრი, საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილე, საქართველოს პარლამენტის წევრი. გამოქვეყნებული აქვს 24 სამეცნიერო ნაშრომი – მათ შორის 14 მონოგრაფია.

ამჟამად რექტორია გიორგი შარვაშიძე. ის უკვე სამი წელია ხელმძღვანელობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მის ხელმძღვანელობით აღინიშნება 100 წლის იუბილე, რომლის გარკვეული ნაწილი ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტშიც აღინიშნება. ვუსურვოთ ბატონ გიორგის წარმატებული მოღვაწეობა ჩვენს დედა უნივერსიტეტში.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თსუ-ს ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო. მას დაეკისრა ერის სულიერებაზე ზრუნვის, ეროვნული თვითშეგნების გადრმავების ისტორიული მისია. ამიტომ, დღესაც ქართველი ხალხი მას მეცნიერების წმინდა ტაძარს უწოდებს.

დღეს უნივერსიტეტში ახალგაზრდების აღზრდისა და მეცნიერული წვრთნის საქმეს 3275 პროფესორ-მასწავლებელი ემსახურება. მათგან 55 აკადემიკოსი და აკადე-

მიის წევრ-კორესპოდენტი, 595 პროფესორი და მეცნიერებათა დოქტორი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარეობს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის პრობლემური კვლევები. უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში თეორიული შედეგების საფუძველზე ტარდება ბუნების მოვლენებისა და სახალხო მეურნეობაში წამოჭრილი ამოცანების მათემატიკური მოდელირებისა და რიცხვითი რეალიზაცია კომპიუტერების გამოყენებით. მაღალი ენერჯების ფიზიკის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულებაა მაღალი ენერჯის არეში ნუკლონებსა და ბირთვებთან ელემენტარული კვლევა, ამანქარებლებზე მიღებული ინფორმაციის დამუშავების ახალი სისტემების შექმნა, თეორიული კვლევები ველის კვანტური თეორიის, ელემენტარული ნაწილაკებისა და ატომბირთვის ფიზიკაში.

გარდა ამისა თსუ-ს შემადგენლობაში შედის მიხეილ ნოდის სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი (რომლის 85 წელიც დღეს აღინიშნება), გეოლოგიისა და გეოგრაფიის ინსტიტუტი და სხვები, რომლებშიც ასევე მიმდინარეობს თეორიული და ექსპერიმენტალური სამუშაოები.

უკანასკნელ ხანს, გარდა ფუნდამენტური გამოკვლევებისა, მეცნიერთა ნაწილმა გამოყენებითი სამუშაოების შესრულებაზე გადაიტანა აქცენტი და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მიაღწია, შეიქმნა არაერთი საყურადღებო პროექტი, შემუშავდა რეკომენდაციები, მიღებულია კონკრეტული შედეგები, რომელთა დანერგვა უთურდ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართული მეცნიერების წინსვლისა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საქმეში. ყურადღება მახვილდება საქართველოს ბუნებრივი რესურსების შესწავლასა და მათი პრაქტიკული გამოყენების გზების ძიებაზე, ეკოლოგიური საკითხების კვლევაზე. ამა თუ იმ პრობლემატიკის შესწავლისა თუ დამუშავებისას გათვალისწინებულია რეგიონალური და ეროვნული თავისებურებები, ისტორიული ეროვნული ტრადიციები და პერსპექტივები.

საუნივერსიტეტო საქმიანობის გარდაქმნის მნიშვნელოვანი ეტაპი გახდა 1994 წლის 25 აპრილი, როცა დიდმა სამეცნიერო საბჭომ მიიღო „საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის კონცეპცია, რომლის საფუძველზეც ის სრულად გადავიდა სწავლების ორსაფეხურიან ფორმაზე და ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირებისაკენ გადადგა ნაბიჯი.

ქართულ დედა უნივერსიტეტში წლების მანძილზე დაფუძნდა არაერთი საქვეყნოდ აღიარებული სამეცნიერო სკოლა: მათემატიკის (ანდრია რაზმაძე, ნიკოლოზ მუსხელიშვილი, ილია ვეკუა, ვიქტორ კუპრაძე, არჩილ ხარაძე, ანდრია ბიწაძე და სხვა); ასტრონომიის (ევგენი ხარაძე, ანდრია ბენაშვილი, მიხეილ ვაშაკიძე, როლან კილაძე, ჯუმბერ ლომინაძე, გიორგი ჩაგელიშვილი და სხვა); ფიზიკის (რაქდენ ხუციშვილი, ელევთერ ანდრონიკაშვილი, მათე მირიანაშვილი, ვაგან მამასახლისოვი, გივი ხუციშვილი, გივი სანაძე და სხვა); ქიმიის (პეტრე მელიქიშვილი, შალვა ცინცაძე, პეტრე ქომეთიანი და სხვა); გეოლოგიის (ალექსანდრე ჯანელიძე, კალისტრატე გაბუნია, გიორგი ძოწინიძე და სხვა); ფსიქოლოგიის (დიმიტრი უხნაძე, რევაზ ნათაძე, ფატი ხუნდაძე და სხვა); ფიზიოლოგიის (ივანე ბერიტაშვილი, დიმიტრი გედევანიშვილი და სხვა); ისტორიოგრაფიის (ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკოლოზ ბერძენიშვილი, შოთა მესხია, ვარლამ დონდუა და სხვა); ფილოსოფიის (შალვა ნუცუბიძე, სერგი დანელია, მოსე გოგიბერიძე და სხვა); ხელოვნებათმცოდნეობის (გიორგი ჩუბინიშვილი, შალვა ამირანაშვილი, ნიკოლოზ ჩუბინიშვილი და სხვა); ქართული ენათმეცნიერების (აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, კარპეზ დონდუა, ვარლამ თოფურია, თამაზ გამყრელიძე და სხვა); იბერიულკავკასიური ენათმეცნიერების (არ-

ნოდდ ჩიქობავა, ქეთევან ლომთათიძე და სხვა); კლასიკური ფილოლოგიის (გრიგოლ წერეთელი, სიმონ ყაუხჩიშვილი და სხვა); აღმოსავლეთმცოდნეობის (გიორგი წერეთელი, სერგი ჯიქია, მაკარ ხუბუა, ვლადიმერ ფუთურიძე, ვალენიან გაქაშვილი, კონსტანტინე გაბაშვილი და სხვა) და სხვა მრავალი.

უნივერსიტეტის კათედრებზე და სამეცნიერო-კვლევით ქვედანაყოფებში ინტენსიურად მიმდინარეობს ასპირანტებისა და სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი 26 საკვალიფიკაციო საბჭოს მუშაობა მეცნიერების თითქმის ყველა დარგში.

1994 წელს, 64 წლის შემდეგ, თსუ-ს წიაღში დაბრუნდა უმაღლესი სამედიცინო განათლება, აღდგა საუნივერსიტეტო სამედიცინო განათლების ტრადიცია - ჯერ გაიხსნა მედიცინის სპეციალობა, ხოლო 2000 წელს კი მედიცინის ფაკულტეტი დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა. შეიქმნა საუნივერსიტეტო კლინიკების ასამბლეა, რომლის სასწავლო ბაზები გამოირჩევა მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობითა და მაღალკვალიფიციური სამეცნიერო-ტექნიკური და ინტელექტუალური პოტენციალით, გაიხსნა ჯანდაცვის მეცნიერებათა მართვის ცენტრი და უწყვეტი სამედიცინო განათლების დეპარტამენტი, შეიქმნა მედიცინის დარგის მზრუნველთა საბჭო და სამედიცინო ინფორმაციის სამსახური. პროფესორმასწავლებელთა და თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახურშია უნივერსიტეტის დიაგნოსტიკური ცენტრი.

1999 წელს დაარსდა „კავკასიის ბიზნეს სკოლა“. იგი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრისა და მაგისტრის პროგრამების ფარგლებში ამზადებს სპეციალისტებს.

2006 წლის აპრილიდან უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს მიეცათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ განათლების სექტორში განვითარებადი, ფინანსური და სოციალური მხარდაჭერის პროგრამაში, რომელიც ხორციელდება განათლების ერთიანი საკრედიტო კავშირის მიერ.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს რამდენიმე მუზეუმი: ისტორიისა და ქართული ემიგრაციის, მინერალოგიის, გეოლოგიაპალეონტოლოგიის, გეოგრაფიის, ზოოლოგიის, ბიოლოგიის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა საყოველთაო ცენტრია. სისტემატური ხასიათი მიიღო უნივერსიტეტულ ქართველოლოგთა მიერ საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებში ლექციების კითხვამ, საერთაშორისო სიმპოზიუმებში მონაწილეობამ, უცხოეთში სტატიებისა და მონოგრაფიების გამოქვეყნებამ. 1978 წლიდან ქ. იენაში გერმანულ ენაზე ყოველწლიურად გამოდიოდა თბილისისა და იენის უნივერსიტეტების ერთობლივი სამეცნიერო ჟურნალი „გეორგიკა“. 1991 წლიდან „გეორგიკა“ ქ. კონსტანცაში გამოდის ოთხი უნივერსიტეტის – თბილისის, იენის, ზაარბრიუკენის და კონსტანცის უნივერსიტეტების თანამშრომლობით. 1999 წლიდან კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი, რომელნიც საქართველოსა და საბერძნეთის ხელისუფლების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრებისა და ინტელიგენციის მხარდაჭერით შეიქმნა 1997 წელს გამოსცემს საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალს PHASIS-ს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობა აქვს მსოფლიოს მრავალ სამეცნიერო-პედაგოგნიურ ცენტრთან. ესენია: ზაარლანდის, ჰამბურგის, გიოტინგენის, ბრემენის, კობუსისა და იენის უნივერსიტეტები (გერმანია); ემორის უნივერსიტეტი, ჯორჯიის უნივერსიტეტი, ბრევეარდის, ველსლის, მაუნთ ჰაილუოკის და ვილიამის კოლეჯები (აშშ); სენტ მერის უნივერსიტეტი (კანადა); ვარშავისა და ლოდის უნივერსიტეტები (პოლონეთი); მაღაგისა და სალამანკას უნივერსიტეტი

ტები (ესპანეთი); ნანტის, პარიზ 8, პარიზ 13, გრენობლის, ტულონისა და ინალკოს უნივერსიტეტები (საფრანგეთი); ბრისტოლის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ბრენელისა და ლონდონის უნივერსიტეტები (დიდი ბრიტანეთი); ბუდაპეშტის უნივერსიტეტი (უნგრეთი); ბილკენტის, ტრაბზონისა და ანკარის უნივერსიტეტები (თურქეთი); პალერმოს, რომის, პიზასა და ვენეციის უნივერსიტეტები (იტალია); ათენის, იოანინასა და თესალონიკის უნივერსიტეტები (საბერძნეთი); ბირთვული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრი (შვეიცარია); ორსუსის უნივერსიტეტი (დანია); ბუქარესტის უნივერსიტეტი (რუმინეთი); თეირანისა და გილანის უნივერსიტეტები (ირანი); კაიროს უნივერსიტეტი (ეგვიპტე); ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია; მოსკოვისა და სანკ-პეტერბურგის უნივერსიტეტები (რუსეთი); კიევისა და ოდესის უნივერსიტეტები (უკრაინა); ერევანის უნივერსიტეტი (სომხეთი); ბაქოს უნივერსიტეტი (აზერბაიჯანი) და სხვა უნივერსიტეტები.

უნივერსიტეტში არსებობს უცხოელ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა საპატიო დოქტორად არჩევის ტრადიცია.

უნივერსიტეტში ფართოდაა გაშლილი სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობა. ყოველწლიურად იმართება სტუდენტთა შემაჯამებელი სამეცნიერო კონფერენციები

ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ მხატვრულ შემოქმედებაში. უნივერსიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ბაზაზე შექმნილია კამერული მუსიკის ორკესტრი, გაერთიანებული კაპელა, სახალხო თეატრი, ვაჟთა და გოგონათა ვოკალური ანსამბლები, ქორეოგრაფიული და თანამედროვე ცეკვების ანსამბლები, ერთი მსახიობისა და პანტომიმის თეატრი, თეატრ-სტუდია „მერმისი“, განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ახალგაზრდებში მხიარულთა და საზრიანთა კლუბი – „მან-სან-კანი“.

